„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუდუნებ.“ – *ვაჟა*

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2013 წ. სექტემბერი* №37 * ფასი 1 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



იყალთო, XI–XII ს.ს.




## როგორ გააუქმეს ჭიპაშვილმა და ნათელაშვილმა უზენაესი საბჭო
გვ. 7

## უწოდა თუ არა ჩერჩილმა სტალინს გენია?
გვ. 9,12

# 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ვირჩევთ... ჩუჩელას!



**ლეილა ცომაია**

მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის გამოცხადებას, როგორც ყველასათვის ცნობილია, უძღოდა საკონსტიტუციო ცვლილებების ფორსირებული პროცესი, რომლის ძირითადი შინაარსი ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტი, პარლამენტამდე სხვადასხვა სამეცნიერო, სასწავლო თუ საზოგადოებრივ წრეებში ეტაპობრივად იხილებოდა და მწვავე დებატებიც იმართებოდა, საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღეთ საკონსტიტუციო გადატრიალება. ეს გახლდათ რევოლუციური საკონსტიტუციო რევანში პარტია „რესპუბლიკელების“ მხრიდან დავით უსუფაშვილის სპიკერობით, რითაც არა მარტო შეკვეცილ-აყრილი იქნა პრეზიდენტის უფლება-მოსილებანი, არამედ თვით პრემიერ-მინისტრის უფლებებიც კი პარლამენტის კონტროლსაა დაქვემდებარებული. ანუ, „რესპუბლიკელების“ საკონსტიტუციო რევანშით ჩვენ მომავალში ვიღებთ საპარლამენტო რესპუბლიკას ყოველგვარი პლებისციტისა და რეფერენდუმის გარეშე! ხოლო მანამდე, 27 ოქტომბრის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ფარსით, საქართველოს მოსახლეობა, რეალურად ირჩევს... ჩუჩელას!

იმისათვის, რომ ერთად დავრწმუნდეთ „რესპუბლიკელების“ მიერ გახორციელებულ საკონსტიტუციო გადატრიალებაში, გადავშალოთ კონსტიტუციის ის მუხლები და თავები, რომლებმაც ასეთი ძირეული, რევანშისტული ცვლილებანი განიცადეს;

ჩვენს მიერ ქვემოთ ორ ვარიანტად ციტირებული კონსტიტუციის მუხლების პირველი ვარიანტი წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობის“ კონსტიტუციურ ვარიანტს, ხოლო ფონზე დადებული იგივე მუხლები კი (შედარებისათვის) - „კოალიცია ქართული ოცნების“ შესწორებულ ვარიანტს.

გაგრძელება გვ. 2

*დასაწყისი გვ. 2*

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

საქართველოს პრეზიდენტი

მუხლი 69

1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.

3. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

*საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5*

[მუხლი 69

***1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.***

***2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.***

***3. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.***

*(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)] საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010წ., მუხ.379*

მუხლი 72

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა…

*საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5*

*შეცვლილია*

***საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს, ეკავოს სხვა თანამდებობა, მათ შორის, პარტიული...***

*(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

მუხლი 73

1. საქართველოს პრეზიდენტი:

***ეს მუხლი თითქმის სრულად და მნიშვნელოვნად შეცვლილია პრემიერ-მინისტრის უფლებების გაზრდის მიმართულებით, აგრეთვე ამ მუხლზე დამატებულია მოზრდილი ცალკე მუხლი [მუხლი 73¹***

მუხლი 74

1. საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

***[1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.*** *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

მუხლი 75-ის

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი, ... ***ამ მუხლში დეფინიცია „სახელმწიფო ღალატი“ საერთოდ ამოღებულია და ასეთი ცვლილებითაა წარმოდგენილი:***

***[2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და კანონით დადგენილი წესით თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი.*** *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*



ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ[1]

საქართველოს მთავრობა

საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5

მუხლი 78

1. მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

***შეცვლილია მთავრობის „ხელისუფლების უმაღლესი ორგანოდ“ გარდაქმნითა და პრეზიდენტისადმი რაიმე ტიპის ანგარიშვალდებულების სრული გამორიცხვით...***

***1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.***

*ამ მუხლის მე-4 თავში:*

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით.

***პრეზიდენტის უფლებამოსილებანი გაიგივებულ-გათანაბრებულია მთავრობის წევრთა უფლებებთან და ასეა ფორმულირებული:***

***6. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში, რომელსაც ასევე ესწრებიან ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და სხვა წევრები.***

მუხლი 79

1. მთავრობის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრი.

*ასეა შეცვლილი:*

***[1. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი.*** *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კოორდინაციასა და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე, მოახსენებს საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ და პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

***ამ თავში პრეზიდენტის უფლება და ფუნქცია საერთოდ ამოღებულია და ასეა ფორმულირებული:***

***[2. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.***

*(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

5. პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს, უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის წევრები.

***აქაც პრეზიდენტის თანხმობა და მისი ფუნქციაც სრულადაა ამოგდებული:***

***[5. პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის სხვა წევრებს.***

*(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის ახალ წევრს.

***პრეზიდენტის თანხმობა და ფუნქცია აქაც ამოღებულია და სრულად მინიჭებული აქვს პრემიერს:***

***[7. პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტა იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას. მთავრობის სხვა წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი ორი კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის წევრს.***

*(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

*საქართველოს 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონი №3272-სსმI, №2, 07.02.2004წ., მუხ.5*

***საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი, №3710-სსმI, №62, 05.11.2010 წ., მუხ.379***

მუხლი 80, *რომელიც ეხება პრემიერ-მინისტრის პარლამენტის მიერ არჩევისა და პრეზიდენტის მიერ წარდგენის წესს, თითქმის სრულადაა შეცვლილი პრეზიდენტის უფლების გამორიცხვით!*

*ასეთივე ცვლილებითაა წარმოდგენილი* ***მუხლი 80 ¹****, რომელიც მთავრობის ნდობის საკითხს ეხება.*

მუხლი 81 ³

1. საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული –გუბერნატორი.

***ამ მუხლში გუბერნატორი სავსებით გამოყვანილია პრეზიდენტის დაქვემდებარებიდან:***

*[მუხლი 81³*

***1. აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.***

…

***3. სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.*** *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

მუხლი 86 (*შეგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ ორ ვარიანტად ციტირებული მუხლების პირველი ვარიანტი წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობის“ კონსტიტუციურ ვარიანტს, ხოლო ფონზე დადებული იგივე მუხლები კი , შედარებისათვის - „კოალიცია ქართული ოცნების“ შესწორებულ ვარიანტს)*

1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

***[1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. (ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]***

2. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. *თუ ზემომოცემულ პირველ მუხლში უსუფაშვილის პარლამენტის მიერ მოსამართლის ასაკობრივი ცენზის პირობა მინიმალურად* →

*(მხოლოდ 2 წლით) არის გაზრდილი, ამ მეორე მუხლში მოსამართლის 10-წლიანი ვადა სულაც უვადოდაა შეცვლილი (იხილეთ):*

***[2. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა.***
*(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

*მოსამართლეთა ვადის შესახებ ამ საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის მწარე გაკვეთილები, რაც ქართულმა საზოგადოებრიობამ სულ ახლახან იწვნია სააკაშვილ-კუბლაშვილებისმიერი სასამართლო რეფორმებით და რაშიც „ქართული ოცნების კოალიციამ“ თითქმის ვერაფერი ცვლილებები შეიტანა უზენაესი სასამართლოს არჩეულ საბჭოს შემადგენლობაში და ვერც უბრალო მოსამართლეთა გადაწყვეტილებებით მიიღო სამართლებრივი შედეგები.*

*„კოალიცია ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით კი, ქართველი ხალხი, იღებს სრულ და უვადო დიქტატს სასამართლო ხელისუფლების სახით!*

თავი მეექვსე
სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი
მუხლი 93-ში ყველგან ამოღებულია პრეზიდენტის უფლებები და გადაბარებული აქვს მთავრობას.
**94-ე მუხლში** გადასახადების შესახებ ცვლილებებისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება, პრეზიდენტის ნაცვლად, ენიჭება მთავრობას.

თავი მეექვსე
სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი
მუხლი 102
1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:
ა) პრეზიდენტს;

***[ა) (ამოღებულია);*** *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.
*შეცვლილია:*

***[3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას საქართველოს პარლამენტის ორ თანამიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.*** *(ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)]*

***კონსტიტუციაში ამ ბოლო ცვლილებით მაქსიმალურად გართულებულია კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა!***

თუკი ერთი წუთით მაინც დავბრუნდებით 2011 წელში, ანუ იმ ისტორიულ თარიღში, როდესაც უჩინმაჩინი მილიარდერი ივანიშვილი სრულიად მოულოდნელად, მეტეორივით შემოიჭრა ქართულ პოლიტიკაში და მთავარ პოლიტიკურ პარტნიორად, ასევე ყველას გასაკვირვად 0-რეიტინგიანი „რესპუბლიკელები“ დაასახელა, არ უნდა გაგვიჭირდეს ამ შედეგების ახსნა, რამეთუ იგი პირდაპირპროპორციულია ივანიშვილის ქვაბავაზაკური გათვლის, რომელიც მას, დიდი ალბათობით პროგრამულად ჰქონდა მიცემული მისი საზღვარგარეთელი ფინანსური ლობისტებისაგან. ივანიშვილმა ზუსტად და მკაცრად გაწერილი საიდუმლო გეგმითა და მეტეორული სისწრაფით მოახერხა საქართველოს სახელმწიფოებრიობის კონსტიტუციური ნგრევა, რასაც ჩვენში აქამდე არსებული პოლიტიკოსები მრავალ წელს ანდომებდნენ!

ივანიშვილ-უსუფაშვილის პოლიტიკური ტანდემის მზაკვრული გეგმით, 27 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა, პრეზიდენტის ნაცვლად, ირჩევს ჩუჩელას!

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ფარსის შემდგომ, ბანკირი ივანიშვილი მეტეორული სისწრაფით ქრება პოლიტიკიდან!

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# 2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის განცხადებით წარდგენილი კანდიდატები

1 მიხეილ (გელა) სალუაშვილი
2 ტარიელ ხვედელიძე
3 ნესტან კირთაძე
4 გიორგი გახოკია
5 შალვა ნათელაშვილი
6 მამუკა ჭოხონელიძე
7 ნიკოლოზ გორგიჯანიძე
8 გიორგი თარგამაძე
9 სერგო ჯავახიძე
10 გიორგი ჩიხლაძე
11 მერაბ გორგაძე
12 გიორგი ლილუაშვილი
13 გია ჩხიკვაძე
14 ლევან ჩაჩუა
15 მერაბ სულიაშვილი
16 ბესიკ ადამია
17 ავთანდილ მარგიანი
18 ავთანდილ ფილაური
19 ავთანდილ იოსელიანი
20 მამუკა მელიქიშვილი
21 ნუგზარ ავალიანი
22 თეიმურაზ ბობოხიძე
23 ასმათ მაჭავარიანი
24 თამაზ ბიბილური
25 უშანგი დონჯაშვილი
26 კახა სუხიშვილი
27 შალვა ცერცვაძე
28 ნუგზარ ჩხაიძე
29 თენგიზ გაბიძაშვილი
30 დავით კაკაბაძე
31 დავით ჩხეიძე
32 დავით ბაქრაძე
33 ვაჟა ჩხაიძე
34 გიორგი მარგველაშვილი
35 თორნიკე იზორია
36 კობა დავითაშვილი
37 აკაკი ასათიანი
38. ნინო ბურჯანაძე
39. ქართლოს ღარიბაშვილი
40. სალომე ზურაბიშვილი

**ზემორიცხულ 40 საპრეზიდენტო კანდიდატობაზე ცსკო-ში განაცხადის შემტანთაგან პრეზიდენტობის კანდიდატად 1 სექტემბრის მონაცემებით 27 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერის წარდგენის შედეგად ოფიციალურად დარეგისტრირებულია მხოლოდ 2 კანდიდატი. ესენი არიან: ბატონი გელა სალუაშვილი და ბატონი შალვა ნათელაშვილი. ცესკო-ში ხელმოწერების წარდგენის საბოლოო ვადად 17 სექტემბერია განსაზღვრული.**

---

# 1991 წლის 6 სექტემბერს, ჩეჩენი ხალხის საერთო- ნაციონალურმა კონგრესმა გამოაცხადა იჩქერიის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
„ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ“

აღიარებს რა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღიარებს ჩეჩნეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება ქ. თბილისში, საქართველოში კანონიერი (კონსტიტუციური) ხელისუფლების აღდგენის შემდეგ.

დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

***საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი თავმჯდომარე***
***მერაბ კიკნაძე.***
*ქ. გროზნო, 1992 წლის 13 მარტი.*
*გაზეთი „ქართული აზრი“, N14, 10 აპრილი, 1992 წელი.*

# არჩევანი თქვენ, არადანი ჩვენ?

## ფუფუნება თქვენ და თავსატეხი ჩვენ?

გასული წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ, ღმერთგამწყრალი და საკმაოდაც გაცვეთილ-ამორტიზირებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეთქმულების მესვეურებმა ჩაანაცვლეს მათი განაყოფი ძმებით, რომლებიც ქვეყანას კოალიცია „ქართული ოცნების“ სახით მოევლინენ.

ხსენებული კოალიცია შეაკოწიწეს ფერადი პოლიტიკური ელემენტებით: მემარჯვენეებით, მემარცხენეებით, „ეროვნულებითა“ და ჭეშმარიტი ეროვნულობის მოძულეებით. მათი გაერთიანებისა და შერწყმის კატალიზატორად კი დიდძალი ფული გამოიყენეს. ფული მეცენატი-ოლოგარქისა, რომელიც მთავრობის სათავეშიც გაამწესეს.

ახლა კი ჯერი „საპრეზიდენტო არჩევნებზეა“ და რეგისტრაციაც გაცხოველებული ენთუზიაზმით მიმდინარეობს. ვისაც არ დაეზარა ხელ-ფეხის განძრევა, მოაგროვა საჭირო ქაღალდები და ცესკ-ოში პრეზიდენტობის ორმოცამდე მსურველმა შეიტანა განაცხადი.

რა ამბავიაო - კითხულობენ შეძრწუნებული ჭკუათმყოფელნი.

დიახ, მომავალ საარჩევნო ბიულეტენებს დაამშვენებს 40 კანდიდატი.

ისევ ქვეყნის ბიუჯეტმა იკითხოს, რომელიც ამ გაღლეტილი მოსახლეობისაგან ამოღებული გადასახედებითა და ჯარიმებით ივსება.

პრეზიდენტობის მსურველთა გრძელი სიიდან ჩვენ „ცნობად სახეებს“ ამოვარჩევთ და მათი „პოლიტიკური ბიოგრაფიების“ შუქ-ჩრდილებს განვიხილავთ.

გიორგი თარგამაძე ნაჟურნალისტარი, ნადეპუტატარი და გრძელვადიან პოლიტიკურ შვებულებაში მყოფი აწ უკვე საპრეზიდენტო კანდიდატად უბრუნდება სამოღვაწეო ასპარეზს.

ამ კაცმა იმდენი პოლიტიკური ბლოკი და პარტია მოიარა, რომ ვფიქრობ, თვითონაც არ ემახსოვრება, როდის სად და ვისთან იყო. მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო სულ მუდამ პატრონის ჩრდილში იდგა, იდგა და შეძლებისდაგვარად წველიდა პატრონს. მის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ იგი ძალზედ ალღოიანი და ქვეგამხედვარეა; დააგუმანებდა თუ არა, რომ პატრონს წყალი უდგებოდა, მყისვე კვანტს დაუდებდა და ოსტატურ სარმას გამოჰკრავდა.

ასე იყო ასლან ბაბუსთან, რომელსაც ერთგულებასა და უანგარო სამსახურს ეფიცებოდა და ამის დასადასტურებლად, არც აკრძალულ ილეთებს ერიდებოდა, ინტრიგების ხლართვაც ჩინებულად გამოსდიოდა .

მკითხველს ემახსოვრება ბატონ გურამ შარაძის ინტერვიუ, სადაც ის ამხელს ავანტიურისტ გიორგი თარგამაძეს. ჩვენი ნათქვამის დასადასტურებლად მოვუხმობთ ამონარიდებს ცხონებული მეცნიერის ინტერვიუდან:

„18 წლის თარგამაძე გახდა მინისტრი. მერე გალსტუკიანი გიორგი თარგამაძე გადაჯინსდა და დაიწყო ცუნცულ-ცუნცული. მომდიოდა ხმები მის ავკაცობაზე და ამბების მიტან-მოტანაზე. ასლან აბაშიძემ რომ პარკი გააშენა, იმის მშენებლობის ერთ-ერთი დათვალიერებაა და მოვკიდე ხელი თარგამაძეს, მივიყვანე ასლან აბაშიძესთან და ვუთხარი: ,,აბა, ეხლა თქვი, რას ელაპარაკები მას ჩემზე ყურში, ჩემს ზურგს უკან!''. წახდა, გაშავდა... ,,მეტი აღარ დაგინახო ჩემზე ილაპარაკო, არც ჩემს ზურგს უკან და არც ისე-მეთქი''...

თბილისში რომ იყო ,,აღორძინების'' საარჩევნო შტაბის უფროსი, მაშინ მიხვდა აბაშიძე რაშიც იყო საქმე. თარგამაძემ დაასწრო და სანამ გამოაგდებდნენ, თვითონ დატოვა პარლამენტი და ,,აღორძინება''. აი, კაცი! კაცად აქცია, ჯერ გურამ შარაძემ, მერე აბაშიძემ, ორივეს უღალატა, ორივე გადააგდო... აბაშიძის ,,აღორძინების'' ქერის ორმოდან მოხვდა ბადრი პატარკაციშვილის კიდევ უფრო დიდ ქერის ორმოში _ გახდა ტელეკოპანია ,,იმედის'' საინფორმაციო სამსახურის უფროსი და დღეს წარმატებით ასრულებს ხელისუფლების დავალებას, რომ გურამ შარაძე არ გამოჩნდეს ეკრანზე... ალბათ, პატარკაციშვილს რომ დაიჭერენ ან აქ, ან რუსეთში, იგივეს იზამს...

,,ვარდების'' რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ დღეს მირეკავს ბადრი პატარკაციშვილი და მეკითხება, რა დაგიშავე, რატომ მლანძღავო? სად-მეთქი და აგერ თარგამაძე გამოვიდა და თქვა, გურამ შარაძემ ბადრი პატარკაციშვილი გალანძღა ერთ-ერთ მიტინგზეო. მე ვუთხარი _ ეხლავე მივალ თარგამაძესთან, _ და მივარდი ,,იმედში''. ვეუბნები, მისი მეუღლეც იქ იყო, _ ამოიღეთ ჩანაწერი, სადაც მე ამას ვამბობ-მეთქი. _ გვაპატიე, ბატონო გურამ, ახლავე გამოვასწორებთო. მაშინ იყო, რომ ,,ღამის ქრონიკაში'' მიმიწვიეს, მეფერენ, მაგრამ მე მაინც ვთქვი ჩემი სათქმელი. რა მქონდა მე გიორგი თარგამაძესთან გასაყოფი ან საბრძოლო?!. ასლან აბაშიძეს ხომ გადმკიდა და ახლა პატარკაციშვილის გადაკიდება მომინდომა.“

საზოგადოებისათვის დღესაც ბურუსითაა მოცული გიორგი თარგამაძის „მოკრძალებული წვლილი“ ტელე-იმედის დახურვასა და ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით.

ბედისნებიერა თარგამაძის შესახებ ჩვენ ადრეც ვსაუბრობდით ამ გაზეთის ფურცლებზე წერილში „სტახანოველი დოიარი გიორგი თარგამაძე“, სადაც ვამბობდით, რომ ამ დედის ნებიერას ჟურნალისტიკაში ჭიპი 14 წლის ასაკში, ჯერ კიდევ კომუნისტურ ტელევიზიაში ააჭრეს, სადაც მამამისი ტელე-ოპერატორად მუშაობდა და იმდენი მოუხერხებია, რედაქტორადაც კი გაუმწესებიათ მისი უმწიფარი შვილი.

იმ ავბედით დღეს, როცა ტელე-იმედს სააკაშვილის რეჟიმის მარბიელი შეესია, კოლეგა ჟურნალისტი ელისო კილაძე ამბობდა, რომ თარგამაძე ერეკლე კოდუას გამოუყვანია შენობიდან. შემდგომმა პერიოდმა კი დაადასტურა საზოგადოებაში მოარული ხმები, ოფიციოზთან მისი კავშირების შესახებ.

ხელისუფლებამ ელვის სისწრაფით შეაქმნევინა „პარტია“, რომლის სახელწოდებასაც არაფერი აქვს საერთო მის სახელსა და გვართან, ჭეშმარიტი ქრისტიან-დემოკრატი გიორგი თარგამაძისეული ცხოვრებით ვერ იცხოვრებს!



მისმა ამომრჩეველმა იკითხოს თორემ, ამდენ ხეტიალში გიორგი თარგამაძემ მშვენივრად აიწყო ცხოვრება, შეიძინა სახლები თბილისსა და ბათუმში... ქობულეთის ფიჭვნარში რამდენიმე ჰექტარი მიწა, ეს რაც ოფიციალურადაა ცნობილი...

შემდეგი საპრეზიდენტო სუბიექტია აკაკი ასათიანი. ამ პერსონასაც შეუტანია განაცხადი ცესკო-ში.

აკაკი ასათიანის პოლიტიკური კარიერა ასეთია: 1990 წ. არჩევნებში კენჭს მაჟორიტად იყრიდა ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1991-1992 წ.წ. იყო ფრაქცია „მრგვალი მაგიდის“ წევრი, 1990-1991 წ.წ. - პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1991-1992 წ.წ. – პარლამენტის თავმჯდომარე. 1992 წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, გახდა პარლამენტის წევრი, 1992-1995 წ.წ. იყო ფრაქცია „ტრადიციონალისტის“ თავმჯდომარე. 1995წ. არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტიული სიით, ვერ გახდა პარლამენტის წევრი. 1999 – 2003წ.წ. იყო პარლამენტის წევრი.

საქართველოში სამხედრო-კრიმინალური პუტჩის დაწყებისანავე აკაკი ასათიანი განერიდა საქართველოს დედაქალაქს ჯანმრთელობის გაუარესების მომიზეზებით და თავი ამოჰყო ქობულეთის ზღვისპირეთში.

ამით მან ფაქტიურად ჩაიდინა სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი ქმედება, მან უღალატა ამომრჩეველთა ნდობას, არ აღასრულა მანდატით მინიჭებული სახელმწიფო მოხელის სამსახურებრივი მოვალეობა და თავმჯდომარის გარეშე დატოვა საქართველოს კანონიერი საკანონმდებლო ხელისუფლება.

სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ ის საბჭოთა სუკ-ს ტროას ცხენად ჰყავდა შეგორებული ზვიად გამსახურდიას კანონიერ ხელისუფლებაში. ხალხი მის სუკისეულ მეტსახელ „მალიშზეც“ საუბრობდა. მას, ამ ხნის მანძილზე ახსენებენ მოღალატურ წარსულს.

„1992 წლის 2 იანვრის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, რომელსაც ასევე ხელს აწერს



ნ. ბურჭულაძე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანს მიეცა უზენაესი საბჭოს შენობაში 1992 წლის 4 იანვრამდე გამოცხადებისა და თავისი უფლებამოსილების განხორციელების წინადადება, წინააღმდეგ შემთხვევში პრეზიდიუმი მის მიმართ იტოვებდა სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერების უფლებას. საქართველოს უზენაესი საბჭო მოკლებული იყო ა. ასათიანის მხრიდან ხელმძღვანელობას და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი კანონიერად მოითხოვდა მისგან პარლამენტის შენობაში გამოცხადებასა და კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებას.

უზენაესი საბჭოს 38 წევრზე სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერების დადგენილება მიღებული იქნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ. აღნიშნულ დადგენილებას ხელს აწერს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბურჭულაძე. უფლებამოსილების შეჩერების საფუძველი გახდა დეპუტატთა ნაწილის მიერ უზენაესი საბჭოსა და მისი ორგანოების მუშაობაში თავის არიდება.

კანონიერი ხელისუფლება და საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნულ პერიოდში იმყოფებოდა შეიარაღებული ოპოზიციური ძალების მხრიდან გარშემორტყმულ მდგომარეობაში და თავდასხმებისაგან იცავდა თავს.“

*http://bpg.sytes.net/Simartle/default0a54.html?bpgpid=35&pg=1*

საინტერესო და ყურადსაღებ მასალებს გვაწვდის გაზეთ „ჯორჯიან ტაიმსისი“ ჟურნალისტი მაკა ივანიშვილი, რომელიც ამხელს ა. ასათიანის ყალთაბანდობასა და ორგულობას.

აკაკი ასათიანი ჟურნალისტის შეკითხვაზე - „ზვიად გამსახურდიამ 1992 წელს ტრადიციონალისტთა კავშირთან დაკავშირებით წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც თქვენ ხუნტასთან შეკრული გიწოდათ...“ ასე თვალთმაქცურად პასუხობს: „ჩემი თხოვნაა, ყურადღებით წაიკითხოთ ეს წერილი. ნახეთ, რა წერია თავში. ზვიადი დადებითად წერს ტრადიციონალისტთა კავშირის შესახებ. ზვიადი იმ პერიოდში დევნილობაში იმყოფებოდა და, შესაბამისად, ინფორმაციას სრულად ვერ ფლობდა. ამიტომ წერილში ბევრი ემოციაა ჩადებული.“ (?)

ჟურნალისტის მეორე შეკითხვას - „ამბობენ, რომ 1991 წლის დეკემბერში ავადმყოფობა მოიგონეთ და ზვიადს უღალატეთ...“ გაიძვერა აკაკი ასათიანი ასეთ პასუხს აძლევს: „მე არაფერი მომიგონებია. მაშინ, ამასთან დაკავშირებით, ბატონი ზვიადი საქმის კურსში იყო. მან თავად მთხოვა წავსულიყავი ქობულეთში. მე არ ვაპირებდი იქ წასვლას, რადგან გულის მსუბუქი სტენოკარდიული შეტევა მქონდა. სერიოზული არაფერი იყო. უბრალოდ, გადავიღალე. მანამდე, სექტემბერში, დილომში, საავადმყოფოში ვიწექი. სამწუხაროდ, დღეს იმ ექიმის გვარი და სახელი არ მახსოვს, რომელმაც, მაშინ, აჭარაში მიმკურნალა. მახსოვს, 2 თუ 3 კვირა ვიწექი. მაშინ არც მითქვამს, რომ მძიმედ ავად ვიყავი.“

მაგრამ საზრიან და გონებამახვილ ურნალისტს მისი მაშინდელი მკურნალი ექიმისთვისაც კი მიუკვლევია და ცივ წყალს ასხამს ცრუპანტელა ა. ასათიანის ყალთაბანდობას;

ასათიანის ექიმი ავთო მიქელაიშვილი: „კაკო ასათიანს ჩვენს საავადმყოფოში ჩაუტარდა ყველა სახის სამედიცინო გამოკვლევა. არავითარი პათოლოგია არ გამოვლენილა, უფრო მეტიც, კაკო სავსებით ჯანმრთელი იყო, მითუმეტეს, კარდიოლოგიის მხრივ, მაგრამ საავადმყოფოში მაინც დავტოვეთ. მე თვითონ მისთვის საჭმელ-სასმელიც კი მიმქონდა. იგი საავადმყოფოში რამდენიმე დღე დარჩა, რის შემდეგაც თავის

მშობლიურ მხარეში, გურიაში წავიდა. მას შემდეგ ავთო მიქელაიშვილს „პაციენტი“ აკაკი ასათიანი აღარ უნახავს.“

სამგზის ნაპარლამენტარ ასათიანს პრეზიდენტობაც მოუნდა, მაგრამ, როგორც ირკვევა დიდძალი ვალების გასტუმრების შესაძლებლობით.

„ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი, აკაკი ასათიანი დღეს სახლიდან გამოასახლეს“. ამგვარ ინფორმაციას გადასცემენ ყველა სატელევიზიო არხები. მათივე ინფორმაციით, აკაკი ასათიანს სულთნიშვილის ქუჩაზე საკუთარი 4 სართულიანი სახლი დაგროვილი დიდძალი ვალების გადაუხდელობის სანაცვლოდ ბანკმა ჩამოართვა.

დღის განმავლობაში, ასათიანის სახლთან შეკრებილები იყვნენ, აგრეთვე კერძო იპოთეკარებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დაზარალებულები არიან და მათ, სხვადასხვა დროს, ასათიანს თანხები ასესხეს, რის დაბრუნებასაც წლებია ელიან და უკვე რამდენიმე წელია, ასათიანს მხოლოდ ძირითად თანხას სთხოვენ.“

აღნიშნულ არასახარბიელო ფაქტთან დაკავშირებით თვით აკაკი ასათიანი ასეთ კომენტარს აკეთებს: „პირადად მე 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად შემექმნა ფინანსური პრობლემები, ვცდილობდი გამოვსულიყავი კრიზისიდან და სასესხო ვალდებულები გამესტუმრებინა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე. გუშინ ჩემს სახლში პოლიცია იყო და მათი თანადასწრებით დავცალე სახლი აღებული სესხის გამო, რომელიც ვერ დავაბრუნე, ბანკმა საკუთრებაში წაიღო. ამის გარდა, ფიზიკური პირებისთვისაც მაქვს ვალი დასაბრუნებელი. ამას მოვაგვარებ და ყველა მევალეს თავის კუთვნილ თანხას დავუბრუნებ.“ http://www.citizens.ge/index.php?name=PagesF&op=page&pid=434#.UiEkKb2rxnM

**„ საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 10%-ის მოგროვებას შეძლებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიონს მიიღებს“ . კერძოდ „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებისას 5%-იან ბარიერს გადალახავს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარავად, ერთჯერადად არა უმეტეს 1 000 000 ლარს იღებს, მათ შორის, 300 000 ლარს მიზნობრივად წინასაარჩევნო სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარავად. პარლამენტში უკვე ინიცირებულია „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის თანახმადაც, საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფარვის მიზნით 1 მილიონს მიიღებს, როგორც საპარლამენტო არჩევნებში 5%-ბარიერს გადალახული საარჩევნო სუბიექტი, ასევე ის, ვინც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ხმების 10%-ს და მეტს მოაგროვებს.**

ეს არის წელიწადნახევრის წინ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და ოპოზიციის ნაწილს შორის შეთანხმების შედეგად საარჩევნო კოდექსში ჩადებული წესი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებსაც შეეხება.“ http://pirveliradio.ge/index.php?newsid=6768#sthash.QXG4AzeF.dpuf

და ეს ყველაფერი ხდება იმ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, რომელსაც აკაკი ასათიანმა ძნელბედობის ჟამს უღალატა და აგერ უკვე ორათეულ წელზე მეტია თავზე გვექცევა!

10% ბარიერის გადალახვის იმედი ჩასახვია ა. ასათიანს და ამ 10% მოზრდილ ნაწილს მისი მევალეებიც შეადგენენ რა თქმა უნდა, იმ იმედით რომ კანონით გათვალისწინებულ თანხას მიიღებს მათი მევალე-კანდიდატი და ამით მათაც ეშველებათ.

ნახეთ, ზემოხსენებული საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი თარგამაძე უფრო ხელსაყრელი „ინიციატივით“ გამოდის და საპროცენტო მაზანდის 4%-ზე დაყვანას ითხოვს! ამგვარმა გაიძვერებმა ეს სახელმწიფო საკუთარ მეწველ ძროხად გადააქციეს! სახელმწიფო ბიუჯეტი ხომ მათ მიერ გაბითურებული და დაჩაჩანაკებული ხალხის კისერზეა! დასცინიან, აბუჩად იგდებენ, სულში აფურთხებენ ხალხს და თან ხმის მიცემასაც ითხოვენ!

პრეზიდენტობა განუზრახავთ, აგრეთვე მრავალგზის ნაპარლამენტარ ნესტან კირთაძეს, ნამინისტრალ სალომე ზურაბიშვილს, მრავალგზის ნაპარლამენტარ და ორგზის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ანზორის ასულ ბურჯანაძეს.

ნესტან კირთაძე საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს „ეროვნულ-დემოკრატებთან“ ერთად მოევლინა და ახალ ნაპუტჩარზე მათთან ერთად „იმედის პარლამენტის“ ალაყაფის კარიც შეაღო. მაგრამ გია ჭანტურიამ ის 1993 წელს გარიცხა პარტიიდან დსთ-ში ხმის მიცემის გამო. უკიდეგანო პოლიტიკური სივრცის მოთხივნილებამ და ამბიციებმა ნესტან კირთაძეს „მოქალაქეთა კავშირის“ დამაარსებელ პიონერეთა შორის ამოაყოფინა თავი, რომლის პოლიტიკური მდივანიც იყო გარკვეული წლების განმავლობაში, მაგრამ ვერც აქ დაიტია თვითმყოფადობისაკენ სწრაფვამ და 1996 წელს იქიდანაც გარიცხეს. შემდეგ ხდება ლეიბორისტული პარტიის წევრი, საიდანაც გაირიცხა ასლან აბაშიძის „აღორძინებაში“ გადასვლის გამო. 1999 წელს შექმნა საკუთარი პარტია სახელწოდებით „დემოკრატიული საქართველო“, რომელიც 2005 წელს დაშალა და კვლავ შებრუნდა ლეიბორისტებში. ბიძინას პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ და მის მიერ ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტების მილიონიანი ფეშქაშით დასაჩუქრებამ, ამ ქალბატონს კვლავ შეაცვლევინა პოლიტიკური ხედვა და იმ იმედით რომ შეაღწევდა ბიძინას მარაქაში, კვლავ წიხლი კრა ლეიბორისტულ პარტიას და გაეშურა ოლიგარქ-მეცენატ-პოლიტიკოსის ბანაკისაკენ, მაგრამ მისდა სამწუხაროდ ზღუდენი ამ ბანაკისა მისთვის აუღებელი აღმოჩნდა. იხტიბარი არ გაიტეხა და საყოველშემთხვევისოდ ახალი რამ შექმნა კომბინირებულ-ინოვაციური სახელწოდებით „ქართულ-აფხაზური და ოსური საერთაშორისო მოძრაობა“. ამ ორგანიზაციის სახელწოდებიდან აზრის გამოტანა მკითხველისთვის მიგვინდვია, ჩვენ კი მაინც ვერ ვგებულობთ როგორი და რომელი საერთაშორისო მასშტაბით უნდა იმოძრაოს ამ ორგანიზაციამ.

ნესტან ლევანის ასული (სხვათაშორის მისი განსვე-



ნებული მამა ორთოდოქსი კომუნისტი ბოლშევიკი იყო და წლების მანძილზე კომპარტიის საქალაქო კომიტეტშიც მუშაობდა) გამოუსწორებელი ოპტიმისტია და კანონით გათვალისწინებულ 10% ბარიერის გადალახვის შემთხვევაში მილიონიან თამასუქს ვინ დაეძებს, ხმამაღლა აცხადებს: „მე თუ მაქვს ამბიცია პრეზიდენტობაზე, მე უკვე მოქმედი პრეზიდენტი ვარ.“

საფრანგეთში ქართველი ემიგრანტის ოჯახში დაბადებული და აღზრდილი სალომე ზურაბიშვილის ბიოგრაფიული მონაცემები ასე გამოიყურება:

2003-2004 - საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში 2004-2005 - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2005- „სალომე ზურაბიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის“ ლიდერი 2006წ. პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი. ვითარებიდან გამომდინარე. უპრიანია გასული საუკუნის 90-იან წლებს მივუბრუნდეთ.

1990 წელს ჟურნალ „ივერიას“ გამოსცემდა ძირგამომთხრელი ორგანიზაცია „ქართულ-ევროპული ინსტიტუტი“ – რომელიც პარიზში საბჭოთა გლობალისტური წრეების მიერ დაარსდა და რომელსაც ზურაბიშვილის ქმარი ჯანრი კაშია ხელმძღვანელობდა. ეს სამ კაციანი „ინსტიტუტი“ მთლიანად ქართული ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციით იყო დაკავებული.

ამ ჟურნალში ფსევდონიმი ავტორი „პეტრე იბერი“ ( სალომე ზურაბიშვილი მოიაზრება) - წერდა ეროვნული ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართ: „დიქტატურისაგან ან შინაური დამპყრობლისაგან განთავისუფლების ლეგიტიმურ, კანონიერ გზად, მხოლოდ ერთადერთი გზა რჩება - აჯანყება. აქ აჯანყებულთა რაოდენობას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ მათ მიერ დიქტატორის ჩამოგდების ფაქტს... დღეს საქართველოში მოქმედებს სამხედრო საბჭო. სამხედრო საბჭოს არსებობის აუცილებლობა მტკიცდება იმ მდგომარეობით, რომელიც შექმნილია საქართველოში, დიქტატორის ჯერ კიდევ მადესტაბილიზებელი ბრძოლით თავის უკანონოდ მიტაცებული ძალაუფლების დასაბრუნებლად... სამხედრო საბჭო და დამფუძნებელი დარბაზი დროებით მთავრობასთან ერთად წარმოადგენენ დიქტატურის წინააღმდეგ და დემოკრატიის აღდგენისათვის მებრძოლ დემოკრატიულ ორგანოებს... და ამ ბრძოლის აჯანყებაზე უფრო კანონიერი, ლეგიტიმური გზა და ფორმა კაცობრიობის ისტორიას დღემდე ვერ უპოვნია.“ („ივერია“, ნომერი 1, 1992, გვ. 8-10)

სწორედ მათ შესახებ ამბობდა ზვიად გამსახურდია გაცილებით ადრე სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებამდე:

ამ ჯგუფმა დიდი როლი ითამაშა დასავლეთის გარკვეულ პლიტიკურ წრეებში საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდაში.

გადის წლები, სალომე ზურაბიშვილი ინიშნება საქართველოში საფრანგეთის რეპუბლიკის ელჩად. მალე

**ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენციიდან** *(1991 წლის 2 თებერვალი)*:

**რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქცია საქართველოს მტრების ხელშია, მოსისხლე მტრების ხელშია. გესმით, კრემლის აგენტურის ხელშია. პირველ რიგში, კაშია, ლაშქარაშვილი, კლიმიაშვილი და აი, ესენი დათარეშობენ ეთერში და მსოფლიოს წამლავენ...**



თამაშდება ფარსი„ვარდების რევოლუციის“ სახელწოდებით და სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილის ნეოპუტჩისტურ ხელისუფლებაში იკავებს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს. 2005 წელს ის ხოტბას ასხამს სააკაშვილს:

სალომე ზურაბიშვილი: „ჩვენ გვყავს ნამდვილი ევროპული ტიპის, დემოკრატიული ღირებულებების დამცველი პრეზიდენტი. მას ძალიან ბევრი დადებითი მხარე გააჩნია, მათ შორის, სოლიდური დიპლომატიური გამოცდილება, რაც მის ასაკში არცთუ ჩვეულებრივი ამბავია„(2005 წ.).

მაგრამ თაფლობის თვე დიდხანს არ გაგრძელებულა და სალომე ზურაბიშვილი მტრად ეკიდება შევარდნაძის ნებიერა მ. სააკაშვილს და 2006 წელს სრულიად საპირისპიროს აცხადებს:

„სამწუხაროა, ჩვენმა პრეზიდენტმა არ იცის დიპლომატიის ანი-ბანი, ამ საქმეში ის პირდაპირ ოროსანია. საკუთარი თვალით დავრწმუნდი, რომ ეს ასეა და არაერთხელ. ბევრი ენა იცისო, ენებიო, ენებიო... უკაცრავად, მაგრამ პოლიტიკა პოლიგლოტია არ არის, ენების ცოდნა აქ მთავარი არ არის, არც – მნიშვნელოვანი“ (2006 წ.).

პოლიტიკური ცხოვრების წარმართვისათვის, როგორც წესი საკუთარი ელექტორატის პოვნა და შემოკრებაა საჭირო.

ს. ზურაბიშვილი ცდილობს საზოგადოების წრეების მიმხრობას, მათ შორის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა უზარმაზარი არმიიდან. გაქნილი დიპლომატი გარკვეულწილად ახერხებს კიდეც ამას. ზურაბიშვილის ამასწინანდელი განცხადება თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების მოთხოვნასთან დაკავშირებით, რითაც იგი საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის თავგამოდებულ ჭირისუფლად და ქომაგად გვევლინება, „ზვიადისტების“ გულის მოგებასა და მიმხრობას ისახავს მიზნად.

სწორედ რომ არ ჰქონია საზღვარი თვალთმაქცობასა და უტიფრობას!

სალომე ზურაბიშვილის დარ პოლიტიკურ ავანტურისტებს საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის სახელი მაშინ ახსენდებათ, როდესაც საჭიროა მათი პოლიტიკური კარიერის აღმასვლისა და განმტკიცებისათვის.

დღეს ქართულ პოლიტიკაში ქალების სიჭარბეა, თითქოს და ამაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ ჩვენ გვახსოვს დღევანდელი პოლიტისტებლიშმენტის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების არსებობის ჟამს.

ესენი დუჟმორეული გაჰკიოდნენ: „პოლიტიკაში ქალის ადგილი არაა, გამსახურდიამ გაავსო ქალებით პოლიტიკა“ და ასე შემდეგ...

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში მოღვაწეობდენ ყოვლად ღირსეული ქართველი მანდილოსნები პროფესორი ქალბატონები: ნათელა ქუთელია, მაია მაჭავარიანი, მანანა გაბაშვილი, ლია ანდღულაძე, მაია ნათაძე, ქართული საოპერო ხელოვნების ვარსკვლავი მაია თომაძე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამაგდარი ისტორიკოსი ქალბატონი ლია კაცაძე და სხვ.

და თუ ამ ღირსეული ქალბატონების ადგილი არ იყო ქართულ პოლიტიკაში და საზოგადო ცხოვრებაში, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ შელახული რეპუტაციის მქონე შევარდნაძის ქალთა რაზმზე: ლანა ღოღობერიძეზე, იზა ორჯონიკიძეზე, ქეთი დოლიძეზე, ირინა სარიშვილზე, მანანა გიგინეიშვილზე, და უამრავ სხვა პერსონებზე?

ქალთა ნაკლულობას, არც დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი განიცდის თავისი ცოლებით, ცოლისდებით, სიდედრებითა და სისხლისმიერი ნათესავებითა თუ სამეგობროთი.

ამ წერილით შევეცადეთ გამოგვეხატა ჩვენი დამოკიდებულება დღევანდელ საარჩევნო მარათონთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა ეს არ არის სრულყოფილი მიმოხილვა კარსმომდგარი საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატებისა, ერთი საგაზეთო წერილი ბუნებრივია ყველას ვერც დაიტევდა ამიტომ დანარჩენი „ცნობადი სახეები“ შემდგომი წერილისთვის შემოვინახეთ.

**ალ. სანდუხაძე**

# საყდრისის ოქროს საბადოს ბედი კვლავ გაურკვეველია

**რაულ გვეტაძე, სრული პროფესორი, დოქტორი**

2013 წლის 5 ივლისის 03/108 ბრძანების საფუძველზე „საყდრისის ოქროს მაღაროს“ მოეხსნა უძრავი ძეგლის სტატუსი. კულტურის მინისტრმა **გურამ ოდიშარიამ** თავის ბრძანებას საფუძვლად დაუდო 11 კაციანი კომისიის დასკვნა, რომელსაც კომისიის ორმა წევრმა ბესიკ მაცაბერიძემ და პაატა გაფრინდაშვილმა ხელი არ მოაწერა, მართალია გურამ მირცხულავამ დოკუმენტს ხელი მოაწერა, მაგრამ იქვე მიუთითა დანართში დაფიქსირებულ შენიშვნაზე, რომელიც არსებითად ეჭვქვეშ აყენებს კომისიის დასკვნას:

„საყდრის საბადოზე ოქროს მოპოვების შესახებ გეოლოგების უარყოფითი დასკვნის გაზიარებისგან თავს ვიკავებ ჩემთვის საკმარისი არგუმენტაციის არ არსებობის გამო და გერმანიის მხარის საპასუხო არგუმენტების მოსმენის გარეშე.

რაც შეეხება თავად საყდრისის ძეგლს, ის წარმოადგენს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლს იქ აღმოჩენილი მაღაროსა და არტეფაქტების გათვალისწინებით.

მე–IV ათასწლეულის ანალოგიური მაღარო, თუნდაც სპილენძის, ჩემთვის ცნობილი არ არის“.

დარჩა ხელის მომწერთა 8 კაციანი შემადგენლობა, მათ შორის თ. ჩიხრაძე, რომელიც სამინისტროს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელია. დანარჩენ ხელმძღვანელთაგან, ორი ვ. ლიჩელი და გ. ყიფიანი მეტად საპატივცემულო არქეოლოგები არიან, მაგრამ არქეომეტალურგიის სპეციალისტები არ გახლავან.

კომისიის არაკომპეტენტური დასკვნის მიზეზია ის, რომ მის შემადგენლობაში მონაწილეობა არ მიუღია მეტალურგებს და სამთო საქმის სპეციალისტებს.

სახელოვან მეცნიერს, აღიარებულ არქეოლოგს, ირინე ღამბაშიძეს ედავებიან იმაში, რომ მაღაროში ოქროს კი არა სპილენძის მადნის მოპოვება მიმდინარეობდა. განვითარების იმ სტადიაზე, რომელიც ეთანადება მაღაროს ასაკს სპილენძი პირომეტალურგიის წესით ხის ნახშირის გამოყენებით ოქსიდური მადნებიდან მიიღებოდა. საყდრისის მაღაროში სპილენძის სულფიდირული მადანია. ასეთი მადნის გამოყენება მხოლოდ III-II ათასწლეულს იქნა ათვისებული. ამიტომ იმის მტკიცება, რომ საყდრისის მაღაროში მოპოვებული ნედლეულისგან სპილენძის გამოდნობის პრიორიტეტი ჩვენს წინაპრებს ეკუთვნის საჭიროებს სერიოზულ დასაბუთებას და თუ ამას ვინმე შეძლებს ძეგლის ისტორიულ–კულტურული სტატუსი კიდევ უფრო ამაღლდება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს და ვიცე–პრეზიდენტ ალექსანდრე თვალჭრელიძის მიმართვას კომისიისადმი, რომელმაც თავისი ავტორიტეტით უარყოფითი გავლენა იქონია ზოგიერთ წევრზე. მან არაფრად ჩააგდო, რომ ეს მაღარო მტკვარ არაქსის კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლია, ქართული ცივილიზაციის კერაა და უბრალო ტურისტულ ობიექტად მიიჩნია.

მეცნიერი ბრძანებს:

„სამთო საწარმომ 2012–2013 წ. წ. უკვე განახორციელა 270 მლნ. ლარის ოდენობის ინვესტიცია“, და უპასუხოდ ტოვებს კითხვას თუ რატომ დახარჯა შპს RMG წინასწარ ფული საბადოს იმ უბანზე, სადაც მდებარეობს მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური უძრავი ძეგლი, მაღარო რომლის მიდამოებში მოფენილია 10000 ქვის იარაღი და არ გაითვალისწინა ამ ძეგლის შენარჩუნების ვერსია.

შემდეგ ა. თვალჭრელიძე ბრძანებს:

„სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე დაუყოვნებლივ დაშვებული უნდა იქნას ყაჩაღანის უბნის სრული სამრეწველო ათვისება“.




ძვ. წ. 5400 წლით დათარიღებული ძეგლის ლიკვიდაციაში, ამ ბარბაროსული აქტის განხორციელებაში RMG–ს ინკოგნიტო მფლობელები 20 ტ მოპოვებული ოქროს რეალიზაციით დაახლოებით 800 მლნ. დოლარის მოგებით ისარგებლებენ, ამნაირ სახელმწიფო ინტერესებზე ქადაგებს პატივცემული მეცნიერი ა. თვალჭრელიძე.

„საყდრისის ოქროს მაღაროს“ შეფასების ობიექტურ ექსპერტად არ შეიძლება ჩაითვალოს ა. თვალჭრელიძე, რადგან მისი გამონათქვამები არსებითად და დეტალებში ემთხვევა RMG–ის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის ზურაბ ქუთელიას წერილის შინაარსს, რომელიც 26. 04. 2013 წ. გაგზავნილი იყო პრემიერ მინისტრის ბ. ივანიშვილის სახელზე.

ნამდვილი სახელმწიფო ინტერესი ჩამოყალიბებულია გერმანიის ევრაზიის არქეოლოგიური ინსტიტუტის პროფესორის დოქტორ სვენდ ჰანსის 22.05.2013 წ. წერილში:

„მე მიმაჩნია, რომ ქვემო ქართლში მდებარე არქეოლოგიურ ძეგლებს აქვთ არა მარტო მეცნიერული, არამედ ეკონომიკური დატვირთვაც; კერძოდ, შესაძლებელია ტურისტული მარშრუტის შედგენა, რომელიც მოიცავს დმანისს, როგორც ევროპაში უძველესი ადამიანის აღმოჩენის ადგილს; არუხლოს, როგორც ადრე სამიწათმოქმედო ნამოსახლარს და საყდრისს, როგორც მსოფლიოს უძველეს ოქროს საბადოს.

***შესაძლებელია ასეთმა მარშრუტმა მიიზიდოს ათასეულობით ტურისტი, ეს შეიძლება გახდეს პროექტი მომავლისთვის, მაშინ როცა ოქროს მოპოვება მხოლოდ თანამედროვეობის პროექტს წარმოადგენს, გრძელვადიანი პერსპექტივის გარეშე“.***

თუ RMG–ს არ სურს დაიცვას საყდრისის ოქროს საბადოს უძრავი ძეგლი, ლიცენზია მიმდებარე ტერიტორიის საბადოს გამოყენებაზე გადაფორმდეს იმ დაწესებულებაზე ვინც უზრუნველყოფს ძეგლის შენარჩუნებას და ტურისტულ ობიექტად გამოყენებას.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 28 მაისი 2013 წლის №03/82 ბრძანება „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ სამართლებრივად მიუღებელია:

„1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით...

2. კომისიამ 2013 წლის 30 ივნისამდე უზრუნველყოს მის წინაშე დასმულ საკითხებზე დასკვნის მომზადება“.

ასეთი შინაარსის ბრძანება ერთმნიშვნელოვნად უბიძგებს კომისიის წევრებს არაობიექტური დასკვნის მიღებისკენ, ფაქტობრივად ძეგლის ლიკვიდაციისკენ, რაც გახლავთ კომისიის არაკომპეტენტური დასკვნის მიზეზი.

კომისიის დასკვნა ახმოვანებს „არ–ემ–ჯი გოლდის“ ინტერესებს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ–კულტურულ ინტერესებთან. კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ თავი ვერ გაართვა საქართველოს პრემიერ–მინისტრის დავალებას: – „გთხოვთ განიხილოთ და უზრუნველყოთ შემდეგი რეაგირებისათვის“. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს მინისტრმა არსებითად დათვური სამსახური გაუწია პრემიერ–მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ვერ გაითვალისწინა საქმის პოლიტიკური მნიშვნელობა და ამით შეურყია რეპუტაცია, რითაც საბაბს აძლევს არაკეთილმოსურნე მოღვაწეებს დისკრედიტაციული მოქმედებისაკენ, რომ ასეთი ქმედება გამოიწვევს ქართული ოცნების იდეოლოგიურ ფიასკოს.

კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრს ობიექტური ინფორმაცია „საყდრისის ოქროს მაღაროს“ სამეცნიერო, კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის შესახებ წარუდგინეს შემდეგმა სპეციალისტებმა:

1. ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტიდან:

ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ–კორესპონდენტმა, პროფესორმა გიორგი თავაძემ;

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ჯუმბერ ხანთაძემ.

დირექტორის მოადგილემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოქტორმა დავით სახვაძემ;

2. გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტიდან:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ–კორესპონდენტმა ლ. ჯაფარიძემ; აკად. დოქტორმა ე. მატარაძემ.

3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან:

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, სრულმა პროფესორმა, ფაზისის აკადემიის წევრმა, მადნეულის სპილენძის კონცენტრატის კომპლექსური გადამუშავების პროგრამის ავტორმა, კომისიის დასკვნის ოპონენტმა რაულ გვეტაძემ;

ოქროს მეტალურგიის მაღალკვალიფიცირებულმა მეცნიერმა და პრაქტიკოსმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა რევაზ კანაშვილმა.

აუცილებელია აღდგეს კლუტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (რომელიც ეთრპიროვნულად, ყოველგვარი ექსპერტიზის გარეშე ჩამოართვა კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და დაამტკიცა პრეზიდენტმა), მითუმეტეს, როდესაც საბედნიეროდ არსებობს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის გ. გაბაშვილის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ი. ჩიგოვაძის 2006 წ. 17 ივნისის ერთობლივი ბრძანება, რომელშიც აღნიშნულია:

„დამტკიცდეს დაბა საყდრისში სამთო–სამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონა დანართში (№2) მითითებულ ფარგლებში“.

საყდრისის საბადოს დამუშავება უნდა განხორციელდეს არა ღია კარიერული, არამედ მიწისქვეშა, შახტური მეთოდით.

ოქროს საბადოების დამუშავების ასეთ პრაქტიკას ზოგჯერ მიმართავენ აშშ–შიც კი, სადაც ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვის მიზნით უარს ამბობენ საბადოს კარიერული წესით დამუშავებაზე და იყენებენ შედარებით ძვირშახტურ მეთოდს.

ოქროს შემცველი მადნის გადამუშავების რენტაბელურობის მინიმუმი ოქროს შემცვლელობის მიხედვით შეადგენს 0.15–0.2 გ/ტ–ზე. შესაბამისად, არსებული საბადოს, თუნდაც შახტური მეთოდით გადამუშავების რენტაბერულობა ეჭვს არ იწვევს.

უძველესი ქართული ცივლიზაციის პოპულარიზაციის მიზნით აუცილებელია საყდრის–ყაჩაღიანის ზონა გამოცხადდეს დაცულ ტერიტორიად და იქ აშენდეს მტკვარ–არაქსის კულტურულ–ისტორიული მუზეუმი.

ასეთი კულტურული ფორპოსტის შექმნა მიზანშეწონილია სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

იგი დმანისის – ევროპაში უძველესი ადამიანის აღმოჩენის ადგილსა და არუხლოს ადრესამიწადმოქმედო ნამოსახლართან ერთად კომპლექსში, უდაოდ გახდება ქართული ტურისტული ბიზნესის ეთნო–კულტურული ბრენდი.

უახლესი ისტორია

# როგორ გააუქმეს კოლაბორაციონალისტმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა და შალვა ნათელაშვილმა უზენაესი საბჭო

1991 წლის შემოდგომაზე საბჭოთა საქართველოს პრივილეგირებული კლასი, კორუმპირებული პარტიული და სამეურნეო ფუნქციონერები - „ჩრდილოვანი ეკონომიკის ტუზები", „კანონიერი ქურდები" და პრივილეგირებული ინტელიგენცია - საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დასამხობად გენერალურ შეტევაზე გადავიდა. ამ ოთხ კოლონას საკუთარი როლები გადანაწილებული ჰქონდათ, მაგრამ იყო მეხუთე კოლონაც, რომელსაც ჰამლეტ ჭიპაშვილი წარმოადგენდა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აპარატის უფროსი, სამდივნოს ხელმძღვანელი - მრავალი ათეული წლის შემდეგ სამართლიანი და მრავალპარტიული არჩევნების გზით ქვეყნის ხელისუფლებაში მოსული პარლამენტის უაღრესად საპასუხისმგებლო ორგანოს ხელმძღვანელი ,- კანონიერ ეროვნულ ხელისუფლებას ძირს შიგნიდან უთხრიდა; საბოტაჟი და დივერსიები, ხალხის წერილებისა თუ კორესპონდენციების ბლოკირება, უზენაესი საბჭოს ავტორიტეტის შებღალვა მისი სამოქმედო ბერკეტი იყო!

ჰამლეტ ჭიპაშვილი საბჭოთა ნომენკლატურიდან გამოსული ფუნქციონერი, დიადი საბჭოეთის აპოლოგეტ-პოლიტოლოგი გახლდათ, რომელიც უმალ გადახტა ეროვნული ხელისუფლების ნავში, თუმცა ერთი წუთითაც არ განშორებია „თავისიანთა" დროის ლოდინსა და მოყვანის ფიქრს. და როცა მისი ფარული შეთქმულებითაც დადგა ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების ჟამი, ამ მეხუთე კოლონამ, ღალატის დანა უმალ ჩასცა საქართველოში კონსტიტუციურ კანონიერებას; ტერორისტული დიქტატურის დამყარებისთანავე, ჰამლეტ ჭიპაშვილმა ხელთ იგდო უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შრომის წიგნაკები და უკანონოდ გააკეთა მასში დანაშაულებრივი ჩანაწერები, რის დასამოწმებლადაც თვითნებურად გამოიყენა უზენაესი საბჭოს ბეჭედი, თუმცა პირადად, თვითნებურად, ნამდვილად არ უმოქმედია, არამედ შეასრულა ხუნტის (სიგუა-კიტოვანი-იოსელიანი) დაკვეთა, რამეთუ ხუნტამ დანიშნა იგი უზენაესი საბჭოს „სალიკვიდაციო სამსახურის უფროსად" 1992 წლის 2 იანვარს და სწორედ ამ დღეს გააუქმა ხუნტამ ეროვნული ხელისუფლების მოქმედი კონსტიტუციაც . უზენაესი საბჭოს დეპუტატთა „შრომის წიგნაკებში" კი ამგვარი ჩანაწერ-ვერდიქტი გააკეთა: „შეუჩერდა უფლება მოსილება საქ. რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე" და დაათარიღა 1992 წლის 2 იანვრით, ანუ იმ პერიოდით, როდესაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი უზენაესი საბჭო, ჯერ კიდევ ამ შენობაში იმყოფებოდნენ და იგერიებდნენ ხუნტის შტურმს.





უთუოდ, ქვემეხებისა და ბომბდამშენ თვითმფრინავების გრუხუნში მოსდიოდა ლაფსუს-შეცდომა გამალებულ ღვაწლ-ამაგაში ჩაფლულ ჰამლეტ ჭიპაშვილს, როდესაც უზენაესი საბჭოს დეპუტატების უფლება-მოსილების შეჩერების საფუძვლად, ზოგის შრომის წიგნაკში ერთიდაიგივე თარიღით, „სახელმწიფო საბჭოს წერდა" , ხოლო ზოგისაში კი , „სამხედრო საბჭოს", მაშინ, როდესაც 1992 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო საბჭო ქართულ რეალობაში არ არსებობდა, ვიდრე შევარდნაძის ჩამოსვლამდე, ანუ 7 მარტამდე.

ცხადია, რომ რუსეთში წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი საქართველოში მებრძოლი სამხედრო საბჭოს (ხუნტის) „სახელმწიფო საბჭოდ" ფორმირების საკითხიც და ხუნტის ორგანიზატორ რუსულ ძალებთან საიდუმლო თანამშრომლობაში მყოფ ჭიპაშვილს ამ გეგმის არსებობა ცდომილებით ურევდა თავ-გზას.

ჰამლეტ ჭიპაშვილის მოღალატური ქმედების საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბატონ ნემო ბურჭულაძისა და უზენაესი საბჭოს წევრის ბატონ რობერტ პეტრიაშვილის „შრომის წიგნაკების" ***ქსეროასლებს.***


შრომის წიგნაკი
გვარი
სახელი
მამის სახელი
დაბადების წელი 1946
განათლება
პროფესია
შრომის წიგნაკის შემვსები ხელმოწერა
შრომის წიგნაკის შევსების თარიღი 1966 წ. 20 XII


ცნობები მუშაობის შესახებ


რობერტ პეტრიაშვილი
მუშაობის შესახებ

ჩვენ მოვინადინეთ ინტერვიუ აგვეღო ბატონი ჭიპაშვილისაგან და შევეცადეთ კითხვები დაგვესვა მისთვის. ბატონმა ჰამლეტმა პირდაპირი შეხვედრა არ ისურვა ჩვენთან, ხოლო სატელეფონო შეკითხვებს კი ვერ გაუძლო და ბილწსიტყვაობით გათიშა საუბარი. ერთადერთი, რაზედაც მან ტელეფონით გვიპასუხა ეს შეკითხვა იყო:

კითხვა: მიუხედავად იმისა, რომ თქვენ წარმოადგენდით კომუნისტურ ნომენკლატურას, საბჭოთა პოლიტოლოგს, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ნდობა გამოგიცხადათ და დაგნიშნათ უზენაესი საბჭოს აპარატის უფროსად, რასაც თქვენ ღალატით უპასუხეთ, დღესაც ამართლებთ თქვენს საქციელს?

პასუხი: დიახ, სავსებით ვამართლებ, რადგან მე დავინიშნე საქართველოს უკანალის (მან უფრო უხეში ფორმა იხმარა-ლ.ც) და არა ზვიად გამსახურდიას უკანალის (აქაც...) მლოკავად!

კითხვა: თქვენი საქციელი მეტყველებს თუ არა შეთქმულებაზე ზვიად გამსახურდიას...

ეს მომდევნო კითხვა ნერვიული პასუხით შემაწყვეტინა:

– არა!

და მობილური გათიშა.

დიახ, ჯავაჰარლალ ნერუს პერიფრაზით თუ ვიტყვით, ჰამლეტ ჭიპაშვილი კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ტიპიური ინტელიგენტი აღმოჩნდა!

1993 წლის 24 სექტემბერს რესპუბლიკის დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ქვეყანაში დაბრუნდა და კონსტიტუციური კანონიერების აღდგენა დაიწყო. ამ კრიტიკულ მომენტში, შალვა ნათელაშვილმა, რომელიც 1992 წლის 11 ოქტომბრის ხუნტის პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე იყო, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას"(იხ. №235(763), 29 ოქტომბერი, 1993 წელი) განუცხადა: „რესპუბლიკა დღეისათვის ცხოვრობს და მუშაობს 1992 წლის ნოემბერში მიღებული ძირითადი კანონით „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ",

აქედან გამომდინარე, სამართლებრივად ძალადაკარგულია საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია, შემდგომი ცვლილებებითურთ და მასთან ერთად პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს ინსტიტუტიც ბათილია".

ასე „გააუქმა" შალვა ნათელაშვილმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს ინსტიტუტი 1993 წელს.

შალვა ნათელაშვილის აღნიშნული „ვერდიქტი" გამოიცა იმ დღეებში, როდესაც ედუარდ შევარდნაძის უზურპატორული რეჟიმის დასაცავად საქართველოში შემოჭრილი იყო რუსეთის სამხედრო ძალები ადმირალ ბალტინის სარდლობით.ეს კი, სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა, სამართლებრივი საფარის შექმნა საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების განადგურების სამხედრო ოპერაციისათვის.

ამჟამინდელი საპრეზიდენტო კანდიდატის ბატონი შალვა ნათელაშვილის პოლიტიკური რენომეს უფრო სრულყოფილად წარმოსაჩენად ჩვენ გაზეთის მომავალ ნომერში კიდევ ერთხელ დავშვრებით!

**ლეილა ცომაია**

# ზვიად გამსახურდიას შტაინერობაში გასარკვევად



გოჩა გვასალია

ზვიად გამსახურდია რუდოლფ შტაინერის ფილოსოფიით იყო გატაცებული. სიმწრის ღიმილს ის იწვევს, რომ შტაინერიზმში მას მოგვიანოდ ბრალი დასდეს იმათ, ვინც თავად მისდევდა რუდოლფ შტაინერის ფილოსოფიას 70-80-იან წლებში და მასპინძლობდა აქ ჩამოსულ ლენინგრადელ და მოსკოველ შტაინერისტებს. ასე მაგალითად, ზვიადის დაუძინებელი მტერი მანანა გიგინეიშვილი შტაინერს მისდევდა და ზვიადთან მისი მტრობა დაიწყო შტაინერის დებულებათა გაგების საკითხში. ზვიადთან ერთად ვინც იკრიბებოდნენ შტაინერის საღამოებზე, მოგვიანოდ მათ გალანძღეს ზვიადი შტაინერით გატაცების გამო და მას სატანისტი უწოდეს. ქართველების გარდა ამას ვინ იზამდა? ზვიადის კიდევ ერთი დიდი მოძულე გურამ თევზაძე, შტაინერის გასაშავებლად, მიუთითებდა ნიკოლაი ბერდიაევის ნაშრომზე, სადაც მხოლოდ რამდენიმე კრიტიკული სიტყვაა ნათქვამი შტაინერზე ბერდიაევის მიერ. სხვა დროს თევზაძემ ბერდიაევს დასცინა, რახან ის რუსულენოვანი ფილოსოფოსი იყო. მამაშვილი თევზაძეები, ჯერ შევარდნაძისანი იყვნენ, შემდეგ სააკაშვილს მიეწებნენ.

რამდენი ასეთი მამა-შვილია მოყუჩებული ხელისუფლების კარზე. შტაინერით გატაცება თბილისელი ინტელიგენტებისათვის იყო სნობობა, იყო ნარცისიზმის ვლენა. კომუნისტებისაგან ნაპატივები და ნათამამები მწერლუკები, მსახიობები და რეჟისორები შტაინერისტობდნენ. შემდეგ ყველა ედუარდის ბანაკში გადაბარგდა. ეს იყო მათი შტაინერული სულიერების ბოლო. მოგვიანოდ, 90-იანი წლების დასაწყისში შტაინერული სნობობა შეიცვალა ჰაიდეგერიანული სნობობით. ესეც მალე მოიწყინეს.

რამდენი ასეთი რამ არის გასახსენები. სწორი იყო ზვიადი იმაში, რომ არ ენდობოდა ქართველ ინტელიგენციას და ამხელდა მას იმაში, რომ მათ არ უყვარდათ საქართველო, რომ ისინი ცრუპენტელა და ქვემძრომნი იყვნენ. არა, ინტელიგენტებმა კი მოაჩვენეს თავი მამულიშვილებად ოპოზიციის მიტინგებზე, მარა, დრომ ხომ ყველა მათგანს შეაგინა. აი ეს გიგა ლორთქიფანიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, ქეთი დოლიძე, დიმიტრი ჯაიანი და ათასი სხვა.

# ეროვნულ მოძრაობაზედ...

მიზეზები, რის გამოც სამუდამოდ ამოიძირკვა ეროვნული მოძრაობა საქართველოში და ის აღარასოდეს დაიწყება, საძიებელია თავად ქართველთა შორის. ბევრი ლიდერი მაშინდელი ეროვნული მოძრაობისა ცხოვრებამ გააბითურა (ნოდარ ნათაძე, ირინა სარიშვილი-ჭანტურია,ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და სხვ). ვინ არ იძახა მაშინ ვაჟა-ფშაველას სიტყვები: «ბილწთ არ შევეკვრი ზავითა» და პირიქით უნდა გაგებულიყო ეს ნათქვამი, რომ სწორედ ბილწთ შეეკვრებოდნენ ზავით და ბილწნი იქნებოდნენ. არსად ყოფილა სხვაგან, რომ ეროვნული მოძრაობა ქვეყნის დანგრევის და დაშლის დასაწყისად ქცეულიყო. ეს მხოლოდ საქართველოში გახდა შესაძლებელი. ამაზე ვერ ილაპარაკებ ნოდარ ნათაძესთან. ეს ის კაცია, რომელიც 90-იან წლებშივე ვერ იყო თავის ჭკვაზე. თბილისის ზღვაზე რომ ადიოდა კიტოვანთან და ერისკაცობდა. ახლა რაც არის ნათაძე და ქვეყანა ხედავს. ფილოლოგიას და ფილოსოფიას ეპოტინებოდა, პოლიტიკოსობდა და ისტორიკოსობდა. პოლიტიკის გაგებაში არაა კაცი. გადმოდგება და სხვებს ანამუსებს. ეს მან ლანძღა აფხაზები წლობით ტელევიზიასა და ასევე თავის გაზეთში. ბევრი გაექცა ნათაძეს «სახალხო ფრონტიდან». ჩუმად წავიდნენ, აი ამისი სიშლეგის შემყურენი. რაიმე კრიტიკული რომ ეთქვათ, მათაც ცილს დასწამებდა ნათაძე. ვერაფერზე ილაპარაკებ ნათაძესთან. სიტყვას ჩამოგართმევს და აღარ გაჩერდება. ეტყვი რაღაცას და ცილისწამებას იწყებს. განა მარტო ნათაძე იყო ასეთი იმ დროის ლიდერთაგან!

ნათაძის გარდა პირადად ვიცნობ რამოდენიმეს ზვიად გამსახურდიას გარემოცვიდან. უკეთესია მათზე არაფერი ვთქვა. ამათ ხელში რა ეროვნული მოძრაობა გაიხარებდა? ვის შესწირა ზვიადმა თავი?! ქართველებს რაღად უნდათ ეროვნული მოძრაობა? ქართველებს აი ეს უნდათ, რაც მათ განგებამ დაათია თავს. აი ეს უნდათ მათ, რაც ზვიადის შემდეგ იყო და რაც ახლა არის. სწორია განგების მსჯავრი. ზვიადის ცოდვა, ეროვნული მოძრაობის ასე ჩათლახურად გაყიდვის და სისხლში ჩახშობის ცოდვა კიდევ დიდხანს იტრიალებს ქართველთა შორის. წელიწადი შესრულდება ახალი მთავრობის მოსვლიდან და ხომ ყველამ დაინახა რა როგორ არის. იმ ცოდვის გამოა ასე. ხელით რომ ამოათრიო ქართველობა წუმპიდან, განბანო და პირი მოსწმინდო, მაინც ისევ შიგ ჩატყაპუნდება, რადგან ის ვერ სძლებს წუმპისა და ღორებრივი ცხოვრების გარეშე.





ქართველ ლიდერთა დიდი ნაწილი უმეცარი იყო 90-იან წლებში და მათი პოლიტიკური რადიკალიზმი და დეკლარაციული სინდისიერება ამ უმეცრების დასაფარი ილეთის მეტი არა ყოფილა რა. ეროვნულმა მოძრაობამ წარმოაჩინა ქართველთა უნამუსობა და უუნარობა. აი ესაა ყველაზე არსებითი. ამ პოლიტიკური რადიკალიზმის ბოლო რომ ისევ თავისმოჭრა იყო, ეს არაა გასაკვირი. ასე რომ მობოლოვდებოდა, უკვე 1991 წლის შემოდგომაზე ჩანდა! გუშინდელივით მახსოვს ყველაფერი. გულმა მიგრძნო, რომ კატასტროფა და მოღალატეობის აპოთეოზი იყო ქუჩაში გამოტანილ ხატებსა და ქორუგებს ამოფარებული. პირიქით მისახვედრი იყო ამდენი ლაპარაკი დემოკრატიასა და ღმრთის უნჯობაზე. ქაჯური ზნისანი არიან ქართველნი და რასაც ამბობენ, ყოველთვის პირიქით უნდა გაიგო. განა ახლაც ასე არაა? ეს პოლიტიკური კრიზისი კი არაა, მოდგმის კრიზისია. ვერ იშვა საქვეყნო ლიდერი, ვერა და ვერ

ისევ ის შევარდნაძეობაა. არაა ქართველობა პოლიტიკური ნაცია და არც იქნება მანამ, სანამ ის იდეას არ მოიძიებს!

**გოჩა გვასალია**

# უწოდა თუ არა ჩერჩილმა სტალინს გენია?..

მითების თხზვა სტალინის შესახებ ჯერ კიდევ მისი ბელადობის პირველსავე წლებიდან დაიწყო და ჯერაც არ დამთავრებულა, პირიქით, სულ უფრო და უფრო ახალი შემართებითა და დატვირთვით ითხზვება.

ამჯერად ერთი ასეთი მითის შესახებ გვექნება საუბარი, ეს მითი კი მიეწერება დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მეორე მსოფლიო ომისდროინდელ პრემიერ- მინისტრს უინსტონ ჩერჩილს.

მითის თანახმად, დიდი ბრიტანეთის პრემიერი ჩერჩილი, თითქოსდა წელში იხრებოდა სტალინის წინაშე, უწოდებდა მას გენიას და რუსეთისათვის ბედნიერ მოვლენას.

მასვე მიაწერენ ასეთ გამონათქვამს „მიიღო კავის რუსეთი და დატოვა ატომური ბომბით“. ათწლეულების მანძილზე, თითქოსდა ჩერჩილის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვა სხვადასხვა ვარიაციებით თავისუფლად ვრცელდებოდა პერიოდულ გამოცემებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურის ფურცლებზე.

დღემდე კაციშვილს არ მოსვლია აზრად მისი ნამდვილობის გადამოწმება, მაგრამ დღევანდელ პირობებში ინტერნეტსივრცის არსებობამ „ინტრიგანებს“ ბიძგი მისცა დაინტერესებულიყვნენ და გაერკვიათ სინამდვილე: უკვე ათეული წელია ეს „ინტრიგანები“ დაფათურობენ არქივებსა და საცავებში ჩერჩილის მიერ წარმოთქმული „სიტყვის“ დედნის მოსაპოვებლად, მაგრამ, ამაოდ!

როგორც ვალერი ლებედევი ამბობს, ეს პანეგრიკი გამოჩნდა, არც თუ ისე უცნობი ნინა ანდრეევას სტატიაში „არ შემიძლია გადავაბიჯო პრინციპებს!“ გაზ. „საბჭოთა რუსეთი“, 1988 წლის 13 მარტის ნომერი (იხილეთ ნინა ანდრეევას ბიბლიოგრაფია- http://www.pseudology.org/democracy/Andreeva_NA.htm)

მაგრამ აქ თითქმის არსად არის მითითებული პირველწყარო. სხვა საიტების მიხედვით, ეს არის ამონარიდი ლორდთა პალატაში 1959 წლის 23 დეკემბერს ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან, მიძღვნილი სტალინის დაბადების 80 წლისთავისადმი (ნახ:http://www.ssga.ru/metodich/pravitely_ros/stalin7.html).

სტალინით აღტკინებულები იუწყებიან, რომ ჩერჩილის ეს სიტყვა მოთავსებულია „ბრიტანულ ენციკლოპედიაში“, თუმცა, ტომისა და გვერდის მითითების გარეშე. მკვლევარი ვალერი ლებედევი შედგომია ამ რთული საქმის გარკვევას, რომელიც აღნიშნავს, რომ „ბრიტანულ ენციკლოპედიაში ამის მსგავსი საერთოდ არაფერია, იქ ხომ წარმოთქმულ სიტყვებს არ ბეჭდავენო“.

საძიებლად მას აუღია „ჩერჩილის სიტყვის“ უამრავ ვარიატში ხშირად ნახმარი ფრაზა:

„Он принял Россию с сохой, а оставил её оснащенной атомным оружием“. რუნეტის ბევრი გვერდი იძლევა ამ ფრაზას, ხანდახან ინგლისური თარგმანითაც, რომელიც ასე ჟღერს: „Winston Churchill said: „Stalin came to Russia with a wooden plough and left it in possession of atomic weapons“.

ან კიდევ ამგვარად: Churchill said „when he took Russia on they only had a wooden plough, but he left it with nuclear weapons“.

ბრჭყალებში ჩასმული გამონათქვამი ხომ ზუსტი ციტატაა, ამიტომ ის დედანში არსებულიდან მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდეს. პირველი ვარიანტი ინგლისურ ენაზე არის საიტზე http://www.mltranslations.org/Russia/aucpb.htm და მასში არანაირი მითითება არ არის იმისა თუ სად თქვა ჩერჩილმა ეს სიტყვა და სად არის ის გამოქვეყნებული. ეს საიტი არის რუსული გაზეთების სტატიების კრებული ინგლისურ ენაზე. და არა ყოველგვარის გაზეთებისა, მხოლოდ განსაკუთრებულების, მაგალითად: „Proletarskaya Gazeta“, „Red Youth (Красная юность), „International Center for the Formation of Modern Communist Doctrine“, „Molniya“, „All Union Communist Party of Bolsheviks“, ხოლო მთავარი „ინგლისელი „ ავტორები არიან ვიქტორ ანპილოვი და ნინა ანდრეევა.

რაც მთავარია ეს ხოტბა ორი ათეული წლის წინ შეიქმნა და „კავი და ბომბა“ სულ სხვადასხვა ვარიანტშია წარმოდგენილი.

ვალერი ლებედევს მოუხელთებია ჩერჩილის სიტყვებისა და გამოსვლების კრებული თემთა პალატაში, მსაგრამ მასში ასეთი სიტყვა ვერ აღმოუჩენია (ნახ:Churchill, His Complete Speeches, 1897-1963 http://www.winstonchurchill.org/i4a/pages/index.cfm? ).

1959 წელს ჩერჩილი 84 წლის იყო, ქრონიკა კი ამას იუწყება: „In early April, Sir Winston suffered an arterial blockage which temporarily cut off circulation to his speech center“, ანუ „აპრილის დასაწყისში სერ უინსტონს მაღალი წნევის გამო ტვინში დროებით დაზიანებია მეტყველების ცენტრი“. მაშასადამე, თემთა პალატაში ზემოაღნიშნული სიტყვა ჩერჩილს არ წარმოუთქვამს და უფრო მეტიც, თემთა პალატაში სტალინის 80 წლის იუბილე საერთოდ არ აღუნიშნავთ.

ნუთუ ყველაფერი თავიდან ბოლომდის შეთხზეს? ლებედევს მიაჩნია რომ არა. ჩერჩილი ნამდვილად მოიხსენიებდა სტალინს როგორც გამოჩენილ მოღვაწეს, თუნდაც დიქტატორს. უწოდა მას ჭკვიანი (მაგრამ არა გენია, „გენიალურ ტიპს“ სტალინს ჰიტლერი უწოდებდა). ჩერჩილმა იცოდა თავისი აზრების ზუსტად და მოკლედ გამოხატვა სტუმრების პატივსაცემად, მაგრამ წინასწარ არასოდეს წერდა სიტყვებს, თუნდაც სტალინის შემთხვევაში.ასეთი პომპეზურობა ეს მისი სტილი არ იყო, ეს არ ახასიათებდა მის ქცევას, მის წესს. ბოლოს და ბოლოს ჩერჩილი ლორდი იყო, შთამომავალი მარლბოროს ცნობილი მერისა.

სიცრუეა მითიც, თითქოს სტალინის წინაშე ქედს იხრიდნენ და ლაქუცობდნენ მაშინდელი მოკავშირე ქვეყნების მმართველები. პირიქით, მათ თავი მეტად დამაჯერებლად და ამაყად ეჭირათ ყოველთვის.

ჩერჩილი ტექსტისა და სიტყვის კაცი იყო. მან ძალიან ბევრი დაწერა და ბევრ სიტყვასაც წარმოთქვამდა. ის ჩინებული მწერალი იყო და შეიძლება უფრო უკეთესი ორატორიც ბრიტანეთის მთელი ისტორიის მანძილზეც. მისმა წიგნმა „მეორე მსოფლიო ომი“, 1953 წელს ნობელის პრემია მიიღო. მას ჰქონდა გამაოგნებლად მოქნილი და გასაგები სტილი და ამავე დროს უდიდესი ცოდნაც. არც ამ წიგნში გვხვდება რაიმე მინიშნებაც კი სტალინზე მისი ასეთი მაღალი აზრის შესახებ.

ჩერჩილი თავის წიგნში „მეორე მსოფლიო ომი“ დაწვრილებით აღწერს სტალინთან მოლაპარაკებებს იალტისა და პოსტდამის კონფერენციებზე , უთანხმოებებს პოლონეთის საკითხზე პოლონეთს ჩამოშორებული გერმანული მიწების საკითხზე, მაგრამ არც აქაა რაიმე აღმაფრთოვანებელი ქებადიდება სტალინზე.

ნინა ანდრეევას ხსენებული სტატიის გამოქვეყნების სამიოდე წლის შემდეგ ჟურნალის „არმია“ 1-24-ე ნომრებში იბეჭდებოდა პოეტ ფელიქს ჩუევის წიგნი „ასორმოცი საუბარი მოლოტოვთან“. მას იქ მოჰყავს ერთიანობაში მსგავსი, მაგრამ დეტალებში განსხვავებული ჩერჩილისეული სიტყვის ტექსტი. ამის გარდა ის უფრო კონკრეტულად უთითებს ტქესტის წარმოშობაზე“ „...Читаю короткую речь английского премьера в палате общин 21 декабря 1959 года, в день 80-летия Сталина, перевод из Британской Энцикопедии: ამ შემთხვევაში მითითებულია ჩერჩილის სიტყვის წარმოთქმის „ზუსტი“ თარიღი და პუბლიკაციის ადგილი“.

ქვემოთ მოვიყვანთ ტექსტის სამივე ვარიანტს, პირველის და მეორის ავტორები ცნობილია, ხოლო მესამე ამ ორის გაერთიანებული ვარიანტია, რომელიც გამოქვეყნდა საიტზე „Дело Сталина„

მუქად გამოყოფილია ანდრეევა-ჩუევის გაერთიანებული ტექსტების დამატებები.

ზემოხსენებულ საიტზე „Дело Сталина“ უკვე „დაზუსტებულია“ , რომ თითქოს ჩერჩილის მიერ ეს სიტყვა წარმოითქვა ლორდთა პალატაში, გამოქვეყნდა კი 1964 წლის „ბრიტანული ენციკლოპედიის“ გამოცემის 5-ე ტომში, 250-ე გვერდზე. ზოგნი ამტკიცებენ, რომ ეს სიტყვა ხელმისაწვდომია ჩერჩილის რვატომეულში Winston S. Churchill. His Complete Speeches, მაგრამ აქაც ტომისა და გვერდის მიუთითებლად. მკვლევართა მიერ გაირკვა რომ „ბრიტანული ენციკლოპედიის“ მითითებულ გვერდზე არაფერია ამის მსგავსი და არც 1959 წლის 21 დეკემბერს ჩატარებულა პარლამენტის რაიმე სხდომა .

ნუთუ ყოველივე მონაგონია?

არც თუ მთლად! სადავო სიტყვის პირველი ნაწილი ჩუევის რედაქციაში წარმოადგენს მისივე შემოქმედებით გადამუშავებას ჩერჩილის სიტყვიდან, რომელიც მოსკოვიდან დაბრუნებულმა წარმოთქვა 1942 წლის 8 სექტემბერს თემთა პალატის წინაშე:

It is very fortunate for Russia in her agony to have this great rugged war chief at her head. He is a man of massive outstanding personality, suited to the sombre and stormy times in which his life has been cast; a man of inexhaustible courage and will-power and a man direct and even blunt in speech, which, having been brought up in the House of Commons, I do not mind at all, especially when I have something to say of my own. Above all, he is a man with that saving sense of humour which is of high importance to all men and all nations, but particularly to great men and great nations. Stalin also left upon me the impression of a deep, cool wisdom and a complete absence of illusions of any kind.

Большим счастьем было для России, что в годы тяжелейших испытаний страну возглавил гений и непоколебимый полководец Сталин. Он был самой выдающейся личностью, импонирующей нашему изменчивому и жестокому времени того периода, в котором проходила вся его жизнь. Сталин был человеком необычайной энергии и несгибаемой силы воли, резким, жестоким, беспощадным в беседе, которому даже я, воспитанный здесь, в Британском парламенте, не мог ничего противопоставить [у Черчиля: против чего, я, воспитаный в Палате Общин совсем не возражаю, особенно когда есть что сказать в ответ]. Сталин прежде всего обладал большим чувством юмора и сарказма и способностью точно воспринимать мысли. Эта сила была настолько велика в Сталине, что он казался неповторимым среди руководителей государств всех времен и народов [у Черчиля: Сверх того, он обладает тем спасительным чувством юмора, которое так важно для всех людей и всех народов, но особено для великих людей и великих народов]. Сталин произвел на нас величайшее впечатление . Он обладал глубокой, лишенной всякой паники, логически осмысленноймудростьюи. Он был непобедимым мастером находить в трудные моменты пути выхода из самого безвыходного положения. Кроме того, Сталин в самые критические моменты, а также в моменты торжества был одинаково сдержан и никогда не поддавался иллюзиям. Он был необычайно сложной личностью. Он создал и подчинил себе огромную империю. Это был человек, который своего врага уничтожал своим же врагом. Сталин был величайшим, не имеющим себе равного в мире, диктатором, который принял Россию с сохой и оставил ее с атомным вооружением. Что ж, история, народ таких людей не забывают

აქ ჩვენ მოვიყვანეთ ინტერნეტსივრცეში არსებული ამ ამონარიდის ერთ-ერთი მკვლევარისეული თარგმანი, სადაც ავტორი მუქი შრიფტით გამოყოფს იმას, რაც დარჩა ჩერჩილის სიტყვიდან, დახრილად კი აზრის იმ ნაწილს, რომელიც გაუკუღმართებულია თარგმნისას, გახაზული კი არის „თვითნებურად“ დამატებული ფრაზები. ნათელია, თუ როგორ გადააქციეს მეგობრული-ნეიტრალური სიტყვა პანეგრიკად. სადღაც დამატებულია „გენია“, სადღაც „ყველაზე“, სიტყვა „სტალი-

| ნინა ანდრეევა | ფელიქს ჩუევი | საიტი „Дело Сталина“ |
|---|---|---|
| **Он был выдающейся личностью, импонирующей нашему жестокому времени того периода, в которое протекала его жизнь. Сталин был человеком необычайной энергии,** эрудиции **и несгибаемой силы воли, резким, жестким, беспощадным** как в деле, так и **в беседе, которому даже я, воспитанный в английском парламенте, не мог ничего противопоставить**... В его произведениях звучала исполинская сила. **Эта сила настолько велика в Сталине, что казался он неповторимым среди руководителей всех времен и народов**... Его влияние на людей неотразимо. Когда он входил в зал Ялтинской конференции, все мы, словно по команде, вставали. И странное дело - держали руки по швам. **Сталин обладал глубокой, лишенной всякой паники, логической и осмысленной мудростью. Он был непревзойденным мастером находить в трудную минуту путь выхода из самого безвыходного положения**... **Это был человек, который своего врага уничтожал руками своих врагов**, заставлял и нас, которых открыто называл империалистами, воевать против империалистов... Он**принял Россию с сохой, а оставил оснащенной атомным оружием** | Большим счастьем было для России, что в годы тяжелейших испытаний страну возглавил гений и непоколебимый полководец Сталин.**Он был** самой **выдающейся личностью, импонирующей нашему** изменчивому и**жестокому времени того периода, в котором проходила** вся **его жизнь. Сталин был человеком необычайной энергии и несгибаемой силы воли, резким, жестоким, беспощадным в беседе, которому даже я, воспитанный**здесь**, в Британском парламенте, не мог ничего противопоставить.** Сталин прежде всего обладал большим чувством юмора и сарказма и способностью точно воспринимать мысли. **Эта сила была настолько велика в Сталине, что он казался неповторимым среди руководителей** государств **всех времен и народов.** Сталин произвел на нас величайшее впечатление. **Он обладал глубокой, лишенной всякой паники, логически осмысленной мудростью. Он был непобедимым мастером находить в трудные моменты пути выхода из самого безвыходного положения.** Кроме того, Сталин в самые критические моменты, а также в моменты торжества был одинаково сдержан и никогда не поддавался иллюзиям. Он был необычайно сложной личностью. Он создал и подчинил себе огромную империю. **Это был человек, который своего врага уничтожал своим же врагом.** Сталин был величайшим, не имеющим себе равного в мире, диктатором, который **принял Россию с сохой и оставил ее с атомным вооружением**. Что ж, история, народ таких людей не забывают | Большим счастьем для России было то, что в годы тяжёлых испытаний Россию возглавил гений и непоколебимый полководец И.В. Сталин. Он был выдающейся личностью, импонирующей жестокому времени того периода, в котором протекала вся его жизнь. Сталин был человеком необычайной энергии, эрудиции и несгибаемой воли, резким, жёстким, беспощадным как в деле, так и в беседе, которому даже я, воспитанный в английском парламенте, не мог ничего противопоставить. Сталин, прежде всего, обладал большим чувством сарказма и юмора, а также способностью точно выражать свои мысли.Сталин и речи писал только сам, и в его произведениях всегда звучала исполинская сила. Эта сила была настолько велика в Сталине, что он казался неповторимым среди руководителей всех времён и народов. Сталин производил на нас величайшее впечатление. Его влияние на людей было неотразимо. Когда он входил в зал Ялтинской конференции, все мы, словно по команде, встали и, странное дело, почему-то держали руки по швам. Он обладал глубокой, лишённой всякой паники, логической и осмысленной мудростью. Сталин был непревзойдённым мастером находить в трудные минуты пути выхода из самого безвыходного положения. В самые трудные моменты, а также в моменты торжества, он был одинаково сдержан, никогда не поддавался иллюзиям. Он был необычайно сложной личностью. Он создал и подчинил себе огромную империю. Это был человек, который своего врага уничтожал руками своих и заставил нас, которых открыто называл империалистами, восстать против империалистов. Сталин был величайшим, не имеющим себе равных в мире, диктатором. Он принял Россию с сохой, а оставил оснащённой атомным оружием. Нет! Что бы ни говорили о нём, таких история и народы не забывают. |

დასასრული გვ. 12

ლიტერატურული გვერდი

# ნანა მეფარიშვილის ლექსები



### მართა

*(გოდერძი ჩოხელის ნოველის მიხედვით)*

ჩქარა, ჩქარა გაექეცი მდევარს,
გზას ულმერთოს განერიდო რათა,
ქართველობა რაკი გერგო მხევალს,
უკან აღარ მიიხედო მართა.

წინ იარე, წინ სამშობლო გიცდის,
–აქეთ მართააა!_ მოგძახიან მთები,
შენი დარდი მხოლოდ ღმერთმა იცის,
ეს მან მოგცა ასაფრენი ფრთები.

შენს არჩევანს უფლის ძალა ახლავს,
უკან გრჩება ერთადერთი შვილი,
იცოდა რომ არ დაჰყრიდი ფარხმალს,
წინ სამშობლო გელის ხელგაშლილი.

ჩქარა მართა, გაექეცი მდევარს,
მკერდში ცრემლად აგიდუღდა ხსენი,
უცხო მიწა არ გიხდება მხევალს,
შენ ქართული მიწის მადლი გშვენის.

სული უფლის საგალობელს მღერის,
კვალში მოგდევს მრისხანება ქართა,
წინ! ქართული ცა გიხმობს და გელის,
ასაფრენად მოემზადე მართა.

***

აქ სადღაც ზღვარია,
ბედს უნდა დაზავდე,
ღრუბლები მთვრალია,
და წვიმას ამზადებს.
აქ ზეცას არა აქვს,
ცისფერი თვალები,
ავს დიდი ძალა აქვს,
და დუმან ზარები.
აქ წვიმა მშრალია,
ნირი აქვს წამხდარი,
სულ ქარიშხალია,
ხეები გამხდარი...
აქ ლექსებს არ სწერენ,
ქვიშაზე თითებით,
აკვანს არ არწევენ,
ზღაპრით და მითებით.
აქ ხელის გულებში,
სითბოს ვერ ჰპოვებენ,
ვარდ–თაიგულებში,
დუქნებს არ სტოვებენ.
აქ დილა არ მოდის,
მამლების ყივილით,
არც მთვარე ამოდის,
უთქმელი ტკივილით.
აქ მართლა ზღვარია,
სწვავს უცხო ნაპირებს,
მზე ისე მწარეა,
ჩანს ტირილს აპირებს.

### ლექსი ბრჭყალებში

ულირსთა მოდგმას,
აჯილდოვებს თავად სატანა,
ის გაიმარჯვებს,
დააგროვა ვინც მეტი შური...
ერგებათ ჯილდო,
ვინაც მეტი ბოღმა ატარა,
სუყველას,
ვინც კი ამოივსო, ღალატით გული.
ღვთის უარმყოფელს,
ელოდება 'პრემია» დიდი,
რაც უფრო მეტად თვალთმაქცია,
ფასდება იმით,
ჩქარობენ ვიდრე,
არ დაასწრონ საქმენნი ფლიდნი,
ვიდრე მესამედ
დაიყივლებს მამალი დილით.
სიცრუის რიგებს,
მიჰყვებიან ფარისევლები,
მართლ კაცს არვინ არ იკარებს,
ვერც სცნობენ ვერად...
მას კი, ზეცისკენ აუპყრია
ლოცვით ხელები,
და იხმობს უფალს,
ამ შეშლილი სამყაროს შველად.

### ხმა ამოიღე საქართველოვ, ალაპარაკდი

როდემდე, ჩემო საქართველოვ გვითხარ
როდემდე,
ეს მერამდენედ გულწასული ხელში ჩაგვაკვდი...
უხმო ცრემლებით, სთქვი რამდენ ხანს უნდა
ჰგოდებდე,
ხმა ამოიღე გენაცვალე, ალაპარაკდი.

ზოჯერ, ღალატის ტოლფასია დუმილი რადგან,
შენი შვილები გადათვალე, გაკლია ბევრი...
ხმა ამოიღე, მგონი შენი სიტყვის დრო დადგა,
ვიდრე, ცის თაღიც დაგვექცევა,
ვით სახლის ჭერი.

მუდამ მუხლებზე შემდგარი ხარ,
მლოცველი მუდამ,
ასე პატარა, მტერს და მავანს, იმად ჰგონიხარ,
წამოიმართე, მთლად სამყარომ იხილოს უნდა,
რომ აღსდექი და შენი რწმენით ღმერთის
ტოლი ხარ.

### მიწის ნამცეცი

*(ემიგრანტის დღიურიდან)*

უცხო ზეცის ქვეშ, უცხოდ დამდევს
ჩემივე ჩრდილი,
მისხალი რაა, აქ მისხალიც ჩემი არ არის...
უცხო ქუჩებში დავდივარ და
ქართულად ვსტირი,
აქ არვინ მდარდობს, არ ვუყვარვარ რადგან
არავის.

წყალობასავით, რაკი მერგო ქართველი ვიყო,
გამოცდასავით, რაკი მერგო მენატრებოდე,
ავი ზრახვები ცოდვასავით უნდა გავრიყო,
შეხვედრის მერე, ღიმილით რომ
მენათებოდე.

მირონდენილი შენი მიწა, მეც ვირგე წილად,
(რაკი წამსვლელის სასჯელია ტარება მისი...)
აკი, ყოველთვის ასე იყო, ახლაც, თუ წინათ ,
რაკიღა მიწა, ვერ ვიგუეთ უცხო და სხვისი.

შემოფენიხარ ნამცეც–ნამცეც მთლად დედამიწას,
ჩემს ცოდვილ სულზე მოხვეული, ხარ აბჯარივით,
უცხო მიწაზე დავდივარ და მშობლიურ მიწას,
ყელზე შებმული დავატარებ მძიმე ჯვარივით.

### მინდა გაგეცნოთ

მე რუსთაველის სამშობლოდან ვარ,
იქ შემასწავლეს ლოცვა და რწმენა,
ვაჟას მიწაა ჩემი საძვალე,
გოგებაშვილმა ამიდგა ენა.

აღმაშენებლის სამშობლოდან ვარ,
იქაა ჩემი სულის საუფლო,
სადაც სიმღერით ომებს იგებენ,
სადაც ყოველი ლექსად საუბრობს.

მე სააკაძის სამშობლოდან ვარ,
თამარის სისხლი გადამდის გულზე,
უფლის სიყვარულს თავს რომ სწირავენ
და რწმენას არვინ არ ჰყიდის ფულზე.

მე და ფიროსმანს ერთი მიწა გვაქვს,
გალაკტიონის დამყურებს ღამე,
სწორედ იქაა ჩემი სამშობლო,
დედა ღვთისმშობლის რჩეული მხარე.

მე ქეთევანის სამშობლოდან ვარ,
მისი სისხლი ვარ, შვილი ვარ, და ვარ,
აკაკის ნასუნთქ ჰაერს ვისუნთქავ,
ილიას გავლილ მიწაზე დავალ.

ჩემი სამშობლო ვერ ითვლის ასაკს,
კაცობრიობის დღეთა შექმნიდან.
დიახ, გახლავართ საქართველოდან,
გენიოსთა და გმირთა ქვეყნიდან!

***

იწამე სინათლის ნამდვილი ფერები,
სად ეძებ სამშობლოს, რა ღმერთი გიწყრება.
იქ, სადაც სივრცეებს ვერ სწვდება ხელები,
სამშოლო მთებიდან, მთებიდან იწყება.

სარტყელად ნაჭედი, ციხედ და ვარაყად,
სად უფალს, შენი ხმა ადვილად მიწვდება,
იქ, სადაც ჯიხვები შემდგარან ამაყად,
სამშობლო, მთებიდან, მთებიდან იწყება.

ნისლი რომ გაშლამდე ბოლო წამს დაითვლის,
და ლორთქო ბალახზე ნამებად აწვიმებს,
მთაშია ყოველი ნამდვილი, რაც ითქმის,
მაშ, ბარად სად ნახავთ ფრთაგაშლილ არწივებს.

იწამე სინათლის ნამდვილი ფერები,
სად ეძებ სამშობლოს, რა ღმერთი გიწყრება.
იქ, სადაც სივრცეებს ვერ სწვდება ხელები,
სამშოლო მთებიდან, მთებიდან იწყება.

## ლიტერატურული გვერდი

# სატირული ზღაპარი

ზვიად გამსახურდია

ზვიად გამსახურდიას ამ ზღაპრის დღევანდელ გაზეთში გამოქვეყნება ერთადერთი მოტივით გადავწყვიტეთ, რათა მკითხველისათვის წარმოგვეჩინა ზვიად გამსახურდია, როგორც შორსმჭვრეტელი და ბრძენი მწერალი, რომელიც თავისი ანალიტიკური აზროვნებით, თითქმის ნახევარი საუკუნით უსწრებდა დროს და XX საუკუნის 70-იან წლებში ქმნიდა ნაწარმოებს XXI საუკუნის სრულყოფილი ტექნიკური პროგრესის გვირგვინის - კომპიუტერის ეპოქაზე, რომელშიც ადამიანი, როგორც შემოქმედი გაზარმაცებულია და კარგავს თავის ფუნქციას, მთლიანად მინდობილია რა კომპიუტერს. მწერალმა ზვიად გამსახურდიამ კი ამ მხატვრულ ნაწარმოებს ნიშანდობლივად უწოდა „სატირული ზღაპარი“ (რედ.).

კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობაში დიდი გამოცოცხლება იყო. ყველას ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა იმ ლაბორატორიისაკენ, სადაც იდგა სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, ორგზის პრემიის ლაურეატი, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი და მათემატიკოსი, კომპიუტერ-რობოტი „იუპიტერი“.

წინასწარ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სახელი არ გახლავთ შემთხვევითი. თანამშრომლები დიდის რიდით ეპყრობოდნენ სხვა რობოტებსაც, მაგრამ ,,იუპიტერის“ კაბინეტში შესვლისას მათ რაღაც რელიგიური მოწიწების გრძნობა ეუფლებოდათ. მართლაც, იუპიტერივით გამოირჩეოდა იგი სხვა რობოტებისაგან: იყო კომპოზიტორი, მოანგარიშესტატისტიკოსი, კანონმდებელი, ეკონომისტ–დამგეგმავი, ინჟინერ–მექანიკოსი და კიდევ მრავალი სხვა პროფესია ჰქონდა. მაგრამ მხოლოდ მისმა პერსონალურმა მსახურებმა იცოდნენ, რომ ,,იუპიტერი“ ამავე დროს ხულიგანიც იყო. მაგალითად, ხშირად მიუწოდებია ფიქტიური კოდი თავისი მონებისათვის, რომელნიც მრავალ თვეს ღვრიდნენ ოფლს კოდის მონაცემთა პრაქტიკაში დასანერგად, თუმცა ბოლოს ხვდებოდნენ, რომ მოტყუებული იყვნენ. გაწბილებულნი შევიდოდნენ რობოტთან, და ისიც, დაინახავდა თუ არა ყურებჩამოყრილ, ინციატივაწართმეულ ადამიანებს, არახრახდებოდა თავისი მეტალური, რაჩხუნა სიცილით და აზანზარებდა ლაბორატორიის კედლებს.

მაგრამ ხშირად „იუპიტერი“ იძლეოდა ზუსტ მითითებებს; მრავალჯერ იხსნა მრავალი საამშენებლო, სავაჭრო და ინდუსტრიული დარგები სერიოზული კრიზისებისაგან. ასე რომ, უმრავლესობისათვის მისი სიტყვა კანონი იყო. აღარავინ იწუხებდა თავს აზროვნებით, ვინაიდან „იუპიტერი“ აზროვნებდა მათ მაგიერ.

ამჟამად საქმე ის გახლდათ, რომ „იუპიტერი“ მთლიანად გადაირთო, რატომღაც „შემოქმედებით“ მუშაობაში. მას აღარ იზიდავდა მშრალი სააღრიცხვო მუშაობა. ჯერ შექმნა ოთხ ათასამდე მუსიკალური ნაწარმოები. კიბერნეტიკოსი მუსიკისმცოდნენი ამტკიცებდნენ, რომ ეს ახალი ერა იყო მუსიკაში, პრინციპულად აღარ უსმენდნენ ბეთჰოვენს, ბახს,



და მხოლოდ „იუპიტერის“ ჩანაწერები ჰქონდათ სახლში. ამჯერად კი „საიდუმლო“ ის გახლდათ, რომ „იუპიტერმა“ მოინდომა, ერთ–ერთი მეცნიერის წახალისებით, „ფაუსტის“ ტიპის ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა. პოემას უნდა რქმეოდა nx $\sqrt{\text{„ფაუსტი“}}$. ამოფესვის ნიშანი იმას მოასწავებდა, რომ ნაწარმოები უნდა ყოფილიყო ფაუსტზე უფრო „ღრმა“. „იუპიტერმა“ წინასწარ მოითხოვა ყველა ინფორმაცია გოეთეს შესახებ, თარიღები, ფაქტობრივი მასალები, გადაყლაპა ეს ყოველივე და რამდენიმე დღეში მოინელა თავის უზარმაზარ ცისტერნისადარ მუცელში, სადაც მას მონელებული ჰქონდა მთელი მსოფლიო ლიტერატურა. შემდეგ უეცრად შეზანზარდა, არახრახდა და დააფჩინა მეტალური ხახა. ეს კი იმისი ნიშანი იყო, რომ ინფორმაციის მოსაცემად ემზადებოდა. კაბინეტში ათამდე პროფესორი შეგროვილიყო და თვალს ადევნებდნენ „იუპიტერის“ ყოველ მიხრა–მოხრას. თან ხელში კალმები და უბის წიგნაკები ეკავათ, რათა ჩაენიშნათ განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი მოვლენები. გარეთ კი დანარჩენი პერსონალი გულისფანცქალით ელოდა ამბავს. „იუპიტერი“ კიდევ რამდენჯერმე დაიძაბა, არახრახდა, ადგანდგარდა, მაგრამ კოდი არსად იყო. ბოლოს გადმოყარა რაღაც ინფორმაცია, სადაც ასოების უწესრიგო გროვისა და მათემატიკური სიმბოლოების მეტი არაფერი იყო. „ამას მომავალი საუკუნეები თუ გაიგებენ“, – თქვეს მეცნიერებმა. ბოლოს რობოტი მთლად გათავხედდა: სინთეტიკური შუშის თვალები დააბრიალა, დაბერა თუნუქის ნესტოები, აღმართა ზამბარებიანი, დრეკადი ფოლადის მკლავები, მოჰკიდა ხელი იქვე კუთხეში მდებარე უზარმაზარ რკინის ცოცხს და დაერია პროფესორებს. გაავებული კერპის მორჩილი ქურუმები წინააღმდეგობის გაწევასაც ვერ ბედავდნენ, ხოლო კერპმა მოინდომა მათი გახვეტა ლაბორატორიიდან. მცირეც და პროფესორების საქმე ცუდად იყო, მაგრამ მომსახურე პერსონალმა შეამტვრია ლაბორატორიის კარი. იქვე აღმოჩნდა ინსტიტუტის მანქანის მძღოლი, რომელმაც შესძახა: „შეხეთ, შეხეთ, საკონტროლო მოწყობილობის ჭანჭიკები აქვს მოშვებული, იმიტომაა ასეთ ამბავში“. შემდეგ პროფესორების დაუკითხავად მოიტანა მანქანის დასაქოქი რკინის ხელკეტი, უთავაზა რობოტს ალუმინის თავში და იქვე გააშეშა. პროფესორები მუხლებზე დაცვივდნენ რაღაც ამაზრზენის მოლოდინში. მძღოლმა მოიტანა ინსტრუმენტები, მოუჭირა რობოტს ყველა ჭანჭიკი, შემდეგ თავის ქალის ალუმინი გაუსწორა ჩაქუჩით და თავის ადგილზე დააყენა. იმ დღიდან რობოტს აღარც უცდია მხატვრული ნაწარმოების „შექმნა“. იგი ეწეოდა მეტად ნაყოფიერ და სასარგებლო სააღრიცხვო მუშაობას. პროფესორებმა კი მძღოლს სასამართლოში უჩივლეს და ერთი წლის ციხე მიასჯევინეს. ამ ამბავმა ძალიან აღაშფოთა ინსტიტუტის დანარჩენი პერსონალი, ხოლო პროფესორები წამდაუწუმ იმეორებდნენ: quod licet lovis, non licet bovis. „ის, რაც იუპიტერს ეპატიება, ხარს არავინ აპატიებს“. თან ჩუმ–ჩუმად გლოვობდნენ საყვარელი კერპის „შემოქმედებით კრიზისს“.

# უწოდა თუ არა ჩერჩილმა სტალინს გენია?..

დასაწყისი გვ. 9

ნის“ რაოდენობა გაზრდილია რამოდენიმეჯერ, ვიდრე ის ორიგინალშია. ჩერჩილის ბაგეებიდან გადმოსვლას იწყებს თვითდამცირების სიტყვების კასკადი („я не мог ничего противопоставить“) , რაც მისთვის საერთოდ არ იყო დამახასიათებელი. ერთია რომ, სტალინურაზრობრივი შესწორებებისას ტექსტი „გამდიდრებულია“ მრავალი ფერადოვანი დამატებებით. მათ შორის სულელურად გადიდებული „მიიღო კავით, დატოვა ბომბით“.

აქვე დავდებთ გაზეთ „საზოგადოება და ეკოლოგია“ სპეციალური კორესპონდენტის, საერთაშორისო სლავიანური აკადემიის პროფესორის, მკვლევარ ალექსანდრე ვდოვენკოს მიერ მოკვლეულ 1942 წელს ლორდთა პალატაში ჩერჩილის გამოსვლის ტექსტის ამონარიდს.

იქ, 6 ტომში, 1942 წლის გამოსვლათა შორის მოყვანილია ჩერჩილის გამოსვლა ლორდთა პალატის წინაშე 8 სექტემბრის გამოსვლა სათაურით „ სამხედრო ვითარების შესახებ“. ამ გამოსვლაში დეტალურად განხილულ სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებთან ერთად, პრემიერმინისტრი ჩერჩილი მოგვითხრობს ავერლ ჰარიმანთან, ამერიკის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან ერთად მოსკოვში მოგზაურობის შესახებ და გვიზიარებს მოსკოვში სტალინთან პირველი შეხვედრის შთაბეჭდილებებს:

«Большой интерес вызвала у меня встреча с Премьером Сталиным. Главной целью моего визита было установление таких же отношений полной уверенности и совершенной открытости, которые я выстроил с Президентом Рузвельтом. Я думаю, что, не взирая на тот несчастный случай с Вавилонской Башней, который остаётся очень серьёзным препятствием во многих сферах жизни, я в большой мере достиг успеха. Большой удачей для России в её агонии было оказаться под началом этого великого, закалённого военачальника. Человек этот – внушительная, выдающаяся личность, соответствующая тем серьёзным и бурным временам, в которых прошла его жизнь; человек неисчерпаемого мужества и силы воли и человек прямой и даже бесцеремонный в манере общения, что меня, выросшего в Палате Общин, совсем не покоробило, особенно когда мне тоже было что сказать. Что наиболее важно, это человек с тем спасительным чувством юмора, которое так важно для всех людей и всех наций, но в особенности для великих людей и великих наций. Сталин также произвёл на меня впечатление своей глубокой и хладнокровной мудростью и полным отсутствием любых иллюзий. Я думаю, что я дал ему почувствовать, что в этой войне мы добрые и верные товарищи – но это, в конце-концов, такая вещь, которая доказывается не словами, а делами».

*Александр Вдовенко*

მაშ საიდან არის ეს პანეგრიკი?

ამის შესახებ ნინა ანდრეევას სტატიაზე მინიშნება გააკეთა ა. ნ. იაკოვლევმა თავის საპასუხო წერილში, რომ სტალინისადმი მიძღვნილი ეს პანეგრიკი საერთოდ არ ეკუთვნის ჩერჩილს, არამედ ამის მსგავსი ოდესღაც უთქვამს ინგლისელ ტროცკისტს ი. დოიჩერს. მართალია აქ არაა მოცემული დოიჩერის კონკრეტული თხზულება, არც ფრაზა, რომელსაც ეკუთვნის იაკოვლევის შენიშვნა.

როგორც კვლევებმა აჩვენეს სსრკს-ს მოდრენიზაციის შედეგების ეს დახასიათება გამოყენებულ იქნა ისააკ დოიჩერის მიერ (რომელიც მართალია იმ დროისათვის აღარ ყოფილა ტროცკისტი) 1953 წლის 6 მარტის სტატიაში Manchester Guardian-ში სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით:

The core of Stalin's historic achievements consists in this, that he had found Russia working with wooden ploughs and is leaving her equipped with atomic piles. He has raised Russia to the level of the second industrial Power of the world. This was not a matter of mere material progress and organization. No such achievement would have been possible without a vast cultural revolution, in the course of which a whole nation was sent to school to undergo a most intensive education. რისი ქართული თარგმანი ასეთია:

„სტალინის ისტორიული მიღწევების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მან რუსეთი მიიღო კავით, დატოვა კი ატომური რეაქტორებით. მან რუსეთი აიყვანა მსოფლიოს მეორე ინდუსტრიული ქვეყნის დონეზე. ეს არ იყო სუფთა მატერიალური პროგრესის და ორგანიზაციის შედეგი. ამგვარი მიღწევები არ იქნებოდა თვინიერ ყოვლისმომცველი კულტურული რევოლუციისა, რომლის მსვლელობისასაც მისი მოსახლეობა დადიოდა სკოლაში და ძალზედ მონდომებით სწავლობდა“.

1966 წელს სტატია შევიდა ესსეების კრებულ Ironies of History: Essays on Contemporary Communism

ახლა უკვე ჩვენთვის ნათელია, რომ ეს დოიჩერისეული პანეგრიკი სტალინის თაყვანისმცემლებმა მიაწერეს, დოიჩერზე უფრო ცნობილსა და გავლენიან, მსოფლიო პოლიტიკის სათავეებთან მდგომ სერ უინსტონ ჩერჩილს, რითაც მეტი შერავანდედით შემოსეს სტალინის სახელი.

მოგვიანებით იგივე სიტყვები გამოჩნდა ბრიტანულ ენციკლობედიაში, სტატია „სტალინი“ (ტომი 21, გვ: 303).

უცნობ მთარგმნელს გადაუწყვეტია გაეძლიერებინა ფრაზის ჟღერადობა და atomic piles (ატომური რეაქტორები) გადაუთარგმნია, როგორც ატომური იარაღი. მოგვიანებით „იარაღი“ შეიცვალა უფრო ნათელი მცნებით „ბომბი“. ზოგიერთი ნაკლებად მნიშვნელოვანი ფრაზები სადაო სიტყვაში უშუალოდ მოლოტოვიდან მოხვდა, ჩუევმა ის პირდაპირ შეიტანა ტექსტში.

დრო და დრო უფრო მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი ხდებოდა ეს მითი, მას სასურველი ფერებით აფერადებდნენ, როგორც უბრალო, ასევე ჩინიანი სტალინელები, სასურველს რეალობად ასაღებდნენ და ასაღებენ დღესაც.

მაგრამ მცირე ხნით გადავინაცვლოთ იმ დროში და განვიხილოთ მაშინდელი პოლიტიკური ვითარება.

ეს ის დროა, როდესაც სსრკ-ს მართავს ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც სკკპ-ს 20-ე ყრილობაზე დაგმო სტალინის კულტი. 1959 წლის დეკემბრამდე ის ჩავიდა აშშ-ში ახალი პოლიტიკური ურთიერთობების დასამყარებლად და შეხვდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს და საუბარს იწყებს განიარაღებაზე. ამგვარ ვითარებაში მსგავსი რამ წარმოეთქვა ჩერჩილს შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო. გამორიცხული იყო ისიც, რომ ლორდთა პალატა შეკრებილიყო სტალინის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებითაც, რადგან გამალებული შეიარაღების დროს არ გაამწვავებდნენ ისედაც დაძაბულ სიტუაციას.

როგორც ვთქვით იმ წლებში უინსტონ ჩერჩილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მეტად გართულებული იყო. ამასვე მოწმობს ჩერჩილის ერთ-ერთი ბიოგრაფის მარტინ გილბერტის ნაშრომი „Никогда не отчаивайся“, რომელიც მოიცავს 1947-1965 წლებს. ამ ნაშრომში ავტორს მოყვანილი აქვს ჩერჩილის ერთ-ერთი წერილი ადვოკატ ენტონი მურისადმი, ის ადვოკატს ბოდიშს უხდის, რომ ვერ უპასუხა წერილზე, რადგან 15-დან 29 დეკემბრამდის ის ცუდად იყო და არ შეეძლო მოძრაობა. არც ამ წერილშია ნახსენები მისი პარლამენტში გამოსვლის შესახებ.

1974 წელს გამოცემულ ჩერჩილის გამოსვლათა კრებულის, 1887 წლიდან-1963 წლამდე, რობერტ ჯეიმსის რედაქტორობით ნიუ-იორკში გამოცემულ რვატომეულში არ გვხვდება ჩერჩილის გამოსვლა პარლამენტში ამ თარიღთან დაკავშირებით. მერვე ტომში კი ჩამოთვლილია 1959 წელს ჩერჩილის 9 გამოსვლა. და ეს არის მხოლოდ გამოსვლები ამომრჩეველთა წინაშე.

ასე რომ ამგვარი პანეგრიკები სერ უინსტონ ჩერჩილს სტალინისათვის არ მიუძღვნია. ეს ყველაფერი ორთოდოქსი კომუნისტებისა და მათ მიერ დაბეჩავებული ხალხის ფანტაზიის ნაყოფია.

ახლა კი ერთი საკითხის შესახებაც.

დღემდის სტალინის პიროვნების თაყვანისმცემლები მას წარმოაჩენენ, როგორც ასკეტს, უარმყოფელს ამქვეყნიური ფუფუნებისა და სიამოვნების. ლამისაა წმინდანადაც შერაცხონ და კიდეც წარმოაჩენენ ასეთად!

მაშ, ეს საკითხიც განვიხილოთ იგივე სერ უინსტონ ჩერჩილთან კავშირშიც.

სტალინი და ჩერჩილი სვამდნენ და მოილხენდნენ, როგორც ქორწილში.

როგორც ვთქვით, ბრიტანეთის პრემიერის უინსტონ ჩერჩილის პირველი სტუმრობა მოსკოვში 1942 წლის აგვისტოს თვეში მოხდა და დამთავრდა გრანდიოზული ქეიფით. ამას მოწმობს მაღალი რანგის დიპლომატის ჩანაწერები. ზღაპრულ სუფრასთან „ორმა დიდმა მოღვაწემ შეძლო დაემყარებინათ კავშირი და ხელი მიეცათ ერთმანეთისთვის“, ნათქვამია ჩერჩილის თანმხლებ საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილის ალექსანდრ კადოგანის მოხსენებით ანგარიშში, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ეროვნულ არქივში ინახება და სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა მეორე მსოფლიო ომის დროინდელ და ცივი ომის დასაწყისის სხვა 600 დოკუმენტთან ერთად.

„შესაფერისი ვითარება განაპირობებდა იმას, რომ საუბარი ორმაგად შინარსიანი გამოდგა, ვიდრე ოფიციალური მოლაპარაკებებისას“ -აღნიშნა კადოგანმა - ვითარება ისეთი იყო, როგორც ქორწილში“. კადოგანის სიტყვებით, მის პატრონს თრობისაგან ასტკივდა თავი. „შეუძლებელია წარმოიდგინო კრემლის ბანკეტზე რაიმე უსაშინლესი, მაგრამ ეს უნდა აგვეტანა„- ამატებს ის.

მოლაპარაკებები რთული იყო, ჩერჩილის ვიზიტი მიმდინარეობდა 1942 წლის 12/14 აგვისტოს, სტალინგრადზე გერმანელთა გახურებული შეტევისას. პრემიერი მოსკოვში კაიროდან და თეირანიდან ჩაფრინდა, მაღალი ფრენის ბომბადმშენით „ლიბერეიროორი“. შედგა მოლაპარაკებების ორი რაუნდი მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით და მიმდინარეობდა მეტად ემოციურ ატმოსფეროში. პირველ შეხვედრაზე ყველაფერი შედარებით ნორმალურად იყო. საბჭოთა ლიდერი, ძირითადად ქებით გამოეხმაურა ანგლო-ამერიკულ გეგმებს აფრიკაში გადასხმის შესახებ.

მეორე დღეს კი სტალინმა მოკავშირე ღიად დაადანაშაულა ბრძოლის სურვილის არქონაში, ჩერჩილმა უპასუხა, რომ მის ტონს პატიობს მხოლოდ და მხოლოდ რუსული ჯარების პატივისცემისა და განსაკუთრებული გმირობის გამო.

„სტალინმა, მოწყვეტილად და ყელმოღერებით, ნახევრად მოხუჭული თვალებით, გადმოანთხია შეურაცჰხყოფების ნიაღვარი. ჩვენ იმ ზომამდე მივედით, რომლის გადალახვის შემდეგ სახელმწიფო მოღვაწეებს უკვე აღარ შეუძლიათ მოლაპარაკებების წარმოება“ - იხსენებდა ჩერჩილი.

ბრიტანეთის დელეგაციამ მოლაპარაკებები ჩაშლილად მიიჩნია და აბარგებას აპირებდა, მაგრამ, როგორც კადოგანის მოხსენებაშია ნათქვამი, 14 აგვისტოს ღამის 1 საათისათვის ის მოულოდნელად დაპატიჟეს სტალინის კრემლისეულ საცხოვრისში, სადაც უკვე იმყოფებოდნენ მასპინძელი ჩერჩილი და მოლოტოვი. იმ დროისათვის ლხინი უკვე ოთხი საათის დაწყებული იყო, როგორც კი ჩერჩილმა თავისი თანაშემწე დაინახა, წამსვე შესჩივლა თავის ტკივილი.

„მაგიდა გაწყობილი იყო ყოველგვარი კერძებიანი თეფშებით დამთავრებული ძუძუს გოჭებით და უამრავი ბოთლებით - ამბობს კადოგანი - სტალინმა მაიძულა დამელია რაღაც ცეცხლოვანი (ალბათ, მრავალნახადი ჭაჭის არაყი. მთრგ.) სერ უინსტონი შეგნებულად შემოიფარგლებოდა წითელი კავკასიური ღვინით“.

მოლხენისას ჩერჩილი ქართული წარმომავლობის დიქტატორს შიგა და შიგ უსვამდა კითხვებს საშინაო პოლიტიკის შესახებ. ჩერჩილის კითხვაზე, თუ რა უყვეს „კულაკებს“, გამრჯე და მდიდარ გლეხებს, რომელთა გასანადგურებლადაც სტალინმა ფიცი დადო, მან მთელი გულახდილობით უპასუხა, რომ „კულაკებმა“ ციმბირში მიიღეს მიწა, მაგრამ „ისინი სხვა ადამიანებს შორის ძლიერ არაპოპულარულები იყვნენ“-ო.

ბანკეტის მონაწილენი ძირითადში განიხილავდნენ, სხვა თემებს: ომისწინანდელ პოლიტიკურ ვითარებას და სამხედრო ტექნიკის სიახლეებს. სტალინმა მეგობრულად უწოდა ჩერჩილს „ბებერი საომარი ცხენი“. მან კი სსრკ-ს დაჰპირდა დახმარებას სატვირთო მანქანებით, რაც კიდეც იქნა შესრულებული. უშუალო საუბარი დილის სამ საათამდის გაგძელდა, რის შემდეგაც ბრიტანელები გავიდნენ თავიანთ რეზიდანციაში და 4:15 წთ-ზე გაემგზავრნენ აეროდრომზე. სტალინმა სტუმრები მანქანებამდის მიაცილა და სამახსოვრო სურათიც გადაიღო.

ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ უცხოელი პარტნიორების მოშორება გულგრილობით და ამის შემდეგ მოულოდნელად გულითადობის გამოჩენა და რაღაც წვრილმანებზე დათანხმება სტალინის ჩვეულებრივი დიპლომატიურ პრაქტიკას წარმოადგენდა. ამაში არსებით როლს ალკოჰოლიც თამაშობდა. ბევრ მსოფლიო მოღვაწეს დაამახსოვრდა სტალინის სადღეგრძელოები. მას უყვარდა სტუმრების ბოლომდე გამოთრობა, ქართული ტრადიციით ადღეგრძელებდა თითოეულ დამსწრეს და სმა უფრო დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე ეს ჩერჩილთან იყო. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ბანკეტი გაგრძელდა დილის ხუთ საათამდის. რიბენტროპს მოუწია ებრაელი კაგანოვიჩის სადღეგრძელოს დალევა, კაგანოვიჩს კი ჰიტლერისი. მინისტრი ბერლინში მოთავებული მთვრალი გაფრინდა და გაჭირვებით მოიწესრიგა თავი ფიურერთან შესასვლელად.

რიბენტროპის მეორე სტუმრობისას, 1939 წლის სექტემბრის ბოლოსათვის, სტალინმა თვალი მოავლო ორთავე დელეგაციის წევრებს, ყურადღება მიაქცია რიბენტროპის ადიუტანტ ესესელ შულცს, რომელიც მინისტრის სავარძლის უკან იდგა და პროტოკოლით ეკრძალებოდა დალევა, პირადად მიაწოდა ღვინით სავსე სირჩა და წარმოთქვა სადღეგრძელო „ ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდისა“, მერე კი უთხრა რომ მას ფორმა მოუხდებოდა. ის კი დაჰპირდა რომ შემდეგში სსრკ-ში ჩამოვიდოდა ფორმით და კიდეც შეასრულა სიტყვა 1941 წელს.

რიბენტროპმა ძლივს მიუსწრო დიდ თეატრში „ გედების ტბის“ მეორე აქტს და სასმელისაგან შეზარხოშებულმა თავისი სახელით გაგზავნა ყვავილებით სავსე კალათი გალინა ულანოვასათვის, თუმც ელჩი ამაოდ არწმუნებდა, რომ ეს მოსკოვში არ იყო მიღებული http://www.bbc.co.uk/russian/international/2013/05/130523_stalin_churchill_drinking.shtml

აი, ასეთ „ ასკეტურ“ ცხოვრებას ეწეოდა ამხანაგი სტალინი. ქვეყნის მოსახლეობას მუსრს ომი ავლებდა, თვითონ სტალინი კი ქორწილისდარ ბანკეტებს უწყობდა მოკავშირე სტუმრებს.

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მძლავრადაა სტალინის პიროვნებისადმი თაყვანისცემა., პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეები, საეკლესიო პირები გამოხატავენ რა მის მიმართ „მოკრძალებულ სიმპათიებს“ და ამით კიდევ უფრო ამყარებენ ჩვენს ეროვნულ ცნობიერებასა და თვითშეგნებაში ყალბ, დამღუპველ ტენდენციებს.

აღარაა სსრკ, აღარაა ულმერთო კომუნისტური წყობა, აღარაა ათეისტური იდეოლოგიის შემზარავი ბატონობა, მაგრამ დარჩენილია საბჭოურ-კომუნისტურ-ათეისტური ცნობიერება, ნოსტალგია იმ ჯოჯოხეთისა, რომელმაც სულიერად, ზნეობრივად, ფიზიკურად წელში გატეხა ჩვენი ერი და სამშობლო.

ნუთუ ამაოდ ჩაიარა ეროვნული მოძრაობის აღზევების სამმა წელმა? როგორც ჩანს ეს ასეა! არ გამოდგა საკმარისი სამი წელიწადი ჩვენი სულიერი კათარზისისათვის! განვლილმა ორასმა წელმა, სამოცდაათ წლიანი ულმერთობის ეპოქით, თავისი ჰქმნა. მოზრდილი და სახიფათო ბზარი გააჩინა ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებასა და ცნობიერებაში, თითქმის ამოძირკვა სამშობლოსა და თავისუფლების იდეა და მცნება ჩვენი ცნობიერებიდან, ჩვენი გენიდან, სამაგიეროდ მკვიდრად ჩაკირა ყალბი პატრიოტიზმი, ყალბი გმირები და იდეალები ჩვენს ტვინსა და სულში. ფაქტი სახეზეა! ეს ხომ ნაცადი ხერხია ყოველი დამპყრობლისა.

ვერა და ვერ დაგვიღწევია თავი ამ ავადმყოფობისაგან, ვერ განვკურნებულვართ!

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ამისა კი ეს ოცი წელიცაა! ამ ოცი წლის მანძილზე ქვეყნის სათავეში ბოგინობს ეროვნული ცნობიერების არმქონე კასტები. სახელმწიფოს არ გააჩნია ჭეშმარიტი და ჯანსაღი ეროვნულ სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და შედეგიც სახეზეა!

სამწუხაროდ და საავალალოდ, რენეგატი და კონდეტიერი სტალინის პიროვნების კულტის რეანიმაციასა და რეაბილიტაციაში ჩაბმული არიან ჩვენი სასულიერო იერარქებიც, არა და პირიქით უნდა იყოს! მანქურთი სტალინის პიროვნებას ხოტბას ასხამს ის, ვისი წინამორბედნიც შეეწირნენ კომუნისტურ-ათეისტური რეჟიმის დამკვიდრებას ჩვენში. ჩვენი სულიერი მწყემსები წინ აღუდგნენ ღვთისმგმობელთა და ღმერთთან მებრძოლთა ურდოების შემოჭრას ჩვენს ქვეყანაში და მსხვერპლად სიცოცხლეც გაიღეს!

მაშ რა ხდება დღეს?

ამ კითხვაზე პასუხს გვცემს საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ქრისტიანი მამულიშვილი ზვიად გამსახურდია:

„თუ გსურს ერი, ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი - გმირებად“.

**ალექსანდრე სანდუხაძე**

# გურამ პეტრიაშვილი და გოგი გვახარია

***ირაკლი კაკაბაძის ეს წერილი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ორი ფაქტორის გამო მოხვდა; პირველი, ბატონი გურამი ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი და ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს დეპუტატი გახლავთ და მეორე, ირაკლი კაკაბაძის პირუთვნელი აღიარება, ვინძლო სამაგალითო ჟესტად იქცეს კულტურის იმ მუშაკებისათვის, რომლებიც სრულიად უსაფუძვლოდ უზზეკტდნენ ცხვირს ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლ მამულიშვილებს ( რედ.).***

ამ მოკლე ჩანახატის დაწერა შთამაგონა გოგი გვახარიას მიერ ჩემდამი მოძღვნილმა ფეისბუქ- წერილმა, რომელიც მან ჩემს „ანტი-მამარდაშვილის“ კრიტიკას დაუთმო. რატომღაც ამის მერე ნიჭიერი ქართველი მწერალი გურამ პეტრიაშვილი მომაგონდა. ალბათ, იმიტომ რომ ერთხელ ვნახე, როგორი მწარე სიტყვებით მიმართავდა ბატონი გურამი ბატონ მერაბს და მეც ჩემი ახალგაზრდული ემოციურობით დავიწყე მამაჩემის მეგობრის დაცვა. მაშინ, აღშფოთებული ვიყავი, როგორ შეიძლება მერაბ მამარდაშვილის ასეთი ტიპის კრიტიკა-თქო და ეს, არც გურამისთვის დამიმალავს.

ეს 1990 წელი იყო. ნამდვილად სჭარბობდა ემოციები 20 წლის წინ არა მარტო ჩემში, არამედ თითქმის ყველა ქართველში და ამას, რაც მოჰყვა ყველამ კარგად ვიცით. მე ამის მერე „ახალგაზრდა ივერიელში“ წერილიც კი დავუწერე ბატონ გურამს, სადაც ვაკრიტიკებდი მის დამოკიდებულებას ქართული ინტელექტუალური ელიტის მიმართ.

ამის მერე 20 წელი გავიდა. გურამ პეტრიაშვილი დიდი ხანია საქართველოდან დევნილია და პატიოსნად ცხოვრობს უკრაინაში და მისდევს თავის პროფესიას, მწერლობას. ის, არც შევარდნაძის დროს დაბრუნებულა და არც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც ჩემი თანდასწრებით ახალი, რევოლუციური მთავრობის წევრები დიდი ენთუზიაზმით ეპატიჟებოდნენ. მან მაინც უარი თქვა: არ მჯერა ამ „რეფორმისტებისო“ და საკუთარი პრინციპების ერთგული დარჩა. მაშინ კი გამიკვირდა, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან რომ ვუყურებ, ის მართალი აღმოჩნდა. მართალი აღმოჩნდა ინტელექტუალური კლასის მძაფრ კრიტიკაშიც, რადგანაც კარგად დაინახა ინტელექტუალების მისწრაფება სულიერი პროსტიტუციისაკენ. რა თქმა უნდა ეს ყველას არ ეხება, მაგრამ საკმაოდ დიდ ნაწილს ნამდვილად ეხება. წასვლის წინ კი მეტად ემოციურად და გულწრფელად ტელევიზიის ეკრანიდან უთხრა: მოგელანდებით, ისე არ დაგტოვებთო. და აქაც მართალი აღმოჩნდა ეს უბრალო ხალხიდან გამოსული სახალხო მწერალი, რომელიც ამავე დროს არაჩვეულებრივი საბავშვო მოთხრობების ავტორი იყო. მე მას მაშინაც არ ვეთანხმებოდი ბევრ რამეში და ალბათ დღესაც არ დავეთანხმები. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ, ჩემგან უსინდისობა იქნება ღრმა პატივისცემა არ გამოვხატო ამ პატიოსანი და გულწრფელი ადამიანის მიმართ, რომელიც მწერალიც კარგი იყო და მსახიობიც. ახლა არ ვიცი სად და როგორ არის ბატონი გურამი, მაგრამ მინდა რომ გულწრფელად გადავცე ჩემი პატივისცემა იმის გამო, რომ საკუთარ პრინციპებს არ უღალატა და, რაც მთავარია, არ დახარბდა არც სამთავრობო თანამდებობას, არც რომელიმე „კინობიზნესის“ მესვეურობას, არც პოპულარული ტელეგადაცემის წაყვანას საზოგადოებრივ ტელევიზიაში. ამ სიკეთეებს მას სააკაშვილის რეჟიმი უხვად სთავაზობდა. მან არჩია ჩუმად და წყნარად, როგორც მწერალს გაეგრძელებინა თავისი ცხოვრება დევნილობაში და პატიოსნება პრივილეგიებში არ გაეცვალა.

გოგი გვახარია გურამ პეტრიაშვილის ანტიპოდია. ის ჩემს სააxლობლო წრეებში ტრიალებდა მუდამ და მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე უფროსი იყო, საკმაოდ ხშირად მიწევდა მისი ნახვა და მასთან ხელოვნებაზე, ფილოსოფიაზე თუ ცხოვრებაზე „ჭორაობა“. მე ამ პროცესისთვის სხვა რამის დარქმევა გამიჭირდება, რადგანაც ეს ყოველთვის იყო საქართველოსათვის ტიპიური სამზარეულოს საუბრები. რა თქმა უნდა მის გადაცემებშიაც ვყოფილვარ რამდენჯერმე და უნდა ვთქვა, რომ ის კარგი პროფესიონალია თავის საქმეში - კინოს კრიტიკაში. ძალიან შრომისმოყვარე ადამიანია და უთუოდ ბევრი ფილმი აქვს ნანახი. ჩვენი კინემატოგრაფიული სიმპათიები ხშირად ემთხვევა კიდეც. გარდა ამისა, გოგი ჩემი დის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია და პრაქტიკულად ჩემი „გაფართოვებული“ ოჯახის წევრიცაა ამ გაგებით. კიდევ ის მინდა ვთქვა, რომ გოგიმ 90-იან წლებში ნამდვილად ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა იმისათვის, რომ უმცირესობების და განსაკუთრებით სექსუალური უმცირესობების უფლებები ფართო მასებისათვის გაეცნო. მის გადაცემებს ყოველთვის ბევრი მაყურებელი ჰყავდა.





მაგრამ, ამავე დროს გოგი გვახარია იყო თბილისში გაზრდილი 'სვეცკი“ (ამ რუსული ტერმინით პრივილეგირებულ ინტელექტუალურ კასტას ახასიათებდნენ ჩემს ბავშვობაში) საზოგადოების წევრი და ერთ-ერთი იდეოლოგიც. ის თავიდანვე გამოირჩეოდა საკუთარი ლიბერალიზმით - კლასობრივი საკითხები მას ნაკლებად აღელვებდა, მაგრამ იდენტობის პოლიტიკა კი ნამდვილად უყვარდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თავს ყოველთვის მემარცხენედ თვლიდა - ალბათ „პოსტ-მოდერნულ მემარცხენედ“, რომლებიც ბურჟუა კონსესუსს მართალია არ უპირისპირდებიან, მაგრამ ცდილობენ უმცირესობების უფლებები დაიცვან. ეს საკითხი მართლაც აქტუალურია, მაგრამ, აქ საქმე სულ სხვა რამეშია.

გოგი გვახარია და მისი სააზროვნო კასტა ტიპიურ ქართულ ელიტურ დაჯგუფებას წარმოადგენს. ეს ის დაჯგუფებაა, რომელიც თითქმის არასდროს არ არის გულწრფელი - ის ყოველთვის „პოლიტკორექტულია“. მაშინ, როდესაც ახალგაზრდებს ქუჩაში ხვრეტენ, ისინი ამაზე უთუოდ პროტესტს გამოხატავენ სამზარეულოებში, მაგრამ საქმეში ისევ ხელისუფლების ტელევიზიებთან არიან. მათ სამზარეულოებში არ მოსწონთ ის ფაქტი, რომ ვთქვათ ნოდარ ლადარია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსებაზე ზის (ამაზე რამდენიმე „ჭორაობა“ გვქონია იმ ავადსახსენებელ 2006 წელს), მაგრამ რეალობაში ლადარიასთან წყნარად და მშვიდად თანაარსებობენ და უფრო მეტიც. ხშირად ლიბერალიზმის და ნეოლიბერალიზმის დაცვის საქმეში მის პოზიციას იჭერენ. აქილიკებენ ყველას - რა თქმა უნდა მთავრობასაც და ოპოზიციასაც - დისიდენტებს გიჟებს უწოდებენ, სოციალისტებს სტალინისტებს, ტროცკისტებზე უბრალოდ იცინიან, ანარქისტების ეშინიათ და ამ შიშის სინდრომს ავრცელებენ. რაღა თქმა უნდა, ვინც მორწმუნეა, იმათ ყველას შავ სიაში უკრავენ თავს და ჩვეული მეთოდით „სპინავენ“ მათს გაშავებას. როდესაც ახალგაზრდები ღარიბებისა და შეჭირვებულების დახმარების ენთუზიაზმით აღენთებიან, ეს ჩვენი არტისტი ბურჟუა ლიბერალები მათ ყველანაირ იმედს ძირშივე უკლავენ. როგორ გეკადრებათ: ადამიანების თანასწორობა იდეალისტების მოგონილია და ამაზე სერიოზულად არც ღირს ლაპარაკიო. მთავრობას კი ისინი უმნიშვნელო დეტალებზე აკრიტიკებენ - მაგალითად, ვინმე ასათიანის ტელეგადაცემაზე, ან გიორგი არველაძის აშკარა იდიოტიზმზე. ანუ ამით იმას უსვამენ ხაზს რომ, როგორ გეკადრებათ, მართალია მთავრობის ხელფასზე ვსხედვართ, მაგრამ ისინიც არ გვიყვარსო. მათ როგორც წესი არავინ უყვარს საკუთარი ჯგუფის გარდა - განსხვავებულ აზრს არ იღებენ - ოღონდ არა ტოტალიტარული მეთოდით, არამედ ჩომსკის მიერ კარგად ჩამოყალიბებული „სპინის“ მეთოდით - გაქილიკება, ცილისწამება და ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა. „ჩვენ ვართ კარგები და დანარჩენი ყველა ცუდია - მთავრობაც, ოპოზიციაც და დაბნეული უმცირესობაც“. მათ ადამიანის ბუნებაზე ნეგატიური წარმოდგენა აქვთ - ადამიანის ბუნება თავისთავად ბოროტია და არ ღირს მაღალი იდეალებისთვის ბრძოლა. სჯობია, ისევ სექსზე ვილაპარაკოთ, ანკი სამზარეულოში ინტელექტუალური „ჭორაობა“ გავმართოთ, სადაც კარგად ამოვარჩევთ „საკბილოს“.

გოგი გვახარია და მისი „სვეცკი“ კასტა პრივილეგირებული ცხოვრებით ცხოვრობს, ირგებს ნებისმიერი რეჟიმის მატერიალურ სიკეთეებს (შევარდნაძისაც და სააკაშვილისაც) - მაგრამ მომენტს არ უშვებს იმისათვის, რომ სხვები გაკიცხოს და შეარცხვინოს. ღმერთმა დაგვიფაროს და არ დაეთანხმოთ, მაშინვე პერაიად გამოგაცხადებენ და „გოიმი“ გახდებით.

ახლა ბევრი ლაპარაკი მიდის საქართველოში პროგრესული აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ცხადია, მთავრობის ნეოკონსერვატორები არ სარგებლობენ ამ ჯგუფში დიდი პატივისცემით - მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მოინახა 'ჩვენიანი მემარცხენე', რომელიც არც ომის წინააღმდეგია, არც სიღატაკეს აპროტესტებს, უბრალოდ უმცირესობების უფლებებს იცავს და იქაც შეიძლება ჩინელების უფლებებისთვის თავი არ მოიკლას. არც იმას განიცდის მაინცდამაინც საქართველოს პრეზიდენტი მთელი მსოფლიოს შავკანიან მოსახლეობას ტელევიზიით შეურაცხყოფას რომ აყენებს. მოკლედ, ეს მისაღები „ჩვენიანი“ მემარცხენეა, რომელიც თუნდაც კინო და ტელე-მოღვაწეების პროფკავშირებს არასდროს ჩამოგიყალიბებს.

მოკლედ, ამას თავისი სახელი რომ დავარქვათ, ეს არის პოსტ-მოდერნისტი ბურჟუა 'მემარცხენე' ლიბერალი, რომელიც ამ ჩაგვრის სისტემასთან თანამშრომლობს, კაპიტალიზმით ტკბება, მაგრამ ერთი-ორ პაზოლინის ფილმს აჩვენებს, არა როგორც რევოლუციურ მანიფესტოს, არამედ როგორც პერვერსიისა და სოციალური მოძრაობის აღრევას. ბურჟუა ლიბერალებს ძალიან უყვართ ფროიდი, მაგრამ ხანდახან ავიწყდებათ ფროიდის გაქანებული სექსიზმი და ქალების მეორეხარისხოვან ადამიანებად წარმოჩენა. ისინი მუდამ მამარდაშვილზე აპელირებენ, და როგორც გიორგი მაისურაძე ძალიანაც სამართლიანად ამბობს, ალბათ არც აქვთ წაკითხული მამარდაშვილი. ის უბრალოდ მოდური ავტორია და „კაი პონტია“.

ახლა, როდესაც ჟიჟეკის, ბადიუსა და აგამბენის წიგნების გამოსვლის შემდეგ ახალგაზრდობაში დაიწყო სერიოზული მოძრაობები სოციალური სამართლიანობის საძიებლად, პოსტ-მოდერნი ბურჟუა ლიბერალები მათ ისევ „იდენტობის პოლიტიკაში“ ექაჩებიან. რა დროს კლასობრივი ბრძოლაა, ვერ დაინახეთ რა ქნეს საბჭოთა კავშირმა და ჩინეთმა? ახლა კიდევ ამის გაკეთება გინდათ.

დღეს რომ მსოფლიოში ნეოლიბერალური ეკონომიკური წყობის შედეგად დღეში 22 ათასი ბავშვი კვდება შიმშილით, ეს პოსტ-მოდერნული ბურჟუა ლიბერალების პრობლემა არ არის. ამას ვერაფერს უზამ, იმიტომ რომ ადამიანის ბუნება, თურმე ბოროტია და ეს ჩვენ დავიმსახურეთ. ოღონდ „ჩვენ“ არა, აღმატებულმა ინტელექტუალურმა კასტამ არა, ეს იმ „გოიმებმა“ და გაჭირვებულებმა, რომელთა მშობლებმაც ვერ შესძლეს ბურჟუაზიის დისკრეტული შარმის გაგება. მათ ბუნუელიც უყვართ და შეიძლება პონტე კორვოს ფილმსაც უყურონ, მაგრამ დასკვნა ისევ კონსერვატიულ-პესიმისტური იქნება - რას იზამ, ადამიანი ჩათლახია, როგორც ჩვენი თბილისის კოლორიტი გიჟი მარინა იტყოდა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „გიჟი მარინა“ ბურჟუა ლიბერალებზე ბევრად უფრო პატიოსანი იყო - ის არ მალავდა თავის გრძნობებს და „პოლიტკორექტული“ არ იყო. ცხადია მე ამას დღევანდელ ახალგაზრდა ქართველ მემარცხენე ლიბერალებზე არ ვამბობ. მათ გულწრფელობა ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვთ და არც ისე ტკბებიან კაპიტალიზმით, როგორც ამას მათი უფროსი მეგობრები აკეთებენ.

როდესაც მე „ანტი-მამარდაშვილი“ დავწერე იქ შეგნებულად გავაკრიტიკე ფროიდიზმი. თავად ზიგმუნდ ფროიდი ცხადია დიდი მეცნიერი იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფროიდიზმი რეაქციული მოვლენა არ არის დღეს. ამ მიმდინარეობის რეაქციულობა სწორედ იმაშია, რომ იმ დროს, როდესაც მილიარდი ადამიანი შიმშილით კვდება, დისკურსი ეროგენული ზონების განვითარებაზე გადააქვს. გრამშის ტერმინით რომ ვთქვათ, ბურჟუა ინტელექტუალთა ელიტას დღევანდელი საჯარო მეტყველება ჰეგემონიზებული აქვს და ცდილობს ყველაზე მტკივნეული საკითხები სხვადასხვა „სექსუალური ფანტაზიებით“ შეგვიცვალოს. ეს

გაგრძელება გვ. 14

დასაწყისი გვ. 13

არის იდენტობის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე დანაშაულებრივი ნაწილი და სწორედ ამიტომაცაა, რომ იდენტობის პოლიტიკა დღევანდელ ასანჟის დროინდელ რეალობაში რეაქციული ფენომენია. ფროიდი და მისი „ფალოსის შური“ დღეს ჩემთვის მეათეხარისხოვანია, სანამ ვიცი, რომ ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის რეცეპტებით ჰოლოკოსტზე დიდი ტრაგედია ხდება ყოველწლიურად. აბა გადაამრავლეთ 22 ათასი შიმშილით მკვდარი ბავშვი წელიწადის დღეების რაოდენობაზე!

დღეს მსოფლიოში ახალი ხედვა მკვიდრდება - ის არსობრივად განსხვავებული იქნება მე-20 საუკუნის მემარცხენე მოძრაობებისგან და ფროიდიზმისაგანაც. ეს ხედვა შიმშილს, სიღატაკეს და სოციალურ მარგინალიზაციას ებრძვის - მილიარდობით ადამიანის გაუბედურებას. ამ ღარიბი ადამიანების რიცხვი საქართველოშიაც მატულობს ყოველ დღე.

თუმცა გოგი გვახარია და მისი ინტელექტუალთა კასტა ამაზე ნაკლებად ფიქრობენ საუბედუროდ. მათ უფრო ფსიქო-დრამები იტაცებთ,

მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ყველა ადამიანში არის რაღაც კარგი და ადამიანის ბუნება არ არის ინჰერენტულად ბოროტი. სწორედ ამას ამბობდა 1972 წელს მიშელ ფუკოსთან დებატებში ნოამ ჩომსკი. საბედნიეროდ ის დღესაც ამ აზრზეა.

მე მაინც მჯერა იმის, რომ ერთ მშვენიერ ღამეს ჩემს მეგობარ გოგი გვახარიას მოელანდება ბატონი გურამ პეტრიაშვილი, რომელიც ბევრ სხვაზე პატიოსანი და პრინციპულიც აღმოჩნდა. მოელანდება და ეტყვის:

„ჩემო ძვირფასო გოგი, ადამიანის ბუნება სულაც არ არის ბოროტი. მას სოციალური გარემო განაპირობებს და ჩემი თუ არ გჯერა ალენ ბადიუს მაინც დაუჯერე. მსოფლიოს სჭირდება ახალი პავლე მოციქული - მსოფლიოს სჭირდება სიყვარულის დოქტრინა. არა მუდმივი ქილიკის და პოლიტიკური პროსტიტუციის, არა ინტელექტუალური კეკლუცობის და პრანჭვაგრეხვის, არამედ ნამდვილი და გულწრფელი, ადამიანური სიყვარულის დოქტრინა. და ეს პირველ რიგში ერთმანეთის დახმარებას ნიშნავს.“

***ირაკლი კაკაბაძე, 2010 წლის 9 დეკემბერი.***

Ninia Kakabadze: *მეც დიდხანს ვეცადე ხმა არ ამომეღო და ახლაც ვეცდები, მაგრამ ერთი კითხვა მაინც უნდა დავსვა საჯაროდ: ირაკლი, მაინც და მაინც გურამ პეტრიაშვილს რატომ ადარებ გოგის?*

Rusiko Amirejibi: *ირაკლი, გაგიჟდი, ხო?*

Irakli Zurab Kakabadze: *ძვირფასო მეგობრებო, დიდი მადლობა კომენტებისთვის. ახლა მეც ლელასი არ იყოს ლექცია მაქვს და ლექციის მერე კარგად გიპასუხებთ. მესმის განსხვავებული პოზიციის ადამიანების. ისიც მესმის რომ პეტრიაშვილის ფობია ძალიან ძლიერია რიგ ადამიანებში. მაგრამ ვფიქრობ ადექვატური მაგალითი მოვიტანე...*

Rusiko Amirejibi: *ირაკლი, მე ფობიები არ მაწუხებს, მათ შორის არც პეტრიაშვილის ან ასანჯის მიმართ. უბრალოდ იდიოტებისგან კარგს არაფერს ველი. ნუ, ხო, პრინციპში არ მიყვარს იდიოტები...*

ჩვენ, საკუთარი facebook-ის გვერდზე განთავსებული ირაკლი კაკაბაძის ეს წერილი, მხოლოდ იმ კომენტარებითურთ დავბეჭდეთ, ვისზეც პასუხის, ამჯერად გაცემა მოისურვა აწ უკვე სამშობლოში დაბრუნებულმა დევნილმა მწერალმა, უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ბატონმა გურამ პეტრიაშვილმა, რომელსაც ჩვენ მცირე კომენტარი ვთხოვეთ.

გურამ პეტრიაშვილი: - *ვერ ვითვალთმაქცებ და არ ვიტყვი, რომ არ გამიხარდა ირაკლი კაკაბაძის წერილი. უპირველეს ყოვლისა, ირაკლის მშობლები ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები არიან. მამამისის, ქართველი ფილოსოფოსის, ზურაბ კაკაბაძისაგან ვისწავლე, თუ როგორ უნდა მეცქირა სამყაროსთვის და საზოგადოებისთვის და თან ქართველ ადამიანად დავრჩენილიყავი. ხოლო დედა, ქართველი კინომცოდნე ნათია ამირეჯიბი, მართლაც მასწავლიდა თეატრალურ ინსტიტუტში და შემიძლია დავადასტურო, რომ ჩემი თანაკურსელი ყველა ვაჟი შეყვარებული ვიყავით მასზე ნათელი ზეპლატონური სიყვარულით, რომელშიც განსხეულებული იყო დიდი სილამაზე, დიდი სიბრძნე და კეთილშობილება.*

*და აბა, როგორ არ გამიხარდეს, თუ ასეთი მშობლების შვილისაგან პატივისცემა დამიმსახურებია ჩემი შემოქმედებითა და ცხოვრების წესით.*

*არ უნდა დავივიწყოთ ისიც, თუ რა გზა გაიარა ირაკლი კაკაბაძის გონებამ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ინსტიქტური უარყოფიდან (საკუთარი სოციალური წრის გავლენით) ამერიკელი ნონკონფორმისტების ერთ-ერთი ლიდერის ნოამ ჩომსკის ჰუმანიზმამდე.*

*ცხადია, უნდა გავიაზროთ ისიც, რომ ირაკლი თავისი წერილით მკვეთრად დაუპირისპირდა თავის მშობლიურ წრეს. და წრემ, ცხადია, მაშინვე გამოხატა თავისი უკმაყოფილება ირაკლის წერილის კომენტარებით. ამ უკმაყოფილოთაგან მე მხოლოდ ორს გავცემ ახლა პასუხს. ირაკლის დამ, გოგი გვახარიას მეგობარმა ნინია კაკაბაძემ დაწერა: „...ირაკლი, მაინცდამაინც გურამ პეტრიაშვილს რატომ ადარებ გოგის?“*

*ნინიამ იგრძნო, რომ არამარტო გოგი გვახარია გააკრიტიკა ირაკლიმ, არამედ მთელი მათი წრე, კომფორტული, ვითომ ბუნტარობის გარსი გახეთქა საპნის ბუშტივით.*

*მეორე, ვისაც უნდა გავცე პასუხი არის რუსიკო ამირეჯიბი. რუსიკო წერს: „ირაკლი, მე ფობიები არ მაწუხებს, მათ შორის, არც პეტრიაშვილის ან ასანჯის მიმართ, უბრალოდ, იდიოტებისაგან კარგს არაფერს ველი. ნუ, ხო, პრინციპში არ მიყვარს იდიოტები. მაგალითად ბუში, მაგრამ ეს ფობია არაა“.*

*ე.ი. ქალბატონმა რუსიკომ ძალიან ბუნებრივად, პრიმიტიულად გამომლანძღა და იდიოტი მიწოდა. მეც ლანძღვას ხომ არ დავუწყებ. ჩემგან პასუხს, როცა იქნება მიიღებს. ეს აუცილებლად მოხდება, როცა ერთხელ ქალბატონი რუსიკო დაინტერესდება, თუ რომელი წიგნის კითხვაში ჩაეძინა ჩემს შვილსო, ნახავს, რომ წიგნის ყდაზე წერია: გურამ პეტრიაშვილი „პატარა ქალაქის ზღაპრები“.*

## რექტორთა და უნივერსიტეტების საყურადღებოდ!

უნივერსიტეტების პროფკავშირული ორგანიზაციების ევრაზიული ასოციაციის 25–ე ყრილობაზე საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევით განხორციელდა აფხაზეთის უნივერსიტეტის გაწევრიანება აღნიშნულ ასოციაციაში (ჟურნალი „Вестник Профсожзов“ 2013 წ. №1). საქართველოს უნივერსიტეტებმა და მათმა რექტორებმა პასუხი უნდა მოსთხოვონ ევრაზიული ასოციაციის მესვეურებს საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფაზე და ოფიციალურად დაგმონ ეს ფაქტი!

## რა ხდება აფხაზეთში?

აფხაზეთში ოკუპაცია – „აღიარებამ“ კატასტროფული შედეგები გამოიღო. ამას ცხადჰყოფს რაულ ხაჯიმბას – რადიკალური ოპოზიციის ლიდერის განცხადება სოხუმში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე:

„აფხაზეთი დღეს ღრმა კრიზისშია. ამას ადასტურებს ეკონომიკის დეგრადაციის მზარდი პროცესი, საზოგადოების მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია, დამნაშავეობის, კორუფციისა და ნარკომანიის ზრდა, დემოგრაფიული მაჩვენებლის დაცემა, რომელიც თავად ჩვენი ხალხის არსებობას ემუქრება“. რაულ ხაჯინბა საბჭოთა წარსულში სსრკ სუკ–ის ოფიცერი და ერთ დროს აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკის ვიცე–პრეზიდენტი ზედმიწევნით ზუსტად არის ინფორმირებული აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში. ჟურნალ „Вестник кавказа“–ში 2013 წელს გამოქვეყნებული მისი სიტყვები ნათლად ადასტურებს, რომ სეპარატიზმი ეს არის თვითმკვლელობის სტრატეგია.

## რადიკალური ფემინიზმი - ქართული თვითმყოფადობის საფრთხე

რადიკალური ფემინიზმის აგრესიული მოქმედება ჩვენი ერის თვითმყოფადობის მიმართ დიდ საფრთხეს წარმოადგენს. რადიკალური ფემინიზმი საკუთარი მოძრაობის ქვაკუთხედად სქესსთა სეგრეგაციას, ქალისა და მამაკაცის განცალკევებულ არსებობას აცხადებს. რეალურად ეს კონცეფცია XXI საუკუნის აპარტჰეიდია, ოღონდ არა რასობრივი, არამედ სქესობრივი ნიშნით. რადიკალური ფემინიზმის მთავარი დარტყმის ობიექტი არის თანასწორობის პრინციპი. ბოლო 10 ათასი წლის განმავლობაში, კაცობრიობის სქესობრივი ნიშნით დაყოფამ, ნათლად აჩვენა თავის სიცოცხლისუნარიანობა. ზუსტად ამ მოდელის დისრკედიტაცია და დანგრევა წარმოადგენს რადიკალური ფემინიზმის ამოცანას. იგი მამაკაცს განიხილავს, როგორც მტერს, რომელიც უნდა დაამარცხო და დაიმორჩილო. ამ ექსტრემისტული მიზნიდან გამომდინარე, რადიკალური ფემინიზმი ექსტრემისტულ საშუალებებს მიმართავს. რადიკალური ფემინიზმი ეს არის მტრული შეთქმულება დემოკრატიის წინააღმდეგ. კითხვა, არსებობს თუ არა რადიკალური ფემინისტური მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში, პასუხგაცემულია. 2013 წლის 17 მაისმა ნათლად აჩვენა ამ მოძრაობის აქტივობისა და გავლენის ხარისხი საქართველოში. რადიკალური ფემინიზმის ხილული მოთავეები თამარ ჩერგოლეიშვილი, ელენე ხოშტარია, თამარ ცოფურაშვილი ამ მოძრაობას წარმართავენ ელენე ხოშტარიას იდეოლოგიური თეზისის „ცოდვა დანაშაული არ არის“ შესაბამისად. რადიკალური ფემინიზმი უარჰყოფს ერის წარსულს და ამით უარს ამბობს აწმყოზეც და მომავალზეც. მათ უკვე მიმართეს მცდელობათა მთელ სერიას, რათა ეჭვქვეშ დადგეს ქართველი ერის მიერ მრავალი საუკუნის განმავლობაში, დროში და ისტორიულ ქარტეხილებში გამოცდილი თავდაცვითი მექანიზმები და სისტემები, ის საშუალებები რამაც ქართველებს დღემდე შეუნარჩუნა საკუთარი ეროვნული იდენტობა.

რადიკალური ფემინიზმის სამოქმედო სტრატეგიის ნაწილია ლგბტ იდეოლოგიის კონტრაბანდა, ამ იდეოლოგიის დასამკვიდრებლად ჩვენს ქვეყანაში სათანადო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნიადაგის მომზადება.

რადიკალურმა ფემინიზმმა, სადაც მოახერხა სოციუმში საკუთარი იდეოლოგიის შეტანა და ნაწილობრივ მაინც დაინერგა, უკვე საგრძნობლად წაშალა იმ სოციუმებში მამაკაცისა და ქალის სახე და ცნება. ამ ყველაფერმა კი ხსენებულ სოციუმებს დამანგრეველი შედეგები უკვე მოუტანეს. თვალსაჩინოებისთვის, შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი ისტორიის მაგალითიც ვიკმაროთ, სადაც რადიკალურმა ფემინიზმმა ყველაზე ღრმად განახორციელა სოციუმში სქესთა სეგრეგაციული ყოფის მოდელის ამუშავება. ოჯახებიდან მამების განდევნა, ბოროტმოქმედება და ძალადობა ყოველდღიურ რუტინად აქცია. ქალს მოეხსნა პასუხისმგებლობა ქმრისადმი, შვილისადმი, თავად ოჯახისადმი. რადიკალური ფემინიზმის ექსტრემისტულმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ ბიოლოგიამ ქალის მიმართ ფატუმის როლი დაკარგა. აბორტი გახდა აბსოლუტიზებული ნორმა საზოგადოებაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში რადიკალურ ფემინიზმს ბევრი დაუპირისპირდა, მათ შორის ყოფილი ფემინისტებიც. მათგან ერთ–ერთი ყველაზე ცნობილი კრიტიკოსია, ადრე ფემინისტი და ამჟამად ანტიფემინისტი უორენ ფარელი. მან დაბეჭდა რადიკალური ფემინიზმის მამხილებელი წიგნი: „მითი მამაკაცის ხელისუფლების შესახებ“. ავტორმა უამრავი ფაქტოლოგიური მასალით ნათლად დაამტკიცა, რომ დღეს საუბარი მამაკაცებზე, როგორც პრივილეგირებულ კლასზე, არის სიცრუე. სოცოცხლის შეწყვეტის 55 მთავარი მიზეზიდან, მამაკაცი ყველა ამ მიზეზებით უმთავრესი მსხვერპლია. ომები, კონფლიქტები, ყოფითი დანაშაული, შრომითი ტრავმატიზმი – ყველა ამ შემთხვევაში მამაკაცი პირველი და ყველაზე მრავალრიცხოვანი მსხვერპლია, იგი მთავარი დაჩაგრულია.

რადიკალურ ფემინიზმს ჩვენს ქვეყანაში თვალსაჩინო ადეპტიც ჰყავს ლაშა ბაქრაძის სახით. „ვარდების რევოლუციის“ ტრიბუნიდან ნაციონალური რეჟიმის „კულტურკამფის“ ფუნქციონერად გარდაქმნილი – იგი დღეს რადიკალური ფემინიზმის ორგანიზატორ–რუპორად გვევლინება, რითაც ცდილობს რადიკალური ფემინიზმის სტრატეგიის ამოქმედებით ძალაუფლების ვერტიკალში მაღალ საფეხურზე აინაცვლოს.

რადიკალური ფემინიზმი საკუთარი სტრატეგიის შესანიღბად სხვადასხვა მეთოდებს იყენებს, მისი ოპერატიული შენიღბვის ერთ–ერთი წამყვანი ელემენტი არის ბრძოლა „თეოკრატიასთან“ და „ჰომოფობიასთან“. ლგბტ ჯგუფის „უფლებების დაცვის“ საფარის ქვეშ რადიკალ ფემინისტები ახდენენ თვით თანასწორობის იდეისა და პრინციპის დისკრედიტაციას. ამ დისკრედიტაციამ და ნგრევამ მათთვის იმ გზის გათავისუფლება უნდა მოიტანოს, რომლითაც ისინი სახელმწიფო–პოლიტიკური ხელისუფლების უზურპაციასთან უნდა მიიყვანოს. მათი მიზანია რადიკალური ფემინისტური მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში აქციონ კანონზე მაღლა მდგომ უმცირესობად, რომელიც ექსტრემისტული საშუალებებით დაანგრევს დღემდე არსებულ სქესობრივი დაყოფის საფუძველზე მოქმედ განვითარების მოდელს. რადიკალურ ფემინიზმს არა აქვს კონსტრუქციული ალტერნატივა. ეს მას, არც სჭირდება. დესტრუქცია მათთვის ერთადერთი ალტერნატივაა. ეს კი ანტაგონისტური დაპირისპირების მათეული ღერძია, რითაც რადიკალური ფემინიზმი ქართველების ეროვნულ იდენტობის მოსპობას ლამობს. საქართველო, სახელმწიფო და კულტურა, ქართველი ერი უნდა დაცული იქნეს რადიკალური ფემინიზმის აგრესიისაგან, ეს თითოეული ჩვენი მოქალაქის საზოგადოებრივი ვალია, პასუხისმგებლობაა მომავალი თაობებისადმი.

რადიკალური ფემინიზმის საფრთხეს უნდა შევხედოთ, როგორც თითოეული ჩვენთაგანის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ. იგი უნდა ვამხილოთ და უკუვაგდოთ ჩვენი სამშობლოდან.

*მასალები მოამზადა დავით არაბიძემ*

# მივყვეთ მამა-პაპის გზას!

დასაწყისი გაზეთის №36

გლახო კარგარეთელი

გოეთეს ფაუსტი ტიპიური თავისუფალ ქვისმთლეთა და ილუმინატთა მაღალი ლოჟის ლუციფერული იდეოლოგიაა. ის ღმერთს სატანად აქცევს.

„ვაი მათ, ვინც კარგს ცუდს უწოდებს და ცუდს — კარგს, ვინც სიბნელეს სინათლით ცვლის და სინათლეს — სიბნელით, ვინც ტკბილს მწარით ცვლის და მწარეს — ტკბილით!“ — ესაია 5,20.

„ვაი ბრძენებს საკუთარ თვალში და გონიერთ საკუთარი ჭკუით!“ (ესაია 5,21)

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 1509 წელს ამ კაცმა იოჰან ფაუსტის სახელით დაამთავრა ჰეიდელბერგის უნივერსიტეტი და პოლონეთს გაემგზავრა, რათა გაეგრძელებინა განათლების მიღება საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში. როგორც ეტყობა, ის მალე გახდა მოხეტიალე ვარსკვლავთმრიცხველი და ჯადოქარი, აწ უკვე ცნობილია, როგორც გეორგ ფაუსტი. ის გამოაგდეს ერფრუტის უნივერსიტეტიდან. 1520 წელს ფაუსტი აღმოჩნდა გეორგ III ჰამბურგელის კარზე, სადაც ჰოროსკოპების შემდგენლად მოეწყო. რვა წლის შემდეგ, როცა ფაუსტმა სახელად მიიღო იორგ ფაუსტუსი და თავი გამოაცხადა ბედის წინასწარმეტყველად, ის გამოაპანღურეს ქალაქ ინგოლშტადტიდან. ამის შემდეგ, რამდენიმე ხანი მუშაობდა ყმაწვილთა პანსიონის დირექტორად ნიურნბერგში, მაგრამ 1532 წელს გაათავისუფლეს და სამარცხვინოდ იქნა ქალაქიდან გაგდებული ყმაწვილთა ზნეობრივი გახრწნის გამო. მას გააჩნდა საოცარი ნიჭი ნებისმიერი სიტუაციის მორგებისა, ვითომც არაფერი, ისე აგზავნიდა სავიზიტო ბარათებს, სადაც თავის თავს წარადგენდა „მაგებს, ვარსკვლავთმრიცხველებს შორის უპირველესად, მეორე კაცად ფოკუსნიკებს, ჰირომანტებს, აერომანტებს, პირომანტებსა და ჰიდრმანტებს შორის“.

### ჯადოქრის საშინელი აღსასრული

შემონახულია ცალკეული ჩანაწერები შავკანიანის საშინელი სიკვდილის შესახებ. 1540 წლის შემოდგომის იმ ღამეს პატარა ქალაქ შტაუფენ იმ ბრაისჰაუს სასტუმრო შეძრა საშინელმა ხმაურმა, რომელსაც თან ახლდა განწირული ადამიანის ხავილი. ადგილობრივი მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ ღამით სრულიად მოწმენდილ ცაზე ჭექავდა ელვა. სასტუმროს შენობის ბუხრის მილიდან ამოიფრქვევოდა მოცისფრო ალი, ჭიშკარი და დარაბები კი თავისთვის ზანზარებდნენ. სულისშემძვრელი წამოყვირებები და კვნესა ორ საათზე მეტხანს გამოდიოდა ნომრიდან, რომელიც დოქტორ ფაუსტს ეკავა. მხოლოდ განთიადისას გაბედა მასპინძელმა მსახურთან ერთად იქ შესვლა. თვალწინ საშინელი სურათი გადაეშალათ. ოთახის შუაგულში არაბუნებრივ პოზაში ეგდო ადამიანის საშინელი ჭრილობებით დასახიჩრებული სხეული: ამოთხრილი თვალით, გვერდზე მოღრეცილი თავით, ნეკნები ბევრ ადგილას გარეთ ჰქონდა გამოყრილი. მასპინძელმა ძლივს იცნო მისი მდგმური. ასე მოექცა მას მეფისტოფელი, რომელთანაც მან მესამედი საუკუნით შეკრა ზავი — „უდიდესი ცოდნისა და ძალის მოპოვების სანაცვლოდ“. ვადის გასვლისთანავე ეშმაკმა საშინლად დაასახიჩრა ფაუსტი, რათა მის სულს არ შეძლებოდა სხეულში მობრუნება, თვით სული კი ჯოჯოხეთში წაიღო.

### გოეთე და ქრისტიანობა

გოეთეს პიროვნება და შემოქმედება ყოველთვის იწვევდა არა მარტო ფილოლოგთა, არამედ ფილოსოფოსთა, კულტურის ისტორიკოსთა, ბიოლოგთა ინტერესს. გერმანელი პოეტის მსოფლმხედველობის ყველა მხარეა შესწავლილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გოეთემცოდნეობაში ერთსულოვნება სუფევს. არის ერთი ღია საკითხი — გოეთეს დამოკიდებულება რელიგიასთან და კონკრეტულად ქრისტიანობასთან.

„პრომეთე“ — ნათელი ანარეკლია ახალგაზრდა გოეთეს ფილოსოფიური შეხედულებებისა. აქ აშკარადაა გამოთქმული მის მიერ რელიგიის უარყოფა. ყოველი ცოცხალი არსება — ბუნების განუყოფელი ნაწილია, გამაერთიანებელი ყოველივესი, რაც კი არსებობს. ადამიანი უპირველეს ყოვლისა არის შემოქმედი, სწორედ შემოქმედებით საწყისში წარმოჩინდება მისი უმაღლესი არსი.

პოეტის სხვადასხვა გამონათქვამებზე დაყრდნობით, მისი შემოქმედების მკვლევარები გოეთეს შემოქმედებაში პოულობენ ათეიზმს, პანთეიზმს, გნოსტიკურ ელემენტებს და სხვა მრავალს. ზოგიერთნი კი ქრისტიანულ ელემენტებსაც ხედავენ. მაგრამ ამ დროს გასათვალისწინებელია ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლების შეხედულებები. საყოველთაო გოეთემცოდნეობაში არის პროტესტანტი და კათოლიკე ავტორების შრომები. ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესოა მართლმადიდებელი მღვდლის სერგეი სოლოვიოვის ნაშრომი „გოეთე და ქრისტიანობა“, რომელშიც გოეთეს შემოქმედებითი და სულიერი ბიოგრაფიაა განხილული ქრისტიანული რელიგიის პოზიციიდან. მას ბავშვობიდანვე ჰქონია საგანთა და ბუნების მიმართ ლტოლვა, რომელმაც შემდგომ ჩამოაყალიბა მისი დამოკიდებულება ღმერთთან და სამყაროსთან. ბუნების გაღმერთებისაკენ ლტოლვამ საბოლოოდ იზეიმა გოეთეში იტალიაში მოგზაურობის დროს, რომელიც გახდა გარდამტეხი მომენტი შემოქმედის ბიოგრაფიაში. იტალიაში ის დაკავებული იყო ბოტანიკით. აქ გამოსჭვივის დიდი გერმანელის იტალიის რენესანსის მხატვრებთან სიახლოვეც. სწორედ რენესანსული იტალია აღმოჩნდა გოეთესთვის ყველაზე ახლობელი. მასთან შეხებით შემოქმედმა თავი წარმართად იგრძნო. გოეთეს ყურადღებას იპყრობდა არა ანტიკური ქალაქი პომპეი, არამედ რაფაელი, იტალიის სრულყოფილი ანტიკურობის მიმართ პოეტი დარჩა გულგრილი. თუ ანტიკური იტალიის მიმართ გოეთე გულგრილად განეწყო, კათოლიკური იტალიისადმი — მტრულად. პროტესტანტული ცხოვრებით აღზრდილი გერმანელი პოეტი უარყოფითად ღებულობდა კათოლიკური ღვთისმსახურების რიტუალურ მხარეს. იხსენებდა რა ამას სოლოვიოვი მოჰყავს სხვა ფაქტიც: ერთხელ გოეთე დასწრებია მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას, რომელსაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ის წერდა: „დღეს, ნათლიღების დღესასწაულზე, მე ვნახე და მოვისმინე ლიტურგია ბერძნული საეკლესიო წესით. ეს წესები მე მეჩვენება დიდებულად, მკაცრად გააზრებულად, ყველასათვის გასაგებად, ვიდრე ლათინების“.

ამრიგად, გოეთეს პიროვნება საბოლოოდ ჩამოყალიბდა იტალიაში. შინ დაბრუნებულმა თავისი კაბინეტი მორთო ზევსისა და ჰერას თავების სკულპტურებით. სოლოვიოვი ფიქრობს, რომ გოეთემ ამ სახით მისდაუნებურად თავის სახლში საკურთხეველი შემოსა ძველი საბერძნეთის უმაღლესი ღვთაებებით. რამდენადაც დადებითად ეკიდებოდა გოეთე ანტიკურობას, მის მიერ გაგებულ რენესანსულ სულიერებაში, იმდენად უარყოფითად იწყო მან ქრისტიანობის აღქმა. სოლოვიოვის აზრით, მას შთამომავლობით ახასიათებდა შიში ტანჯვისა და თვითგადარჩენის უდიდესი გრძნობა. გოეთე მზად იყო ეღიარებინა ქრისტიანობა, მაგრამ თვითშეწირვისა და წამების გარეშე, გოლგოთის გარეშე. შესაძლებელია გოეთეზე გავლენა იქონია იმ ავადმყოფურმა ატმოსფერომაც, რომელიც შემოავლეს ქრისტიანობას გერმანელმა რომანტიკოსებმა. უარყოფდა რა რომანტიზმს, გოეთე უარყოფდა ქრისტიანობის რომანტიკულ გაგებას, მაგრამ, შესაძლებელია, რომანტიკოსებმაც მიაღწიეს ქრისტიანობაზე დიდი პოეტის წარმოდგენების შერყვნას.

თუ როგორ ესმოდა გოეთეს ქრისტიანობა, ეს სჩანს მისი ბალადიდან „კორინთელი საპატარძლო“, რომელიც მიძღვნილია პირველი ქრისტიანული თემებისადმი. ამ ნაწარმოებში სოლოვიოვი ხედავს ცილისწამებას ქრისტიანული ღმერთისადმი, რომელშიც ის წარმოჩინებულია, როგორც სასტიკი ტირანი, რომელიც გამუდმებით მოითხოვს ადამიანურ მსხვერპლს. მას უპირისპირდებიან მოწყალე ოლიმპოელი ღმერთები.

ქრისტიანობას განდგომილმა გოეთემ შეიმუშავა თავისთვის „პირადი“ რელიგია. ნეოპლატონიზმზე დაფუძნებული, ის წარმოადგენდა თავისებურ ნაზავს სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემებიდან და რელიგიებიდან. მასში დიდი ადგილი ეჭირა პანთეისტურ წარმოდგენებს, რომლისკენაც ბავშვობიდანვე ჰქონდა მიდრეკილებები გოეთეს. მისი საყვარელი ფილოსოფოსებიდან ერთერთმა — სპონოზამ- განამტკიცა ის ამ შეხედულებებში. გოეთე დარწმუნებული იყო, რომ ბუნება — ღმერთი უფრო ახლობელი, გასაგები და მისაღებია ადამიანისათვის, ვიდრე ქრისტიანული ღმერთი.

გოეთეს მთავარი ქმნილების „ფაუსტის“ შექმნაც დაკავშირებულია გერმანელი პოეტის რელიგიის დემონურ და მაგიურ ელემენტებთან. ბუნება, გოეთეს აზრით, სავსეა დემონებით, მათთან ურთიერთობა არ არის ცოდვა, რამეთუ ბუნებაა თვით ღმერთი. ეს თხზულება-ტრაგედია ანტიქრისტიანულია. მთავარი გმირი, შავკანიანი მკვლელი არ ისჯება, პირიქით, ცხადდება „მისწრაფებების ადამიანად“, ეშმაკი მოტყუებული და შერცხვენილია, ფაუსტი კი ანგელოზებისა და წმინდა ასკეტების მიერ მაღლდება ცაში თვით Mater Gloriosa -ს — ღვთისმშობლის ტახტთან. მართლმადიდებლური მოძღვრისათვის ეს იდეა მიუღებელია, შეუთავსებელია ქრისტიანობასთან.

რად შეუბრუნდა თვით გოეთეს წარმართობა. სოლოვიოვის აზრით, გოეთე სიცოცხლის მიწურულს სრულ სულიერ კრახამდის მივიდა. გოეთე შეიპყრო შფოთვამ, მას უკიდურესად ეშინოდა სიკვდილის, გოეთეს აქ ვერ უშველა მისმა ოლიმპიელობამ. ყოველთვის ნათელი გონების მქონემ ახლა დაიწყო ფანტასტიური პითაგორული ჰიპოთეზების თხზვა საიქიო ცხოვრებაზე. ის ცდილობდა ერწმუნა მისი ამქვეყნად მეორედ მოსვლისა, მაგრამ ეშინოდა იმის, რომ მისი „უკვდავი სული“ გახდებოდა რომელიღაც მდაბიო მონადის ტყვე. ეს ყველაფერი არის კანონზომიერი შედეგი გოეთეს სულიერი ევოლუციისა.

გოეთე ძლიერი პიროვნება იყო, მას შეეძლო გავლენა მოეხდინა ადამიანებზე და არასდროს ამბობდა უარს ამის შესაძლებლობაზე. სოლოვიოვი გოეთეს აკისრებს პასუხისმგებლობას ადამიანების ბედზე, იმ ადამიანებისა, რომლებიც მიჰყვნენ მის იდეებს. გოეთეს სამმა მოწაფემ — შილერმა, ბაირონმა და ნიცშემ — შეითვისეს მისი აზრები, მაგრამ საკმარისად ვერ დაეუფლნენ, რათა ეცხოვრათ ამ სისტემის მიხედვით. და მათი უდროო გარდაცვალება და მათ უგნურობა გოეთეს სინდისზეა.

ანტიკური პანთეიზმით გატაცებას ადამიანი მიჰყავს მორალურ სიბრმავემდის და სასოწარკვეთამდის. პიროვნება ჰკარგავს თავის დანიშნულებას ბუნებასთან შედარებით. გოეთემ ბუნების სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. ის მთელი არსით არაქრისტიანი იყო. თუმც მის ნაწარმოებებში შეიძლება შეგხვდეთ მცირედი ელემენტები ქრისტიანული მსოფლმხედველობისა, მაგრამ მისი თხზულებების სული არაქრისტიანულია. ეს ნათლად გამოსჭვივის მის გამონათქვამებში რელიგიისა და ეკლესიის შესახებ:

„ეკლესიის მთელი ისტორია — ნარევია ცდომილებისა და ძალმომრეობისა!“

„ვისაც გააჩნია მეცნიერება, მას აღარ სჭირდება რელიგია“.

„რწმენა არა საწყისი, არამედ დასასრულია ყოველგვარი სიბრძნისა“. მისი პირადი ექიმის გადმოცემით გოეთე სიკვდილის წინ აგონიაში ჩავარდნილა და გაჰკიოდა თურმე -“გამოაღეთ ფანჯრები, ამით მეტი სინათლე შემოვა, მეტი სინათლე! მეტი სინათლე!“-ო. და მისი ძახილი გაისმოდა უბანში.

მთელი ცხოვრების მანძილზე ბნელეთის მსახურს სინათლე მოუნდა აღსასრულის ჟამს, ის სინათლე, რომელიც თავად უარყო, ეს ის სინათლეა, რომელსაც ქრისტე და ქრისტიანობა ჰქვია, მისგან უარყოფილი და ზურგშექცეული... ამიტომაც ჰპოვა საუკუნო სიბნელე...

რელიგიისადმი სიძულვილს ქადაგებდნენ ევროპის ისეთი „დიდი ადამიანები“, როგორებიცაა ფოიერბახი, დენი დიდრო, ჯონათან სვიფტი, მოპასანი, ვოლტერი და სხვანი...

„მას, ვისაც უყვარს ღმერთი, არ შეუძლია უყვარდეს ადამიანი, მან ადამიანობის გაგება დაკარგა, თუ ვინმეს უყვარს ადამიანი, ჭეშმარიტად მთელი გულით უყვარს, მას არ შეუძლია უყვარდეს ღმერთი“. ლ. ფოიერბახი

„რელიგია სულის ავადმყოფობაა“ — ჯონათან სვიფტი

„რელიგიასთან ისეთივე გემართება, როგორიც აზარტული თამაშებისას. იწყებ სულელი და ამთავრებ ყალთაბანდი“ — ვოლტერი

„რელიგიები — ყველა ერთიანად — უაზრობაა: მათი მორალი გაანგარიშებულია ბავშვებზე, მათი დაპირებები ეგოისტურია და საოცრად სულელური“- გი დე მოპასანი.

სწორედ ასეთ ადამიანებზე ამბობდა წმიდა ილია მართალი — ავი კაცი რამდენადაც მეცნიერია, დიდი სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშია, უფრო ძლიერ მავნებელია.

### გოეთე და პატრიოტიზმი

გოეთე წერდა: ჩვენ, გერმანელები, გუშინდელ დღეს ვეკუთვნით. მართალია, ჩვენ გავაცივილიზაციეთ ჩვენი თავი გასული ასი წლის განმავლობაში, მაგრამ კიდევ გავა რამდენიმე ასი წელი, ჩვენი თანამემამულენი იმდენად წაიწევენ წინ სულიერად და კულტურულად, რომ შეძლებენ აღფრთოვანებას, მსგავსად ბერძნებისა, ხოლო სხვა ხალხები შეძლებენ თქვან: “ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, როცა ჩვენ ბარბაროსები ვიყავით“.

მისი მეორე გამონათქვამი გერმანელების შესახებ: „ო, ეს საცოდავი ხალხი, ის ცუდად დაასრულებს, იმიტომ რომ არ სურს საკუთარი თავის შეცნობა, ხოლო შეუცნობლობა საკუთარი თავისა იწვევს არა მარტო სიცილს, არამედ სამყაროს სიძულვილს. ბედისწერა გაანადგურებს გერმანელებს, რადგან გაყიდეს საკუთარი თავი და არ სურთ იყვნენ ისეთნი, როგორებიც არიან სინამდვილეში“.

გოეთე ფიქრობდა აგერთვე, რომ პატრიოტიზმი — ისტორიის გამანადგურებელია და რომ დესპოტიზმი ბადებს ყველასა და თითოეულის ავტოკრატიას. ის არ იზიარებდა გერმანული სიძველეებით გამოწვეულ რომანტიკოსების ალტაცებას, არ ესმოდა, რომ ბნელ გერმანულ წარსულშიცაა შესაძლებელი კარგის დანახვა. ის დასცინოდა პატრიოტ გერმანელს, რომელიც მიიწერდა სხვა ხალხების ღირსებებს და ამტკიცებდა, რომ ყოველივე ეს გერმანელებისაგან მომდინარეობს. ამავე დროს კი გერმანელი ივიწყებს „ყოველივე, რაც კი მან სხვა ეროვნებებისაგან შეისწავლა გასული ორმოცდათი წლის მანძილზე და არ თვლის, რომ ის აქამომდის მათ ვალშია“.

„ცალკეული გერმანელი, – ამბობდა ის, – ხშირად პატივისცემის ღირსია, მაგრამ მთელი ერი წარმოადგენს უბადრუკ სანახაობას“. ის თვლიდა, რომ გერმანელები, როგორც ებრაელები, უნდა გაფანტო მთელს მსოფლიოში, რათა ყველა ერის წყალობით განავითარონ თავიანთ თავში ყოველივე სასიკეთო, რაც მათში არ არის. გოეთემ ერთხელ აღიარა, რომ განიცდის შიშს, როდესაც გერმანელებს სხვა ერებს ადარებს. ის გერმანელებისაგან გაიქცა მეცნიერებასა და კულტურაში, რამეთუ მათ არ გააჩნიათ სახელმწიფოებრივი საზღვრები. ის შეუწყნარებლად ეკიდება იმ პატრიოტულად განწყობილ გერმანელებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ შეუძლიათ იცხოვრონ თვითმყოფადად, რომ სხვა ერები მათგან წარმოიშვნენ და თავხედურად მიიწერდნენ სხვა ერის ღირსებებს. ის უაზრობად თვლიდა ტერმინს „ეროვნული ლიტერატურა“ და სთავაზობდა მის შეცვლას ტერმინით „მსოფლიო ლიტერატურა“. ყველა უნდა ცდილობდეს მსოფლიო ლიტერატურის ეპოქის დადგომის დაჩქარებას. უგდეს კი ყური მას თვით გერმანელებმა? გოეთე ხშირად ჩიოდა, რომ ისინი ყოველთვის უარყოფდნენ მის მიერ შეთავაზებულსა და ნათქვამს.

1813 წელს გოეთემ ლიუდენს უთხრა, რომ ის სულაც არ არის თავისუფლებისა და სამშობლოს იდეების მიმართ გულგრილი, მაგრამ მას არ შეუძლია გაიზიაროს ისტორიკოსის აღტაცება გერმანიის აღმასვლით. „გაიღვიძა კი ნამდვილად ერმა? იცის კი რა სჭირდება მას? გოეთე უკვე ვაიმარში აღარ ხედავდა ფრანგებსა და იტალიელებს. ისინი შეცვალეს კაზაკებმა, ბაშკირებმა, ხორვატებმა, უნგრელებმა, კაშუბებმა, წითელმა და სხვა ჰუსარებმა: „ნუთუ ისინი სჯობიან?“ კითხულობდა ის. მისთვის ეს სულ ერთი იყო, რომ ესენი „მეგობრები“ იყვნენ, ისინი კი — „მტრები“. მას არ შეუძლია სძულდეს ფრანგები — თქვა გოეთემ- იმიტომ, რომ ის დიდად არის ვალში ფრანგულ კულტურასთან. როცა ის უკვე 80-ს გადასცილდა აღიარა, რომ ის „ზომიერი ლიბერალია, როგორც ყოველი გონიერი ადამიანი“. ის მიიჩნევდა, რომ მას გაუმართლა იმ ეპოქაში დაბადება, როდესაც „მიმდინარეობდა და გრძელდებოდა მსოფლიო მოვლენები“. მათ შორის მან მოიხსენია შვიდწლიანი ომი, ამერიკის ინგლისისაგან გამოყოფა, საფრანგეთის რევოლუცია და ნაპოლეონის მმართველობის პერიოდი. „ამიტომაც ჩემი აზრები და დასკვნები ძლიერ განსხვავდებიან იმათი აზრებისაგან და დასკვნებისაგან, ვინც მხოლოდ ახლა დაიბადა“.

ერთი რამ ნიშანდობლივია, ფრანკ-მასონებისა და ილუმინატების, დღევანდელი დემოკრატებისა და ლიბერალებისათვის დამახასიათებელია ეროვნული ნიჰილიზმი, საკუთარი თავის უარყოფა და სხვისის გაფეტიშება, უაზრო თაყვანისცემა, მონური სწრაფვა ყოველი-

გაგრძელება გვ. 16

დასაწყისი გვ. 15

ვე უცხოურისადმი.

ერთხელ გადაბერებულმა პოეტმა უთხრა თავის მდივან რიმერს: „ანტიპათია, რომელსაც ერი განიცდის ებრაელთა მიმართ შეზავებულს პატივისცემითა და უარყოფით, შეიძლება შევადაროთ ანტიპათიას, როგორსაც სამყარო განიცდის გერმანელთა მიმართ, რომელთა როლი და მდგომარეობა სხვა ერთა შორის უაღრესად ჰგავს ებრაელებისას“. მან აღიარა, რომ „დრო და დრო გრძნობს შემხუთველ ძრწოლას, შიშს, რომ დადგება დღე, როცა დაგროვილი სიძულვილი სამყაროსი გერმანელების წინააღმდეგ წარიმართება“.

გოეთე ამბობდა, რომ დიდ ვალში იყო ინგლისურ ლიტერატურასთან. შექსპირის, სტერნის და გოლდსმიტის მოვალედ თვლიდა თავს. გოეთე მიიჩნევდა, რომ გერმანული რომანი ფილდინგისა და გოლდსმიტისაგან წარმოიშვა. აქებდა ბაირონსა და სკოტის რომანებს, აღფრთოვანებული იყო სტერნის იუმორით, მას უწოდებდა დიდი სულის მქონე ადამიანს და ამბობდა, რომ „მან პირველმა გაათავისუფლა ისინი პედანტიზმისა და ფილისტერობიდან“. მაგრამ ყველაზე დიდ პატივს მაინც შექსპირს მიაგებდა. გოეთე მიიჩნევდა, რომ ბრმად დაიბადა, თვალები კი შექსპირმა წამიერად, ჯადოსნურად აუხილა. სამოცდაათი წლის გოეთემ აღიარა, რომ ვერასდროს ვერ გაბედავდა შექსპირთან თავის გატოლებას.

გოეთე აღფრთოვანებული იყო ინგლისელებისა და ფრანგების გადმოცემის სიმარტივით და ლანძღავდა გერმანელ ფილოსოფოსებს გადაპრანჭულობისა და პომპეზურობის გამო, რომელიც გაუგებარია არა მარტო უცხოელისათვის, არამედ თვით ბუნებით გერმანელისათვისაც კი. გოეთე დასცინის ფიხტეს მეტაფიზიკურ ფანტაზიებს და მწუხარობდა იმ სულელური გავლენის გამო, რომელიც ჰეგელმა გერმანულ ენაზე მოახდინა. ერთხელ მას გაუგზავნეს „უბადლო ჰეგელის“ წიგნი და გოეთე შეეცადა მის გაშიფრვას, მაგრამ დანებდა და გადასდო წიგნი, თქვა, რომ მისი წაკითხვა იგივეა, რომ გახელებულ გველს ელაპარაკებოდე. მან ეკერმანს ხმამაღლა წაუკითხა „ამ უაზრობის“ პასაჟი და უთხრა, რომ ასეთი ფილოსოფოსები ანადგურებენ ენას.

ნიცშემ ერთხელ აღნიშნა, რომ გოეთე გერმანულ ისტორიაში იყო „მოვლენა შედეგის გარეშე“, რომ ის „გახელებული შეუწყნარებლობით აკრიტიკებდა სწორედ იმ მხარეებს, რითაც გერმანელები ამაყობდნენ“. აქ ეჭვსგარეშეა ის, რომ ნიცშე მიანიშნებდა გოეთეს დღიურებში ერთ ჩანაწერს: კითხვა შემდეგში მდგომარეობს: „ტოვებენ თუ არა დიდი ადამიანები კვალს თავიანთი სამშობლოების ისტორიაში? მე ამას გერმანიაში ვერ ვხედავ“. ერთხელ გოეთემ თქვა: „გერმანია? მაგრამ სადაა ის? მე არ შემიძლია ასეთი ქვეყნის პოვნა. თქვენ, გერმანელები, ყოველ ღონეს ხმარობთ გახდეთ ერი. შეეცადეთ განთავისუფლდეთ შინაგანად და თქვენი მცდელობები წარმატებით დაგვირგვინდება“. გოეთე უარყოფდა ყოველგვარ ეროვნულს: „შეუძლებელია არსებობდეს როგორც პატრიოტული ხელოვნება, ასევე პატრიოტული მეცნიერება“ — იოჰან ვოლფგანგ გოეთე.

## გოეთე და ნაპოლეონი

გოეთე ადიდებდა ნაპოლეონს. იენასთან ბრძოლის შემდეგ, სადაც ნაპოლეონმა გაანადგურა ძველრეჟიმული პრუსიის არმია, ისტორიკოსმა ლიდენმა ჰკითხა გოეთეს, თუ როგორ გრძნობდა თავს ამ საყოველთაო სირცხვილისა და უბედურების დღეებში და თავის წუხილზე პასუხად მოისმინა, რომ პოეტი თავს კარგად გრძნობდა და არც რა გააჩნია ბედის სამდურავი მიზეზი. გოეთე თავის თავს ადარებდა ადამიანს, რომელიც მაღალი კლდიდან უცქერდა ბობოქარ ზღვას, რომლის ტალღები მას ვერ მისწვდებოდნენ. ჯერ კიდევ 1792 წელს, შეიქმნა მოწმე საფრანგეთის რევოლუციური არმიის ვალთან ბრძოლისა, სადაც ფრანგებმა მანამდე არნახული ენერგიით სულ ერთიანად გაანადგურეს პრუსიის არმია, გოეთემ თავის გარემოცვას უთხრა, რომ ისინი მოწმენი არიან მსოფლიო ისტორიაში ახალი ეპოქის დაბადებისა და მომავალში შეუძლიათ იამაყონ, რომ მოესწრნენ ამას. ძველი ფრიდრიხისეული არმია არ იქნა რეფორმირებული და ამის გამო განადგურდა ნაპოლეონის მიერ 1806 წელს იენასთან. როდესაც გერმანიასა და ევროპაში ხალხები ნაპოლეონის ბატონობის წინააღმდეგ ამბოხს აწყობდნენ, გოეთემ თავის ვაჟს აუკრძალა მასში მონაწილეობის მიღება. ის პატივს მიაგებდა ნაპოლეონს, როგორც დიდ ადამიანს, მაგრამ ამავე დროს მას სძულდა ომი და სისხლისღვრა. ახალი აღმავალი ეროვნული იდეები და დემოკრატიული იდეები მისთვის ერთურთს გამორიცხავდა.

არსებობს მოსაზრება, რომ გოეთემ ჩაუშვა გერმანიის განმათავისუფლებელი მოძრაობა ნაპოლეონთან. გაწეული სამასახურისათვის ნაპოლეონმა გოეთე ღირსების ორდენით — ჯვრით დააჯილდოა, რომელსაც ის სიკვდილამდე ატარებდა. ნაპოლეონმა გოეთეს პირადად გადასცა ხელშეუხებლობის სიგელი.

გოეთე და ნაპოლეონი ერთმანეთს რამოდენიმეჯერ შეხვდნენ (სულ სამჯერ). პირველი შეხვედრა მოხდა 1808 წლის 2 ოქტომბრის ათი საათისათვის სადილზე. ნაპოლეონმა ის მიიწვია ფრანკფურტში თეატრალურ წარმოდგენებზე, რომელსაც ფრანგული თეატრი მართავდა. ნაპოლეონმა გოეთეს ერთადერთი წინადადება უთხრა „თქვენ ხართ კაცი“. შემდეგ მათ ისაუბრეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებისა“ და გოეთეს სხვა ნაწარმოებების შესახებ.ოთხი დღის შემდეგ — 6 ოქტომბერს — ვაიმარში ფონ მიულერის ბალზე ნაპოლეონი მეორედ ესაუბრა გოეთეს. გოეთე დიდხანს სდუმდა ნაპოლეონთან მისი საუბრის შინაარსის შესახებ. მხოლოდ 1809 წლის 11 მარტს რიმერი იწერს გოეთეს სადილობისას ნაუბარს (ნახ.: Goethejahrbuch XV. 1894. Friedrich von Mullers. Memoire uber Goethus und Wielands Unterredungen mit Napoleon):

„პოეტური სამართლიანობა ეს აბსურდია, თქვა გოეთემ. — ცხოვრებაში ერთადერთი რამაა ტრაგიკული — უსამართლობა და წინასწარგანზრახულობა. ნაპოლეონმა იცის ეს, ისიც იცის, რომ ის თვით თამაშობს ბედისწერის როლს. ასეთი იყო შინაარსი ნაპოლეონთან ჩემი საუბრისა“. შეხვედრის მეორე დღეს, 3 ოქტომბერს, ერფრუტის თეატრში იძლეოდნენ „ედიპ“-ს. ამ სექტაკლს ესწრებოდა მრავალი ევროპელი მეფე, მათ რიცხვშია რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრეც. როცა მსახიობმა წარმოსთქვა პირველი სცენის ლექსები „მეგობრობა დიდი ადამიანისა არის ღმერთების წყალობა“, წამოდგა ხელმწიფე ალექსანდრე და ხელი გაუწოდა ნაპოლეონს. დარბაზის ყოველი კუნჭულიდან გაისმა მქუხარე შეძახილები.

გოეთე ნაპოლეონთან შეხვედრებით ძალიან იბღინძებოდა, 1810 წელს ასე უთხრა მან ფრიდრიხ ვილჰელმ რიმერს, მისი ვაჟის მასწავლებელს:

„ნაპოლეონი, რომელმაც კონტინენტი დაიპყრო, არ თაკილობს, გერმანელთან ისაუბროს პოეზიაზე და ტრაგიკულ ხელოვნებაზე“.

შეხვედრებისას ისინი აზრთა ერთ ტალღაზე იმყოფებოდნენ, მაგრამ მათი აზრებიც განსხვავდებოდა, მაგალითად ტალეირანი ამას ასე გადმოსცემს:

„ეკუთვნით თქვენ ტაციტიუსის თაყვანისმცემლებს?“

„დიახ, სერ, მე ის ძალიან მიყვარს“.

„მე კი, არა!“

მაგრამ მათ რაღაც აკავშირებდათ. ნაპოლეონის მიერ ნაბოძები საპატიო ლეგიონის ორდენის ტარებას 1813 წლის ლეიპციგთან ნაპოლეონის მარცხისას ვილჰელმ ჰუმბოლდტის წინაშე ასე ამართლებდა გოეთე: „იმპერატორის ნაბოძები ორდენი არ უნდა დადო იმისათვის, რომ მან ბრძოლა წააგო“.

მაგრამ გოეთეს შეხედულებებიც იცვლება. წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონის განდევნის შესახებ ის თავის აზრს უზიარებს თავის შეგირდს იოჰან პეტერ ეკერმანს:

„თუ იმას ჩაუფიქრდები, რომ ასეთი ხვედრი ხვდა კაცს, რომლის ფერხთა წინაშე მილიონების ცხოვრება და ბედი იყო განრთხმული, დასასრული, რომელიც მას ერგო, კიდე ძალიან შეღავათიანია“.

ეკერმანის საუბრები გოეთესთან ნაპოლეონის ეგვიპტური ლაშქრობის შესახებ: „მე მაკვირვებს, — ვთქვი მე, — რომ ნაპოლეონი ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ასე უბრალოდ და დარწმუნებით ეთამაშებოდა მსოფლიო მოვლენებს, თითქოსდა წარსულიდან მას დიდი პრაქტიკა და გამოცდილება ჰქონოდეს“.

„საყვარელო შვილებო, — თქვა გოეთემ — ეს დიდი ტალანტის თანდაყოლილია. ნაპოლეონისთვის სამყარო იგივე იყო, რაც ჰუმელისთვის მისი როლი. ერთიც და მეორეც ჩვენ გვაოცებს. ჩვენ არც ერთს ხელვყოფთ და არც მეორეს, მაგრამ ეს ასეა, და ჩვენ ამას საკუთარი თვალებით ვხედავთ. ნაპოლეონი საკუთვრივ იმითია დიდი, რომ ის ყოველგვარი გარემოებისას იმადვე რჩებოდა: ბრძოლის წინ, ბრძოლისას, გამარჯვების შემდეგ, მარცხის შემდეგაც — ის მტკიცედ იდგა ფეხებზე და ნათლად და მტკიცედ იცოდა, რა უნდა ეკეთებინა. ის ყოველთვის თავის სტიქიაში იყო, ვერავითარი მოულოდნელობა ვერ იწვევდა მის გაოცებას, ზუსტად ისე, როგორც ჰუმელისათვის იყო სულერთი, ადაჟიოს დაუკრავდა თუ ალლეგროს, ბასში თუ დიკონტში. აი, ეს სიმარტივეა დამახასიათებელი ნებისმიერი ტალანტისათვის, წარმოჩინდება ის მსოფლიო შემოქმედებით ხელოვნებაში, თუ ომში, ფორტეპიანოზე დაკვრაში თუ ქვემეხებით მანევრირებისას“. (Эккерман. „Разговоры с Гете“; 7 апреля 1829 года).

ახლა ცოტა რამ თვით ნაპოლეონის შესახებ; ნაპოლეონის მთელი ოჯახი მასონური ორგანიზაციის წევრები იყვნენ - ბაბუა, მამა, მისი ძმები. ნაპოლეონის ფიგურაც ხომ მასონების მიერ იყო შექმნილი. როტშილდი ეძებდა ისეთ მებრძოლს, რომელიც განახორციელებდა სიონისტების მიზნებს. ნაპოლეონი 1786 წელს (ჯერ კიდევ ლეიტენანტი) გახდა მასონი და მათი წყალობით სულ მალე 1804 წელს იმპერატორობას მიაღწია, მაგრამ 1808 წელს მიხვდა რა მათ მიზნებს, მან თქვა რომ აღარ დაუჯერებს მასონებს, რის შემდეგაც როტშილდმა ის მოიძულა და ყველაფერში ხელს უშლიდა, განსაკუთრებით რუსეთში დამარცხების შემდეგ. როტშილდებმა ის საბოლოოდ ვატერლოოსთან გაანადგურეს.

ნაპოლეონის პოლიტიკური კარიერა კლასიკური მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლიათ მასონ-ილუმინატებს დროის უმოკლეს ვადაში, შექმნეს რა მათ უზარმაზარი, კბილებამდის შეიარაღებული ბიო რობოტების არმია, დასძრეს ევრაზიის დასაპყრობად. ნაპოლეონს მასონების მიერ გარყვნილ ევროპაში არც ერთი სერიოზული დაბრკოლება არ შეხვედრია. ისე დაიმორჩილა და გააერთიანა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა და წარმატებით აღფრთოვანებული რუსეთის იმპერიას მიადგა.

მასონები და ილუმინატები, თავიანთი მოაზროვნეებითა და შემოქმედებით მიისწრაფვიან კაცობრიობის გაერთფეროვნებისაკენ, ღვთის მიერ დადგენილი კანონზომიერების მოშლისაკენ, სამყაროს უსახურ სივრცედ ქცევისაკენ, ერთიანი ზესახელმწიფოს შექმნისაკენ თავისი მთავრობითა და ახალი მსოფლიო წესრიგით.

წმიდა ილია მართალი კი გვმოძღვრავს: „დიდი მამულისშვილური სიყვარული და ღრმა სარწმუნოება, ეს ორი უძლიერესი გრძნობაა ადამიანისა“.

დიდი ილია გვიქადაგებს „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწაწყალს, ჰნიშნავდა ქართველობას...“, “ ქრისტეს სჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებრივი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა, ერთობა ერისას მოასწავებდა...“.

მაშ, ეს უარვყოთ და მივყვეთ ვოლტერისა და გოეთეს ცრუ სწავლებებს? „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

გოეთესაგან განსხვავებით ჩვენი დიდი ჭეშმარიტი განმანათლებლები გურამიშვილი, ილია, აკაკი და ვაჟა დღენიადაგ სამშობლოზე, საკუთარ ქვეყანაზე და ხალხზე ზრუნავდნენ და ამქვეყნად მოსვლის დანიშნულებასაც ამაში ხედავდნენ:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა.“

გოეთესაგან განსხვავებით ილიასათვის ერის წყლული მისი ჭმუნვა-ვარამი საკუთარი ტკივილი იყო. როგორ ფიქრობთ, განა ილიას ახარებდა თვისი დატყვევებული სამშობლოს ბედი? განა ის დითირამბებს უძღვნიდა საკუთარი სამშობლოს დამმონებელთ?

გოეთესაგან განსხვავებით, რომელმაც სახლში წარმართული კერპებითა და ქვებით განაწყო საკურთხეველი, ილიას გულში ჩაუქრობლად ენთო წმინდა სანთელი ღმერთის საკურთხეველზე :

„დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში;“

თუ რა უბედურებას დაატეხდა თავს ქართველ ერს ეს ახლადგაჩენილი ეშმაკისეული ევროპული „განმანათლებელური“ იდეები, იმთავითვე ხედავდა საქართველოს ბულბული აკაკი:

„ქრისტეს სახელით ქრისტეს სჯულს წვალება შემოერია, და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე „ქართველი“ აღარ სწერია!“

დიახ, დაგვილეწეს ეროვნული ფიცარი, ქართველობაც ამოშანთეს მისგან!

განსხვავებით გოეთესაგან, რომელიც ფეხქვეშ ეგებოდა და ხოტბას ასხამდა მისი სამშობლოს დამპყრობელს, ჩვენი ხევის ბეთჰოვენი ალექსანდრე ყაზბეგი წყევლა-კრულვას უგზავნიდა რუსთა ხელმწიფეს:

“ დავწვი შენი სამართალი, შენი კანონმდებულობა,
შენი აზრი, მოფიქრება, შენი მირონცხებულება.“

სულ სხვა თვალითა და გულით უყურებდა კაცობრიული გენიის მატარებელი ჩვენი ბუმბერაზი ვაჟა მასონებისა და ილუმინატების მიერ ნაქადაგებ კოსმოპოლიტიზმს, მისთვის კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი ურთიერთგამოურიცხავი და განუყოფელი მცნებებია:

„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია...“

ჩვენ ნამდვილად არა ვართ კარჩაკეტილობის, დანარჩენი სამყაროსაგან მოწყვეტის მომხრე, პირიქით, ოდითგანვე, თუ რამ კარგი და სასიკეთო შეუქმნია კაცობრიობას მაშრიხიდან მაღრიბამდის მას დიდის მონდომებით ეწაფებოდა ქართველი კაცი, ეცნობოდა და თავის ეროვნულ თარგს არგებდა, გონების, სულისა და გულის საცერში ატარებდა და ისე გადმოჰქონდა. მაგრამ დღევანდელობამ, ჩვენი ცხოვრების მწარე გაკვეთილებმა ნათლად დაგვანახა ღმრთისა და ადამის მოდგმის მტრების, ევროპელი „განმანათლებლების“ შხამნარევი იდეების საშიშროება. რასაც ჯერ კიდევ საუკუნის წინ გრძნობდა და ხედავდა ჩვენ დიდი აკაკი და გვაფრთხილებდა:

„მტერი იძახის: „ვინ გაიგონა ახლანდელ დროში ეროვნებაო? მხოლოდ ერთია „მუშათ საკითხი“, გულს დაიბეჭდეთ „მარქსის მცნებაო!“ ამას ჩვენ გვირჩევს და თავისათვის სულ სხვანაირად გაიყურება: სცდილობს კისერი მოგვატეხოს!.. და მით თავის ერს ემსახურება. ჩვენს ქართველებს-კი „მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა“ ჰგონიათ და მიაჩნიათ ჭეშმარიტებად, რაც კაჭკაჭივით გაუგონიათ. სიტყვა სხვა არის, საქმე სულ ხვაა, სხვა უძევთ გულში მათ დაფარული! ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური „ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

დიახ, ეს ის მარქსია, რომელიც ილუმინატთა გაერთიანების „უმწიკვლოთა“ ორგანიზაციაში შევიდა და მათი დავალებით დაწერა ნაშრომი, რომელსაც შემდეგ ეწოდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელიც ილუმინატების ვაისჰაუპტისა და კლინტონ- რუზველტის პლაგიატს წარმოადგენდა.

იმ დროს, როცა გოეთე ხარობდა ნაპოლეონის მიერ გერმანული არმიების განადგურებითა და დასცინოდა მამულიშვილ ადამიანებს, ნაპოლეონი ბრძანებდა ამას: „სამშობლოს სიყვარული — უპირველესი ღირსებაა ცივილიზებული ადამიანისა“.

გოეთეს აბუჩად აგდებულ გეორგ ჰეგელს ასე ესმის განათლებული ადამიანის სამშობლოსადმი დამოკიდებულება: „განათლებული ხალხების ჭეშმარიტი გმირობა მდგომარეობს სამშობლოსათვის თავგანწირვის მზადყოფნაში.“

დიახ, საბედნიეროდ, ვეროპაშიც მოიძებნებიან ცნობილი ადამიანები, რომელთაც გოეთესაგან განსხვავებულად ესმით სამშობლოს მცნება და არსი:

„მას, ვისაც თავისი ქვეყანა არ უყვარს, არც არაფრის სიყვარული შეუძლია“ — ჯ. ბაირონი

„უსამშობლო ადამიანი — ეს არის ადგილი, დროისა და სივრცის შემთხვევითობის ბედისწერას მინდობილი“ — ლაკორდერი.

„საყოველთაო უბედურობის ჟამს თუ ვინმე სხვა რამეზე ფიქრობს, გარდა სამშობლოს გადარჩენისა, — ის არ არის ღირსი თავისუფალ სახელმწიფოში ცხოვრებისა“. – ფ. მ. კლინგერი

გოეთე კი გერმანიის ფრანგული ოკუპაციის დროს ესწრებოდა ფრანგული თეატრალური დასების წარმოდგენებს, პოეზიაზე და ხელოვნებაზე სამასლაათოდ დამპყრობლის კარზე ვიდოდა.

ქრისტიანობის, მართლმადიდებლობის მოძულეობა „განმანათლებლურ“ ევროპაში არ ახალია და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამან იქაური საზოგადოება ცხოველურ ინსტინქტებამდის დასცა.

საქართველოს საკურთხეველზე ჩაღვენთილმა ზვიად გამსახურდიამ ისევ და ისევ ქრისტეს გზაზე შედგომისაკენ მოგვიწოდა, იმ გზაზე, რომელსაც მარადიულობაში და არ გადაგებაში მივყავართ: „და აი, მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, ძმანო და დანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენს წინაშე არის ორი გზა, შენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზასაყართან.

აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდის, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა!

აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს!

და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებულ იყოს უკუნისამდე.

გაუმარჯოს ილია მართლის გზას!

კურთხეულ იყოს ილია მართლის გზა!

გაიღვიძე, ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას, ამინ!“

მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა

# „საქართველობა" სანკტ-პეტერბურგში

ნუგზარ მგალობლიშვილი

მიუხედავად ჩემი პატივისცემისა განსხვავებული აზრისადმი, კატეგორიულად მიუღებლად მიმაჩნია ნებისმიერი კულტურული სივრცისგან განრიდება, რასაც მივიჩნევ ქართული ხელოვნების წინაშე დაშვებულ ეროვნული მნიშვნელობის შეცდომად.

მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს უაღრესად ძლიერი შემოქმედებითი პოტენციალი, გვყავდა და დღესაც გვყავს მსოფლიო დონის მხატვრები, მუსიკოსები, თეატრისა და კინოს მოღვაწეები და სხვა, არათუ მსოფლიო საზოგადოება, არამედ ქართველი ხალხიც ვერ ეღირსა საქართველოს სრულყოფილ, ეროვნულ–სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხელისუფლებას (გარდა ზვიად გამსახურდიას ერთწლიანი ხელისუფლების ბედნიერი გამონათებისა, რომელიც მალევე იარაღით დაამხეს საქართველოს გარეშე და შინაურმა მტრებმა). ამიტომაც არ არსებობს კულტურის სახელმწიფო პოლიტიკა; სამშობლოს ტოვებს ხელოვანთა მძლავრი ნაწილი და მათ ადგილს, დრო და




დრო ჩვენს „ გასართობად", ჩამოყვანილი „დესანტი" ავსებს. სამწუხაროდ სახვითი ხელოვნების დარგში, არც ეს აღარ ხდება, მხატვართა მდგომარეობა კი კრიზისის უკიდურეს ზღვარს მიუახლოვდა.

ასეთ ვითარებაში საერთაშორისო კულტურული ინსტიტუტების მიერ აღიარებული ნონ-კომფორმისტული ხელოვნების ცენტრიდან, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში პერსონალური გამოფენით მონაწილეობისთვის რომ მიგიწვევენ, ამაღელვებელიც და სასიხარულოც არის.

კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ არტ–ცენტრის პრეზიდენტი, შესანიშნავი მხატვარი და საზოგადო მოღვაწე იული რიბაკოვი გაგებით მოეკიდა თხოვნას მეტი მასშტაბურობა მიგვეცა ამ გამოფენისთვის და გამოგვეფინა ამჟამად სანკტ–პეტერბურგში მცხოვრები ქართველი მხატვრების ნაწარმოებებიც.

არტ–ცენტრი „პუშკინსკაია–10"–ის ისტორია 1989 წელს დაიწყო. მაშინ, როცა დამოუკიდებელი მხატვრების, მუსიკოსების და ანდეგრაუნდის სხვა მოღვაწეთა ძალისხმევით მოხდა ალტერნატიული, შემოქმედებითი კავშირების ორგანიზაციული გაერთიანება – გაფორმება და მით თანამედროვე ხელოვნების ცენტრის ამხანაგობა „თავისუფალი კუტურა"–ს შექმნის კონცეფციას ჩაეყარა საფუძველი.

დღეს არტ–ცენტრი „პუშკინსკაია–10" ერთადერთი თვითმმართვადი, ხელოვანთა კომუნაა რუსეთისა და ყოფილი სსრკ–ის ტერიტორიაზე. 1998 წელს, არტ–ცენტრში დაარსდა ნონ–კომფორმისტული ხელოვნების მუზეუმი (МНИ ) [ტერმინი „კომფორმიზმი" (ლათინური CONFORMIS – მსგავსი, შესაფერისი) ნიშნავს შემგუებლობას, არსებულ წესთან პასიურ შეგუებას. წინსართი „NON"– უარს, ოფიციალურად არსებული აზრის უარყოფას, მოვლენების საკუთარ ხედვას, შეუგუებლობას], რომელშიც დაცულია XX საუკუნის „არაოფიციალური" ხელოვნების უნიკალური კოლექცია, ბიბლიოთეკა და არქივი; 40–90- ანი წლების კინო–ვიდეო არქივი, „თვითგამოცემების," პლაკატების, წერილების და დამოუკიდებელი კულტურის მოღვაწეთა პირადი ნივთებიც.

მუზეუმის ნაწილს შეადგენს, ასევე გალერეა „МОСТ ЧЕРЕЗ СТИКС" („სტიქსი" – ბერძნულ მითოლოგიაში ცოცხალთა და მკვდართა სამყაროს შორის გამყოფი მდინარე), რომლის ექსპოზიცია შედგენილია სახელმწიფო რუსულ მუზეუმთან ერთობლივი თანამშრომლობით და წარმოაჩენს რუსეთის უახლესი ისტორიის გააზრებას თანამედროვე ხელოვნებაში.

სანკტ-პეტერბურგის აღნიშნული მუზეუმი, ასევე ფლობს 50–80 -იან წლებში შესრულებულ თავისუფალი ხელოვნების შედევრების კოლექციას.

აღსანიშნავია, რომ ნონ-კომფორმიზმის მუზეუმში, ასევე დაცულია ქართველ მხატვართა როლანდ შალამბერიძის, ბადრი ლომსიანიძის და ჩემი ნაწარმოებებიც.

არტ–ცენტრი „პუშკინსკაია–10" ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ახორციელებს რუსეთის ხელოვნების ინტეგრაციას მსოფლიო კულტურულ პროცესში, რეგულარულად წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნებას საერთაშორისო ფესტივალებსა და გამოფენებზე; არტ–ცენტრის მხატვართა ნაწარმოებები დაცულია რუსეთის, ამერიკისა და ევროპის მუზეუმების კოლექციებში. ცენტრს, მისმა აქტიურმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ მსოფლიო აღიარება მოუტანა. 1995 წლიდან სანკტ-პეტერბურგის არტ–ცენტრი „პუშკინსკაია 10" არის საერთაშორისო ორგანიზაციების „TRANS EUROPE HALLES" და „RES ARTIS" წევრი.

არტ–ცენტრს საკმაოდ დიდი ფართობი უკავია სანკტ -პეტერბურგის ცენტრში ლიგოვსკის პროსპექტსა და პუშკინის ქუჩებს შორის. აქვე ქირაობენ სახელოსნოებს (სიმბოლურ ფასად) რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან და უცხოეთიდან ჩამოსული განსხვავებულ ჟანრში მომუშავე სხვადასხვა სტილისა თუ მიმართულების მხატვრები. აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა; მოდიან მუზეუმში და გალერეებში გამოფენილი სურათების სანახავად, მოდიან ხელოვნების მოყვარულებიცა და სპეციალისტებიც. ლიგოვსკის პროსპექტზე დამონტაჟებულ რეკლამას შემოჰყავს უბრალო ცნობისმოყვარეებიც, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, არც ტურისტების ნაკლებობას განიცდის არტ–ცენტრი.

2013 წლის 29 ივნისს მთელ ამ საზოგადოებას შეუერთდა სანკტ-პეტერბურგის ხელისუფლების წარმომადგენლები კულტურის განყოფილების ხელმძღვანელთან ერთად, სახელმწიფო ერმიტაჟის და სახელმწიფო რუსული მუზეუმის ხელოვნებათმცოდნეები და თანამშრომლები. ისინი ერთად ეწვივნენ გამოფენას, რომელსაც „საქართველობა" ვუწოდეთ. ჩვენი ექსპოზიცია დიდ საგამოფენო სივრცეში მოეწყო. დარბაზი თაღებით ისე იყო გაყოფილი ორ ნაწილად, რომ არ ირღვეოდა ერთიანი სივრცე. მარჯვენა მხარეს ოცდაათამდე ჩემი და ორ–ორი გოგი წერეთლის, ზურაბ ჭედიას, გიზო ხუბუას, აწგარდაცვლილი ვალერი არქანიას, შაქრო ბოკუჩავას და როლანდ შალამბერიძის ნამუშევრებმა შეავსო, ხოლო დარბაზის მარცხენა ნაწილში ბადრი ლომსიანიძის, ლერი მაჩალაძის, რევაზ კვარაცხელიას, ნოდარ არღვლიანის, რევაზ ჟვანიას, როსტომ ბასილაძის და ალექსი კვარაცხელიას ნამუშევრები გამოიფინა. დარბაზის ცენტრში კი შტატივზე დამაგრებული ორმეტრიანი მინის ონკანიანი კოლბა დაიდგა, რომლის ტევადობამ 7 ლიტრი „საფერავი" შეადგინა.

ფესტივალიც და გამოფენაც არტ–ცენტრის პრეზიდენტმა იული რიბაკოვმა გახსნა. სიტყვით გამოვიდნენ სანკტ-პეტერბურგის კულტურის კომიტეტის თანამშრომლები, ნონ-კომფორმიზმის მუზეუმის დირექტორი მხატვარი ევგენი ორლოვი, ამხანაგობა „თავისუფალი კულტურა"–ს პრეზიდენტი მხატვარი სერგეი კოვალსკი და სხვები.

გამომსვლელებმა ხაზგასმით აღნიშნეს ქართველ ხელოვანთა მაღალი დონე და სამყაროს ხედვის განსაკუთრებული ნიჭი. არტ–ცენტრის მესვეურებმა დაგვიდასტურეს მზადყოფნა და იმედი, რომ მომავალი წლის ფესტივალზე ფართოდ წარმოვადგენთ ქართულ ნონ-კომფორმისტულ მხატვრობას.

აღსანიშნავიც და სამაგალითოცაა, რომ რუსეთის ხელისუფლების ხელშეწყობით არსებობს სანკტ-პეტერბურგში ეს მძლავრი საერთაშორისო შემოქმედებითი კერა და სწორედ პეტერბურგის ადმინისტრაციის მხრიდან ხდება


ნუგზარ მგალობლიშვილი „გაუპატიურებული ქალაქი"


გიზო ხუბუა „მობანავეები"


ზურაბ ჭედია „კომპოზიცია"


გოგი წერეთელი „აბსტრაქცია"

მათი ღონისძიებების დაფინანსება. საქართველოში კი სახელმწიფოსთვის კულტურის მნიშვნელობის როლი დღითიდღე ქრება, როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოების დიდ ნაწილშიც.

აქედან გამომდინარე კულტურის პოლიტიკა საყოველთაო დისკუსიის თემად უნდა იქცეს სანამ, ჯერ კიდევ არ არის გვიან!

# მიხეილ [გელა] სალუაშვილის საპრეზიდენტო პროგრამის -

# „უფლის სახელით გაბრწყინებული საქართველო“

**ეროვნულ - პოლიტიკური ნაწილი:**

**1. საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების პირველი ნაბიჯი - უნდა შეიქმნას: „საქართველოს სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობის საკითხების შემსწავლელი კომისია“.**

**2. საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების მეორე ნაბიჯი - უნდა შეიქმნას: „საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისათვის საჭირო საკითხების მოსამზადებელი კომისია“.**

**3. საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების მესამე ნაბიჯი - უნდა შეიქმნას: „საქართველოში სამხარეო დაყოფასთან დაკავშირებული საკითხების მოსამზადებელი კომისია“.**

**4. საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების მეოთხე ნაბიჯი - უნდა შეიქმნას: „საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და ქვეყნის სამხარეო დაყოფასთან დაკავშირებით განსახორციელებელი საკონსტიტუციო ცვლილებების მოსამზადებელი კომისია“.**

**5. საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების მეხუთე ნაბიჯი - უნდა შეიქმნას: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობითი ფორმის საკითხების შემსწავლელი [დამდგენი] კომისია“.**

**6. საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების მეექვსე ნაბიჯი - უნდა შეიქმნას: „საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტის საკითხების შემსწავლელი კომისია“.**

**7. საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების მეშვიდე ნაბიჯი - უნდა შეიქმნას: „საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციის: „კავკასია - მშვიდობის სახლი„-ს შექმნის მიზანშეწონილობის საკითხების შემსწავლელი კომისია“.**

**8. საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების მერვე ნაბიჯი - უნდა შეიქმნას: „აფხაზეთის ავტონომიასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირების შემსწავლელი კომისია“.**

**9. საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორების მეცხრე ნაბიჯი - უნდა შეიქმნას: „საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკურ ძალებს შორის თანამშრომლობის საკითხების შემსწავლელი კომისია“.**

*საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი № 5 2013 წლის ნოემბერი. ქ. თბილისი 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიით არჩეული დეპუტატების საქმიანობის შესახებ*

ვეყრდნობი რა 2012 წლის 1 ოქტომბერსა და 2013 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატულ ნებას, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვაცხადებ: 1. ეთხოვოს 2012 წლის 1 ოქტომბრის მოწვევის საქართველოს პარლამენტს, 1995 წლის 24 აგვისტოს რედაქციის საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 54,1-ის შესაბამისად, დაჩქარებული წესით განიხილოს - საქართველოს ორგანული კანონის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი დეპუტატებისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე“ - მიღების საკითხი. 2. ეს დეკრეტი ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერისთანავე.

*მიხეილ-გელა სალუაშვილი*



*საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი № 4 2013 წლის ნოემბერი . ქ. თბილისი საქართველოში 1992 – 2012 წლების განმავლობაში მომქმედი დანაშაულებრივი რეჟიმის დამამკვიდრებელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმიანობის შესახებ*

1. ვეყრდნობი რა 2012 წლის 1 ოქტომბერსა და 2013 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატულ ნებას, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვაცხადებ: 1. საქართველოში 1991 – 1992 წლებში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდგომად დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის ფუძემდებლების: ერთის მხრივ - ედუარდ შევარდნაძისა და მის მიერ დაარსებული პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის„; და მეორეს მხრივ - მიხეილ სააკაშვილისა და მის მიერ დაარსებული პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმიანობა, საქართველოს მოსახლეობის წინაშე, შეფასდეს როგორც - დანაშაულებრივი; 2. პოლიტიკური გაერთიანებების - „საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაარსებიდან მოყოლებული, ვიდრე - 2012 წლის 1/25 ოქტომრამდე, ყველა იმ პირს, რომელიც ამ პარტიათა წევრის სტატუსით გახლდათ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრი, კერძოდ:

- საქართველოს პარლამენტის დეპუტატი; - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი [პრემიერ-მინისტრი]; - მინისტრი; - მინისტრის მოადგილე; - მთავრობის წევრი; - მხარის რწმუნებული [გუბერნატორი]; მისი მოადგილე; - ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის: მერი, მერის მოადგილე, გამგებელი, გამგებლის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ამ დეკრეტის მიღებიდან, როგორც მინიმუმ 5 წლის მანძილზე, აეკრძალოს - საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებებში ყოფნის, საჯარო სამსახურსა და სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის უფლება. 3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას - „1992-2012 წლებში საქართველოში მომქმედი დანაშაულებრივი რეჟიმის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წევრთა დამდგენი კომისია„; 4. „1992-2012 წლებში საქართველოში მომქმედი დანაშაულებრივი რეჟიმის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წევრთა დამდგენი კომისიის“ სტრუქტურა და სამუშაო დებულება დამტკიცებულ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული შესაბამისი განკარგულებით.

2. ეს დეკრეტი ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერისთანავე.

*მიხეილ-გელა სალუაშვილი*

*საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი № 3 2013 წლის ნოემბერი. ქ. თბილისი საქართველოში 1992 – 2012 წლების განმავლობაში მომქმედი დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესახებ*

1. ვითვალისწინებ რა, რომ 2013 წლის ნოემბერში მიღებული საქართველოს პრეზიდენტის მე-2 დეკრეტის, „საქართველოში 1992 – 2012 წლების განმავლობაში მომქმედი დანაშაულებრივი რეჟიმის პოლიტიკური შეფასების შესახებ“, თანახმად - 1991 წ. 22 დეკემბრიდან დაწყებული შეიარაღებული გამოსვლებით მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების გზით საქართველოს ხელისუფლებაში მოსული კრიმინალური ძალის სამართალმემკვიდრეთა მიერ 1992 წ. 2 იანვრიდან - 2012 წ. 1/25 ოქტომბრამდე დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის საქმიანობა, კაცობრიობისა და საქართველოს მოსახლეობის წინაშე, შეფასებულ იქნა როგორც - დანაშაულებრივი; ვითვალისწინებ რა, რომ 1990 წ. 28 ოქტომბრის მოწვევის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1992 წ. 13 მარტს მიღებული დადგენილებით - „... 2. ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ„; ვითვალისწინებ რა, რომ 2003/2004 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წ. 11 მარტს მიღებული დადგენილებით - „1. საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28

➔

# სომხეთი — საქართველოს არასაიმედო მეზობელი

***2013 წლის 13 ივნისს ჩატარებულ გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე საქართველოს რეზოლუციას დევნილების აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ დაბრუნების შესახებ 63 სახელმწიფომ დაუჭირა მხარი, ხოლო 16 ქვეყანა წინააღმდეგი გამოვიდა, მათ შორის ჩვენი უახლოესი მეზობელი სომხეთი.***

***16 ქვეყანა, რომელმაც დევნილთა დაბრუნებას მხარი არ დაუჭირა 2013 წ. 13 ივნისს. წყარო: geotimes.ge***

***1. ბელარუსი, 2. ვენესუელა, 3. ვიეტნამი, 4. ზიმბაბვე, 5. კუბა, 6. ლაოსი, 7. მიანმა, 8. ნაურუ, 9. ნიკარაგუა, 10. რუსეთი, 11. სერბეთი, 12. სირია, 13. სომხეთი, 14. სუდანი, 15. ჩრდილოეთ კორეა და 16. შრი-ლანკა.***

***მე-19 საუკუნეში შემოსული რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ემისარი გრიბოედოვი, გაეცნო რა არსსა და ხასიათს ამ ხალხისას, რუსეთის იმპერატორს წერდა: „თქვენო აღმატებულესობავ, არ დაუშვათ სომხების დასახლება ცენტრალურ რუსულ მიწებზე. ისინი იმ ტომთაგანი არიან, რომლებიც იცხოვრებენ რა რამდენიმე ათეულ წელს, დაიწყებენ ყვირილს მთელს დუნიაზე, რომ ეს მიწა მათი წინაპრებისაა“ (ა. ს. გრიბოედოვი. წერილიდან „რუსეთის იმპერატორისადმი“).***

***ძველი ისტორიული წარმოსახვით „დიდი სომხეთი“, რომლსაც სომხების ნამდვილ სამშობლოდ თვლიან, იმყოფება რუსეთის საზღვრებს გარეთ, უფრო ზუსტად კი, მდებარეობს მცირე აზიაში. რაც შეეხება სომხებს, რომლებიც ცხოვრობენ მთიან ყარაბახში, მათი ერთი ნაწილი წარმოადგენს აბორიგენებს, ესე იგი ისინი წარმოსდგებიან ალბანელებისაგან, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი რელიგია — ქრისტიანობა. მეორე ნაწილი კი არის ირანელი და თურქი ლტოლვილები, რომლებმაც თავი დააღწიეს დევნასა და თავდასხმებს და თავშესაფარი ჰპოვეს აზერბაიჯანში.***

***В. Ишханян «Кавказские народы » Петроград, 1916 год, с.18***

***სომხების მიერ დაჟინებულ სახელმწიფოებრიობის ისტორიას ცივ წყალს ასხამს ჰაიკი ავტორი: „სომხებს არ ჰქონიათ სახელმწიფოებრიობა, ისინი არ არიან დაკავშირებული სამშობლოს გრძნობით და არ არიან დაკავშირებული პოლიტიკური ძაფებით. სომხური პატრიოტიზმი მხოლოდ დაკავშირებულია საცხოვრებელ ადგილთან“. გევორქ ასლანი, ცნობილი სომეხი ისტორიკოსი, „სომხეთი და სომხები“, 1914.***

←

ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში....“ და ვეყრდნობი რა 2012 წლის 1 ოქტომბერსა და 2013 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატულ ნებას, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვაცხადებ: ა) უკანონოდ და ბათილად გამოცხადდესს: 1992 – 2012 წლებში საქართველოში მომქმედი დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის მიერ მიღებული ყველა ის სამართლებრივი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება 1991 წლის 31 მარტს სრულიად საქართველოს მოსახლეობის მიერ რეფერენდუმით გამოხატულ ნებასა და 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს„; ბ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას - „1992-2012 წლებში საქართველოში მომქმედი დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შემსწავლელი კომისია“, გ) „1992-2012 წლებში საქართველოში მომქმედი დანაშაულებრივი პოლიტიკური რეჟიმის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შემსწავლელი კომისიის“ სტრუქტურა და სამუშაო დებულება დამტკიცებულ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული შესაბამისი განკარგულებით.

2. ეს დეკრეტი ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერისთანავე.

*მიხეილ-გელა სალუაშვილი*

*საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი № 2 2013 წლის ნოემბერი. ქ. თბილისი საქართველოში 1992 – 2012 წლების განმავლობაში მომქმედი დანაშაულებრივი რეჟიმის პოლიტიკური შეფასების შესახებ*

1. ვითვალისწინებ რა, რომ 1991 წ. 22 დეკემბრიდან დაწყებული შეიარაღებული გამოსვლებით მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების გზით საქართველოს ხელისუფლებაში მოსული კრიმინალური ძალის - 1992 წ. 2 იანვარს შექმნილი ე.წ. „სამხედრო საბჭოსა“ და „დროებითი მთავრობის“, აგრეთვე 1992 წლის 10 მარტს შექმნილი ე.წ. „სახელმწიფო საბჭოს“ სამართალმემკვიდრეთა მიერ - 1992, 1995, 1999, 2000, 2003, 2004 და 2008 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო ე.წ. „არჩევნები“, არ მარტო უკანონოდ, არამედ ტოტალური გაყალბებით იქნა ჩატარებული, და შესაბამისად ამ გზით ხელისუფლების სათავეში მოკალათებული ძალა ვერ (და არ) გამოხატავს საქართველოში მაცხოვრებელთა უმრავლესობის ნებას... ვითვალისწინებ რა, რომ 2003 წლის ნოემბერში, ე.წ. „ვარდების რევოლუციამ“, მხოლოდ ფორმალურ-იურიდიულად ჩაანაცვლა 1992-2003 წლების უკანონო ხელისუფლება, და ქვეყნის სათავეში, წინა პოლიტიკური რეჟიმის სამართალმემკვიდრე, იმ სახეცვლილი უკანონო ძალის მოსვლა განაპირობა, რომლის ცხრაწლიანი მმართველობის დროსაც - არნახულ დონეს მიაღწია ადამიანის უფლებათა და მორალურ ფასეულობათა მასიური დარღვევის ფაქტებმა; ახალ ხარისხში იქნა აყვანილი ქვეყნის ტერიტორიული რღვევის პროცესი; ეკონომიკური საფუძვლების მოშლამ უკიდურესობამდე გააუარესა მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონე... ვეყრდნობი რა 2012 წლის 1 ოქტომბერსა და 2013 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატულ ნებას, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვაცხადებ: 1991 წ. 22 დეკემბრიდან დაწყებული შეიარაღებული გამოსვლებით მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების გზით საქართველოს ხელისუფლებაში მოსული კრიმინალური ძალის სამართალმემკვიდრეთა მიერ 1992 წ. 2 იანვრიდან - 2012 წ. 1/25 ოქტომბრამდე დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის საქმიანობა, კაცობრიობისა და საქართველოს მოსახლეობის წინაშე, შეფასებულ იქნეს, როგორც - დანაშაულებრივი.

2. ეს დეკრეტი ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერისთანავე.

*მიხეილ-გელა სალუაშვილი*

*საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი № 1 2013 წლის ნოემბერი . ქ. თბილისი საქართველოში 1991 -1992 წლების მიჯნაზე მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ*

1. ვითვალისწინებ რა, რომ საქართველოში 1991-1992 წლების მიჯნაზ,ე გარე იმპერიული ძალების ხელშეწყობითა და მონაწილეობით, სამხედრო შეიარაღებული გამოსვლის გზით, კანონიერი ხელისუფლების დამხობით გამოწვეულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კრიზისულმა მდგომარეობამ, ჩვენს ქვეყანაში, სათავე დაუდო - არნახულ უკანონობას, მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების გადაგვარებასა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, რამაც, მთლიანობაში, საქართველოს მოქალაქეთა ცხოვრების დონის უკიდურესი გაუარესება გამოიწვია; ვითვალისწინებ რა, რომ 1992 წლის 13 მარტს, ქ. გროზნოში გამართულ სესიაზე, დევნილობაში მყოფმა, 1990 წ. 28 ოქტომბრის მოწვევის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, მიიღო დადგენილება - „1991 წლის 22 დეკემბერს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების“ [იხ. დან. № 1]; ვითვალისწინებ რა, რომ 2005 წლის 11 მარტს, 2003-2004 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება - „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ [იხ. დან. № 2]; ვეყრდნობი რა 2012 წლის 1 ოქტომბერსა და 2013 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატულ ნებას, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვაცხადებ: 1. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში მომხდარი მოვლენები;

ა) კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება; და

ბ) შეფასდეს, როგორც - საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული სახელმწიფოსა და ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად;

2. დაევალოს საქართველოს პროკურატურას - აღძრას სისხლის სამართლის საქმე ყველა იმ პირისა თუ პოლიტიკური გაერთიანების წინააღმდეგ, ვინც იარაღით ხელში უშუალოდ მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა ჩვენს ქვეყანაში 1991-1992 წლების გასაყარზე განვითარებულ დანაშაულებრივ ქმედებებს. 3. საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში განვითარებული მოვლენების ყველა ის მონაწილე, რომელიც იარაღის ძალით არ იბრძოდა და არ არის გარეული საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში, განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან;

2. ეს დეკრეტი ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერისთანავე.

*მიხეილ-გელა სალუაშვილი*

# თავისუფლება პატრიარქ ირინეოსს




2005 წლის სააღდგომო წირვის შემდეგ იერუსალიმის პატრიარქი, უნეტარესი ირინეოსი თავის კელიაში შევიდა და ცოტა ხნის შემდეგ მასში გარედან გამოკეტილი აღმოჩნდა.ის გაკვირვებული დაუკავშირდა გარეთ მყოფთ და აღმოჩნდა, რომ მის წინააღმდეგ ყოველგვარი საეკლესიო კანონების დარღვევით გაუგონარი შეთქმულება განხორციელდა. ეს გახლდათ პირველი შემთხვევა იერუსალიმის საპატრიარქოს ისტორიაში, როცა პატრიარქი ჩამოაგდეს თავისი ტახტიდან.

უნეტარესი ირინეოსი იერუსალიმის 140–ე პატრიარქია და დღემდე რჩება ასეთად, რამეთუ მის წინააღმდეგ განხორციელებული შეთქმულება უკანონოა. მოგეხსენებათ პირველი პატრიარქი თავად უფლის ხორციელი ძმა, იაკობი გახლდათ.

ირინეოსი ცნობილია, როგორც ანტიეკუმენისტი და მასონთა წინააღმდეგ მებრძოლი ჭეშმარიტი მოძღვარი. მისი გამოსვლები და მხილებანი აშკარად არ შედიოდა მსოფლიო ბატონების გეგმებში და ხელს უშლიდა მათი ზრახვების განხორციელებაში.

შეთქმულების მთავარი შემსრულებელი გახდა ახლანდელი ე.წ. პატრიარქი თეოფილე III, რომელიც ზუსტად იმ 2005 წლის თებერვალში, თავად ირინეოსმა ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა. ეს გახლავთ პატრიარქი, რომელიც „საყოველთაო სიყვარულის“ საფარველით მასონთა დავალებებს ბრწყინვალედ ასრულებს და გაერთიანებულ, ეკუმენისტურ წირვა–ლოცვებს ატარებს წარმართებთან ერთად.

პატრიარქ ირინეოსს ორი არჩევანის საშუალება მიეცა: ან უნდა დაეტოვა კელია, შერცხვენილს და დამორჩილებულს, ან დარჩენილიყო ტყვეობაში პატრიარქად, რომელმაც არ ცნო უკანონო გადაწყვეტილება და არ აღიარა თავი გადაყენებულად. მან, როგორც ჭეშმარიტმა ღვთისმსახურმა და სამაგალითო მართლმადიდებლმა, უყოყმანოდ აირჩია მეორე გზა, ეკლიანი, მაგრამ უფლის სიყვარულით განპირობებული და ერთადერთი სწორი. მას პატიმრობა არ აკმარეს და კარ–ფანჯარა გისოსებით ამოურაზეს, რათა იმ უამრავ ადამიანს, რომელსაც უყვარს ირინეოსი და დადიოდნენ მასთან, აღარ ჰქონოდათ მისი ნახვის საშუალება.მოგვიანებით მას წყალი და ელექტროენერგიაც გადაუკეტეს, რათა პატრიარქი მძიმე პირობების გამო გლობალისტებს დანებებოდა და დამარცხება ეღიარებინა.

ეს ხდება კელიაში, რომელიც პირდაპირ მაცხოვრის საფლავის თავზე მდებარეობს. ადამიანები დადიან წმინდა ადგილას, ლოცულობენ, ყიდულობენ სუვენირებს და ბევრმა არც კი იცის, რომ მაცხოვრის საფლავის თავზე,გისოსებიან კელიაში იერუსალიმის ნამდვილი პატრიარქია გამოკეტილი.

ირინეოსმა დახმარებისათვის მსოფლიოს პატრიარქს, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს ბართოლომეოს მიმართა. ბართოლომეოსმა მას დახმარება აღუთქვა და სტამბულში ჩასვლა სთხოვა. სტამბულში ჩასულ ირინეოსს ბართოლომეოსმა დახმარების სანაცვლოდ ქვეყნის საზღვრებს გარეთ იერუსალიმის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული 19 ტაძრის გადაცემა მოითხოვა, რაზეც რა თქმა უნდა სასტიკი უარი მიიღო.

და მოხდა ის, რაც უკვე მოგახსენეთ. იერუსალიმის პატრიარქს ცილი დასწამეს სამშენებლო მიწის ნაკვეთების ებრაელთათვის მიყიდვაში და პატრიარქობიდან გადააყენეს. რამდენადაც ცნობილია, სერბეთის პატრიარქი პავლე და საქართველოს პატრიარქი ილია II წინააღმდეგი იყვნენ ამ უკანონო გადაწყვეტილების, მაგრამ სამწუხაროდ ვერ აღუდგნენ წინ მსოფლიო პატრიარქის განაჩენს. ალბათ მათ არ შეეძლოთ მეტის გაკეთება.

მოგვიანებით ისრაელის სასამართლომ ირინეოსი სრულიად უდანაშაულოდ ცნო და მის წინააღმდეგ განხორციელებული ცილისწამება აღიარა, თუმცა ის დღემდე უკანონო პატიმრობაში რჩება. ხოლო, ის მღვდელმსახურნი,ვინც პატრიარქ ირინეოსის ერთგულნი დარჩნენ,ისეთ ადგილებში გაამწესეს, რომ ადამიანს მათი პოვნაც კი გაუჭირდება.

2005 წლის შემდეგ საბერძნეთი ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ისეთ კატასტროფამდე მივიდა, რომ ფაქტიურად სუვერენიტეტი უკვე დაკარგული აქვს. ბერძნები თვლიან, რომ ირინეოსის უკანონო ჩამოგდების გამო,რომლის წინააღმდეგ შეთქმულებაშიც უმეტესწილად ბერძენი ეპისკოპოსები და მღვდელმსახურნი მონაწილეობდნენ, ისინი ღვთისგან ისჯებიან. ერთ–ერთი მღვდელმსახური იერუსალიმშიც კი ჩავიდა და თეოფილეს ყველაფრის სასწრაფოდ უკან დაბრუნება და პატრიარქ ირინეოსის აღდგენა მოსთხოვა, თუმცა უშედეგოდ.

უნეტარეს ირინეოსზე მსოფლიოში უამრავი ჭორი გაავრცელეს.თითქოს ის გარდაიცვალა, ან თითქოს მას ფსიქიკური პრობლემები აქვს და ა.შ.

სინამდვილეში, ის დღესაც მხნედ არის და არ აპირებს მასონთა, გლობალისტთა და ეკუმენისტთა ჭკუაზე სიარულს და რჩება ერთგული ღვთისა და ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისა.

მე, ერთი დიდად ცოდვილი, უმცირესთაგანი მართლმადიდებელი ქრისტიანი სოლიდარობას ვუცხადებ იერუსალიმის ნამდვილ პატრიარქს, უნეტარესს ირინეოსს და მოვითხოვ დაუყოვნებლივ მის განთავისუფლებას და სრულად აღდგენას საპატრიარქო ხარისხში.

ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს მოგიწოდებთ სოლიდარობა გამოვუცხადოთ უნეტარეს ირინეოსს.

სოლიდარობა !

***მასალა გადმობეჭდილია ინტერნეტ გვერდიდან - „მართლმადიდებლობა ან სიკვდილი“***

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

**რედაქტორი** ლეილა ცომაია

საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***